



საღვარდნი ტრანზიტი  
საღვარდნი ტრანზიტი

საღვარდნი ტრანზიტი და მონაწილეობა  
აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოეთ კავშირებში



# საღმარეო ტრანსპორტი

---

ახალგაზრდული პოლიტიკა და მონაწილეობა  
ალმოსაველი ევროპისა და სამხრეთ კავკასიაში







Co-funded by the  
Erasmus+ Programme  
of the European Union

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორთა პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ ხედვას.

ყველა უფლება დაცულია. აკრძალულია ამ პუბლიკაციის ნებისმიერი ნაწილის თარგმნა, გამოყენება და მესამე პირისთვის გადაცემა, მათ შორის ელექტრონულად (CD, ინტერნეტით და ა.შ.) მექანიკურად, ფოტოკოპირებით, ხმოვანი ჩანაწერის სახით, ან ინფორმაციის შენახვისა და გადამუშავების ნებისმიერი სისტემის საშუალებით ახალგაზრდული ასოციაცია დრონის წინასწარი ნებართვის გარეშე.

(contact@droni.org)

რედაქტირება: ნიკა ბახსოლიანი

თარგმნა: თინიკო ნადირაშვილი

ტექსტი: თინიკო ნადირაშვილი

ლენკა ბერნატოვა

ევა ბილი

მაქს ფრასი

ილუსტრირება: თიმურ ტურუსბეკოვი - TURUSBKOV

დაკაბადონება: ნათია გოგრიჯიანი - NITALO

ახალგაზრდული ასოციაცია დრონის გამომცემლობა

41 ყიული შარტავას ქუჩა, 0179, თბილისი, საქართველო

<http://www.droni.org>

ISBN კოდი:

© Youth Association DRONI

გამოცემულია თბილისში, საქართველო

the 1990s, the number of people who have been infected with HIV has increased in almost every country in the world.

There are a number of reasons for this. First, the number of people who are sexually active has increased in many countries. Second, the number of people who are sexually active at an early age has increased. Third, the number of people who are sexually active with multiple partners has increased. Fourth, the number of people who are sexually active with partners who are also sexually active with multiple partners has increased.

There are a number of reasons for this. First, the number of people who are sexually active has increased in many countries.

Second, the number of people who are sexually active at an early age has increased.

Third, the number of people who are sexually active with multiple partners has increased.

Fourth, the number of people who are sexually active with partners who are also sexually active with multiple partners has increased.

There are a number of reasons for this. First, the number of people who are sexually active has increased in many countries.

Second, the number of people who are sexually active at an early age has increased.

Third, the number of people who are sexually active with multiple partners has increased.

Fourth, the number of people who are sexually active with partners who are also sexually active with multiple partners has increased.

There are a number of reasons for this. First, the number of people who are sexually active has increased in many countries.

Second, the number of people who are sexually active at an early age has increased.

Third, the number of people who are sexually active with multiple partners has increased.

Fourth, the number of people who are sexually active with partners who are also sexually active with multiple partners has increased.

There are a number of reasons for this. First, the number of people who are sexually active has increased in many countries.

Second, the number of people who are sexually active at an early age has increased.

Third, the number of people who are sexually active with multiple partners has increased.

Fourth, the number of people who are sexually active with partners who are also sexually active with multiple partners has increased.

There are a number of reasons for this. First, the number of people who are sexually active has increased in many countries.

Second, the number of people who are sexually active at an early age has increased.

Third, the number of people who are sexually active with multiple partners has increased.

Fourth, the number of people who are sexually active with partners who are also sexually active with multiple partners has increased.

There are a number of reasons for this. First, the number of people who are sexually active has increased in many countries.

Second, the number of people who are sexually active at an early age has increased.

Third, the number of people who are sexually active with multiple partners has increased.

Fourth, the number of people who are sexually active with partners who are also sexually active with multiple partners has increased.

# შესავალი

● შესავალი .....	8/9
თავი I	
● ახალგაზრდული პოლიტიკა .....	10/14
თავი II	
● ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში .....	15-17
თავი III	
● ახალგაზრდების მონაწილეობა და ინსტრუმენტები ახალგაზრდების მონაწილეობისთვის .....	18/27
ინსტრუმენტი 1 ახალგაზრდების ინფორმირება .....	28/30
ინსტრუმენტი 2 ტრენინგი ახალგაზრდულ ჩართულობაში - ახალგაზრდების ჩართულობაზე ცოდნის და პრაქტიკის გამდიდრება .....	31/33
ინსტრუმენტი 3 ახალგაზრდების პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა.....	34/36
ინსტრუმენტი 4 ახალგაზრდების ორგანიზაციების, ახალგაზრდების მონაწილეობისა და თანამშრომლობითი მართვის ხელშეწყობა .....	37/39
ინსტრუმენტი 5 ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებში .....	40/42
ინსტრუმენტი 6 ახალგაზრდების მედიაში ჩართულობის ხელშეწყობა .....	43/45
ინსტრუმენტი 7 ახალგაზრდების წახალისება მოხალისეობრივ საქმიანობაში .....	46/47
თავი IV	
● ახალგაზრდების ინსტიტუციური მონაწილეობა ადგილობრივ და რეგიონულ საკითხებში .....	48/52

<b>თავი V</b>	
● სექტორული კოდიტიკა.....	53
პრე 1	
საცხოვრისი და სადაც ცხოვრობ .....53/55	
პრე 2	
მუშაობა და დასაქმება .....56/58	
პრე 3	
განათლება და სკოლა .....59/61	
პრე 4	
ახალგაზრდების უფლებები და კანონმდებლობა .....62/64	
პრე 5	
ჯანდაცვა .....65/67	
პრე 6	
სოციალური, სპორტული და კულტურული აქტივობები .....68/70	
პრე 7	
ახალგაზრდობა სოფლად .....71/73	
პრე 8	
ტრანსპორტი ..... 74/75	
პრე 9	
პატივისცემა ყველა ახალგაზრდას .....76/78	
პრე 10	
დანაშაული და ძალადობა.....79/81	
პრე 11	
თანასწორობა ახალგაზრდა ქალებსა და ახალგაზრდა მამაკაცებს შორის .....82/84	
პრე 12	
კულტურათმორისი სწავლება .....85/87	
პრე 13	
სიყვარული და სექსუალობა .....88/89	
<b>თავი VI</b>	
● რეკომენდაციები.....	90/94
● ლექსიკონი .....	95/100
● დამატებითი საკითხავი.....	101/105

# შესავალი

## ● კუბლიკაციის შესავალი

“ახალგაზრდები ტრანზიტში” არის პუბლიკაცია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდებისა და მათ კეთილდღეობასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის. ფოკუსში მოქცეულია ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. პუბლიკაციის ვუნოდეთ "ახალგაზრდები ტრანზიტში", რადგან ვფიქრობთ, რომ აქ ახალგაზრდები და მათი ქვეყნებიც პოსტ-საბჭოურიდან ევროპულზე, დიქტატორულიდან დემოკრატიულზე, მზრუნველობის ქვეშ მყოფიდან პასუხისმგებლობის აღების გარდამავალ ეტაპზე არიან.

პუბლიკაცია აქცენტს აკეთებს განვითარებადი სახელმწიფოების და ჰიბრიდული დემოკრატიების ახალგაზრდულ პოლიტიკისა და ახალგაზრდების ჩართულობის იმ კონკრეტულ სფეროებზე, რომლებიც გარდამავალ ეტაპზე არიან ან უნდა იყვნენ. ამ პუბლიკაციაში ავსახავთ ამ სფეროებში არსებულ გამოწვევებს და მკითხველებს რიგ რეკომენდაციებს შევთავაზებთ.

## ● როგორ შეიქმნა კუბლიკაცია

ახალგაზრდული პოლიტიკის არეალი სავსეა ზოგადი რეკომენდაციებით, თუმცა ის, რასაც ხშირად გვაკლია, კონკრეტულის ნაკლებობაა - რა კონკრეტული ქმედებების განხორციელებაა შესაძლებელი ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით შეზღუდული ბიუჯეტის ან, სულაც, ბიუჯეტის არარსებობის პირობებში? ამ პუბლიკაციაში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის წარმატებული ქეისებისა და მაგალითების მოყვანით გზით, ჩვენ ვცდილობთ გადავინაცვლოთ რეკომენდაციებიდან კონკრეტულ ქმედებებსა და ნაბიჯებზე.

პუბლიკაცია "ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტიის" გარშემო ტრიალებს, რომელიც 2004 წელს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესმა მიიღო. ქარტიიდან მოვიყვანეთ 13 სექტორული პოლიტიკა და ახალგაზრდების ჩართულობის 8 ინსტრუმენტი თითოეული მათგანის განხორციელების საუკეთესო პრაქტიკებთან ერთად. ასევე მოვიყვანეთ იმის მაგალითები, თუ რა არ უნდა გაკეთდეს - სექციის ქვეშ 'ნუ'. ვფიქრობთ, რომ ცუდი პრაქტიკის მაგალითები შესაძლოა ადვილად გავრცელდეს, თუმცა მათი იდენტიფიცირება რთულია და მნიშვნელოვანია მათი სახელდება და აღიარება.

ჩვენ შევქმენით ეს პუბლიკაცია იმ ხალხისა და სტრუქტურებისთვის, რომლებიც ახალგაზრდულ სფეროში არიან ჩართულნი: ახალგაზრდული ორგანიზაციები, ახალგაზრდული ცენტრები, ახალგაზრდული მუშაკები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ვიმედოვნებთ, რომ ამ პუბლიკაციის მეშვეობით ისინი შე-



უკეთესი პოლიტიკა და პროექტები წერონ და განახორციელონ და აგრეთვე, შეძლონ ეფექტური თანამშრომლობა ერთმანეთთან.

“ახალგაზრდები ტრანზიტში”-ს თავად არის დაყოფილი. პუბლიკაციის შესავალს მოსდევს პირველი თავი ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ, - რას წარმოადგენს, როგორ გვესმის და რა ტიპის გამოწვევებს ხვდება ის. მეორე თავი მიმოიხილავს შესწორებულ ევროპულ ქარტიას ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ. მესამე, მეოთხე და მეხუთე თავებში იპოვით მონაწილეობის ინსტრუმენტების, პოლიტიკის 13 სფეროს და ინსტიტუციური მონაწილეობის კარგ მაგალითებს და პრაქტიკას.

## შესავალი

### ● პუბლიკაციის გუნდი

“ახალგაზრდები ტრანზიტში”-ს უკან დგას გუნდი, რომელიც ახალგაზრდების, მკვლევარების, ახალგაზრდული მუშაკებისა და საჯარო პოლიტიკასა და ახალგაზრდულ სფეროში მოღვაწე ექსპერტებისგანაა შემდგარი. გუნდის წევრები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან არიან და ამ ქვეყნებში არსებულ ახალგაზრდულ საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ.

### ● კონსორციუმი

ეს პუბლიკაცია შეიქმნა პროექტის "მონაწილეობის სამკუთხედი - ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ახალგაზრდები" ფარგლებში, რომელიც ახალგაზრდულ სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების, ევროკავშირის პროგრამა ერასმუს +ის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს მხარდაჭერით..

პროექტი განხორციელდა ახალგაზრდული ასოციაცია დრონის მიერ, რომელიც დაარსდა 2003 წელს ქალაქ თბილისში. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციაა:

**SONDIP** - ტურკუ, ფინეთი;

**KEKS** (ორგანიზაციების ქსელი გოთენბურგში) და ქალაქი ბორასი, შვედეთი;

**YCIDDP**- ერევანი, სომხეთი;

მოლდოვის ეროვნული ახალგაზრდული საბჭო,

გორის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები საქართველოდან.

პროექტი “მონაწილეობის სამკუთხედი” ახალგაზრდულ სფეროში სექტორთაშორისი თანამშრომლობის და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაღრმავებას ისახავს მიზნად. ეს პუბლიკაციაც სწორედ ამ მიზნის ხელშეწყობი ინსტრუმენტის შექმნის მცდელობაა.

### ● პუბლიკაციაში გამოყენებული აბრევიატურები

**CoE** - ევროპის საბჭო

**CLRA** - ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი

**სსო** - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

**აპ** - აღმოსავლეთის პარტნიორობა

**EU** - ევროკავშირი

**CoE** - ევროპის საბჭო

**CLRA** - ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი

**სსო** - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

**აპ** - აღმოსავლეთის პარტნიორობა

**EU** - ევროკავშირი

**EYF** - ევროპის ახალგაზრდული ფონდი

**ERYICA** - ევროპის ახალგაზრდული საინფორმაციო და საკონსულტაციო სააგენტო

**ICT** - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

**OMC** - კოორდინაციის ღია მეთოდი

**იგპ** - იძულებით გადაადგილებული პირი/პირები

**ლგბტქი**- ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი, ინტერსექსუალი

**NEET** - სამსახურის, განათლების ან ტრენინგის მიღმა

**NFL** - არაფორმალური განათლება

**NGO** - არასამთავრობო ორგანიზაცია

**გაერო** - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

**UNIC** - გაეროს საინფორმაციო ცენტრი

**UNCRC** – გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

**YNGO** - ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია



# ახალგაზრდული პოლიტიკა

● რა არის ახალგაზრდული პოლიტიკა? როგორია მისი ევროპული ბაზება?

ახალგაზრდული პოლიტიკა არის ქოლგა ტერმინი, რომელიც ძირითადად ახალგაზრდების ჯგუფის საჭიროებებსა და მოლოდინებზე კონცენტრირებულ საჯარო პოლიტიკას მოიცავს. მისი საფუძველი ახალგაზრდების პოტენციალის განვითარებისთვის შესაფერისი პირობების შექმნაა. ახალგაზრდული პოლიტიკა ეხება როგორც საჯარო მოხელეების ვალდებულებებს, ასევე კონკრეტულ პრაქტიკებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის შესაფერისი საცხოვრებელი პირობებისა და განვითარების შესაძლებლობების შექმნას. ახალგაზრდული პოლიტიკის განმარტება საკმაოდ ორაზროვანია და განსჯის საგანიც ხშირად ხდება ხოლმე.

ახალგაზრდული პოლიტიკა შეიძლება იყოს ფორმალური და განწერილი პოლიტიკურ დოკუმენტში (სამართლებრივი აქტი) ან/და დოკუმენტების კომპლექტში (პოლიტიკა, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა) ან არაფორმალური და ნაგულისხმევი (ახალგაზრდობის მიმართ არსებული ნორმები და ღირებულებები). ახალგაზრდული პოლიტიკის უფრო ვიწრო განმარტება გულისხმობს იმ პოლიტიკას, რომელიც ახალგაზრდობას ეხება (მაგალითად, საგანმანათლებლო, სოციალური, დასაქმების, ჯანდაცვის), - ეს ვიწრო განმარტება ახალგაზრდულ პოლიტიკას მხოლოდ ახალგაზრდული საქმის, მოხალისეობის და არაფორმალური განათლების დონეზე განიხილავს. ფართო განსაზღვრება კი პოლიტიკის იმ ყველა სფეროს მოიცავს, რომელიც შეეხება ან გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე (მათ შორის კონკრეტული ტიპის განათლება, დასაქმების პოლიტიკა და ახალგაზრდების უფლებები).



ახალგაზრდული პოლიტიკა შესაძლოა იყოს გააზრებული, როგორც მხოლოდ პოზიტიური ზომები (აქტივობები და აქტები), ასევე დადებითი და უარყოფითი ზომები, მათ შორის ამ ზომების არარსებობა (მაგალითად, სახელმწიფო ქმედების ნაკლებობა, პოლიტიკის ხარვეზები, უარყოფითი ახალგაზრდული პოლიტიკა).

ახალგაზრდული პოლიტიკა მოიცავს კომპლექსურ და მრავალდონიან საქმიანობათა წყებას. მიმდინარე კვლევების საფუძველზე, რომელიც ძირითადად ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იქნა ჩატარებული, როგორიც ვეროსაბჭო და ევროკავშირია, ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- ცენტრალური / ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკა
- ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა
- საპარლამენტო შედამხედველობა
- სამართლებრივი (საკონსტიტუციო და სხვა) რეგულაციები
- ახალგაზრდული სერვისები
- განმახორციელებელი ინსტიტუტები
- ახალგაზრდული ორგანიზაციები
- საერთაშორისო თანამშრომლობა ახალგაზრდობის სფეროში
- ახალგაზრდების მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებასა და გადამწყვეტილების მიღებაში
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკა

## ახალგაზრდული პოლიტიკა

### ● ევროპული ისტორიის მიმოხილვა

ყველა ევროპულ ქვეყანას აქვს ახალგაზრდული პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული სამართლებრივი აქტებით (ფორმალური, განერილი) ან გაბნეულია პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში (არაფორმალური, ნაგულისხმევი). ახალგაზრდული პოლიტიკის კონკრეტული ისტორიული საწყისის მოძებნა რთულია, განსაკუთრებით უფრო ფართო გაგებით, რადგან ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გავლენას მოახდენდა ან მხარს დაუჭერდა ახალგაზრდობას, მთავრობის საქმიანობის ნაწილს წარმოადგენდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში (განათლება, საცხოვრისი, ჯანმრთელობა). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპის გაჩენამ ახალგაზრდების საჭიროებაზე უფრო კოორდინირებული და კონკრეტულ ძალისხმევებზე ორიენტირებული გახადა ევროპული სახელმწიფოები.

საერთაშორისო დონეზე, ევროპის საბჭო პირველი იყო, რომელმაც 1972 წელს საერთაშორისო ახალგაზრდული თანამშრომლობის ხელშესაწყობად თავის ახალგაზრდულ დეპარტამენტში ევროპის ახალგაზრდული ცენტრი დააარსა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ახალგაზრდული პოლიტიკა არ არის კონსოლიდირებული, 1999 წელს მისი თაოსნობით გამოიცა 'თეთრი ფურცელი ახალგაზრდობაზე' (White Paper on Youth), რომელსაც მოგვიანებით მოჰყვა ახალგაზრდული პაქტი (2005) და პირველი ევროპული ახალგაზრდული სტრატეგია (2010-2018). ამ დოკუმენტების დამტკიცებით შეიქმნა ევროპული თანამშრომლობის დე-ფაქტო სივრცე ახალგაზრდობის სფეროში. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობს ევროპის ახალგაზრდული პოლიტიკის თანამშრომლობის დინამიური განვითარება, მათ შორის, კოორდინაციის ღია მეთოდის (OMC) დანერგვა, რომელიც ევროკავშირში პოლიტიკის ნებაყოფლობითი კოორდინაციის ფორმაა.

ევროკავშირმა გაზარდა ახალგაზრდული საკითხების კვლევისა და მონიტორინგის დონე, მათ შორის, ევროკავშირის ახალგაზრდული ანგარიშის გაშვებით. ევროსაბჭომ შეიმუშავა უამრავი ახალი დოკუმენტაცია ახალგაზრდული პოლიტიკისათვის ჩართულობაზე ძლიერი აქცენტებით, მათ შორის ახალგაზრდების ჩართულობაზე რეკომენდაციები 1997 წელს, რომელსაც 2003 წელს მოჰყვა რეკომენდაციები ახალგაზრდების მონაწილეობაზე ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში, 'მოქალაქეობა და ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში' (2006), 'ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში ეროვნული ახალგაზრდული საბჭოების როლი' (2016) და ყველაზე ბოლოს, "ახალგაზრდული მუშაობის ახალგაზრდული პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოყენება"(2017).

## ● რატომ არის ახალგაზრდული პოლიტიკა მნიშვნელოვანი?

ახალგაზრდული პოლიტიკა - იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური - უმნიშვნელოვანესია ყველა სექტორში ახალგაზრდების პოტენციალის განვითარებისთვის. ევროსაბჭოს მიხედვით, ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს "პირობების შექმნა სწავლის, შესაძლებლობებისა და გამოცდილებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ და საშუალებას მისცემენ ახალგაზრდებს განვიითარონ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია".

ამან, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების დემოკრატიის აქტორებად ქცევა, მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში და განსაკუთრებით, შრომით ბაზარსა და სამოქალაქო საზოგადოებაში მათი აქტიური როლის განსაზღვრა.

# ახალგაზრდული პოლიტიკა

## ● კლასიფიკაცია/მრავალაქტორიანი მიდგომა პოლიტიკაში

სექტორთაშორისი თანამშრომლობა გულისხმობს ახალგაზრდული საქმისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობას. საერთაშორისო ინსტიტუციები განსხვავებულ ტერმინებს მიმართავენ მსგავსი ღონისძიებების სახელდებისთვის, მათ შორის: inter-sectoral, cross-sectoral, inter-agency, integrated, inter-institutional, ქართულ ენაზე კი ვიყენებთ ტერმინებს 'სექტორთაშორისი' და 'სექტორული'. სექტორთაშორისი თანამშრომლობის მთავარი მახასიათებელი სხვადასხვა ჯგუფებს და/ან ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობაა. არსებობს სხვადასხვა ტიპის სექტორთაშორისი თანამშრომლობა, - უმეტესწილად ჰორიზონტალური და ვერტიკალური.

ჰორიზონტალური სექტორთაშორისი თანამშრომლობა ეხება საჯარო, კერძო და მესამე სექტორის ორგანიზაციების ერთობლივ მუშაობას. სხვა ტიპის ჰორიზონტალური სექტორული თანამშრომლობა გულისხმობს ახალგაზრდული სექტორის თანამშრომლობას ახალგაზრდებთან ერთად სხვადასხვა სექტორების ფარგლებში, რომელიც მოიცავს განათლებას, სოციალურ მუშაობას ან ჯანმრთელობის დაცვას. სხვა შემთხვევებში, ჰორიზონტალური სექტორთაშორისი თანამშრომლობა ხდება სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტებსა და ერთეულებს შორის, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

ვერტიკალური სექტორთაშორისი თანამშრომლობა აერთიანებს საჯარო ადმინისტრაციის, მათ შორის, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეებს. ვერტიკალური თანამშრომლობა ასევე ეხმარება ახალგაზრდული პოლიტიკის კეთებაში ჩართულ ორგანოებსა და ახალგაზრდებს შორის კავშირს.

## ● ახალგაზრდული პოლიტიკა და ახალგაზრდული ჩართულობა

არ არსებობს ახალგაზრდული ჩართულობის უნივერსალური განსაზღვრება, თუმცა საერთაშორისო დოკუმენტები 'გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის', ევროკავშირისა და ევროსაბჭოს პოლიტიკის ჩათვლით მოითხოვს ახალგაზრდების ჩართვას იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მათ ეხებათ. მონაწილეობა შესაძლოა სხვადასხვანაირი სახით გამოვლინდეს - "პირდაპირი მონაწილეობა", როდესაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე არსებობს პირდაპირი გავლენა და სტრუქტურული კავშირი გადაწყვეტილების მიღების პროცესთან, ან "არაპირდაპირი მონაწილეობა" - სადაც ახალგაზრდებთან, როგორც მოქალაქეებთან და საზოგადოების წევრებთან წვდომა სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება, მათ შორის, სხვადასხვა საკითხთან და პრობლემასთან დაკავშირებული პოზიციის დაფიქსირებისთვის, დისკუსიების და კამპანიების წახალისება.

ახალგაზრდების მონაწილეობა არის ეფექტური, ინკლუზიური და მრავალპარტიული ახალგაზრდული პოლიტიკის ფუნდამენტური ნაწილი. ის ასევე წარმოადგენს ევროპული ახალგაზრდული პოლიტიკის ჩარჩოს უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

2003 წელს ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული 'შესწორებული ქარტია ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში' აღნიშნავს, რომ ნებისმიერი საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა წარმოადგენს ბევრად მეტს, ვიდრე არჩევნებზე მისვლაა და ხმის მიცემა (თუმცა ესეც უმნიშვნელოვანესი ელემენტებია). მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს უფლების, საშუალებების, სივრცის, და როცა საჭიროა, მხარდაჭერის არსებობას გადანყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის და მასზე გავლენის მოხდენის, სხვადასხვა მოქმედებებსა და საქმიანობაში ჩართვის და უკეთესი საზოგადოების მშენებლობაში წვლილის შეტანისთვის.



## რა წარმოადგენს აპ ქვეყნებში მთავარ გამოწვევებს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისთვის?

აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ახალგაზრდული პოლიტიკა დინამიური პოლიტიკის სფეროა, რომელიც მნიშვნელოვნად განვითარდა, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში. ახალგაზრდული პოლიტიკის გამოწვევები რეგიონში პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებული ტიპური გამოწვევებია, რომლებიც საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობასა და მონაწილეობითი პოლიტიკის ზოგადი პრობლემებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, პოლიტიკის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვის ნაკლებობა, ღია და კონსულტაციებზე დაფუძნებული პოლიტიკის პროცესების დეფიციტი, ბიუჯეტირებისა და ხარჯების გამჭვირვალობის, გრძელვადიანი დაგეგმვისა და უწყვეტობის და პოლიტიკის განხორციელების კუთხით მოქალაქეთა (ახალგაზრდობის) ზედამხედველობის ნაკლებობა.

ასევე ადგილი აქვს ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ პრობლემებს, კერძოდ ახალგაზრდებისა და მათი ჩართულობის პოლიტიზირება, ტოკენიზმი, ახალგაზრდების რეალური, აქტიური მონაწილეობის პრობლემები, მფარველობითი დამოკიდებულება ახალგაზრდებთან, პოლიტიკურ პროცესებში მათი არა აქტიურ, არამედ პასიურ აქტორებად მიჩნევა. საბოლოო ჯამში, არსებობს მრავალი გამოწვევა რეგიონის ახალგაზრდების წინაშე, მათ შორის უმუშევრობის მაღალი დონე, ხარისხიანი განათლების ნაკლებობა, ადგილობრივი და რეგიონული კონფლიქტები, დემინფორმაცია და მონაწილეობის დაბალი დონე.




## ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში

### ● შესავალი განახლებულ ქართიაში

როგორც აღვნიშნეთ, ეს პუბლიკაცია ეფუძნება “ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებულ ევროპულ ქართიას”, რომელიც 2003 წელს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესმა მიიღო. ქარტია შეიქმნა იმ ძირეული იდეით, რომ ახალგაზრდებს აქვთ უფლება და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თქვან საკუთარი სიტყვა მაშინ, როდესაც ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც უშუალოდ ეხებათ და გავლენას ახდენს მათზე. ქარტია მოგვიანებით მხარდაჭერილი იქნა 2014 წელს წევრი ქვეყნებისთვის მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციით ახალგაზრდების ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ.

ეს ორი დოკუმენტი პროექტისა და პუბლიკაციის სქემად ავირჩიეთ, რადგან ისინი ვარგად ასახავენ იმ არეალებს, რომელთა დაფარვაც საჭიროა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ხარისხიანი ჩართულობის მისაღწევად.



### ● ევროპის საბჭო და ახალგაზრდების მონაწილეობა

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის პოლიტიკური კრება, რომელიც აერთიანებს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების წარმომადგენლებს ევროპის საბჭოს წევრი 47 ქვეყნიდან ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განვითარების, მმართველობის გაუმჯობესებისა და თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით.

მინისტრთა კომიტეტი - ორგანო, რომელმაც მიიღო რეკომენდაცია, არის ევროპის საბჭოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. კომიტეტი შედგება თითოეული წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისგან და იღებს გადაწყვეტილებებს პოლიტიკის, ბიუჯეტისა და აქტივობების პროგრამის შესახებ.

ევროპის საბჭოს მუშაობის ფარგლები ახალგაზრდებს თავიდანვე მოიცავდა.



ახალგაზრდული განყოფილების მეშვეობით, ევროპის საბჭო მხარს უჭერს საერთაშორისო ახალგაზრდულ აქტივობებს, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების მოქალაქეობის, ახალგაზრდების მობილობის, ადამიანის უფლებები, დემოკრატიისა და კულტურული პლურალიზმის ღირებულებების ხელშეწყობას. იგი მხარს უჭერს ორგანიზაციებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებას, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად. გარდა ამისა, ევროპის საბჭო აერთიანებს ახალგაზრდა ევროპელებს სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ახალგაზრდობის საკითხებზე და ერთობლივი მენეჯმენტით იღებენ გადაწყვეტილებებს ახალგაზრდული სექტორის პრიორიტეტების, პროგრამებისა და ბიუჯეტის შესახებ.

## განახლებული ევროპული ქარტია

### ● განახლებული ქარტიის მიღება და ისტორიის მიმოხილვა

ქარტია არ არის სავალდებულო, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლები არ იღებენ მასში მითითებული ნორმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულების სამართლებრივ ვალდებულებას. თუმცა, ქარტიაში მოცემული რეკომენდაციები სტიმულს წარმოადგენს პოლიტიკის გადაცემის და გავრცელებისათვის. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მონაწილეობა თითოეული მოქალაქის უფლებაა და ხელისუფლებას აქვს ვალდებულება უზრუნველყოს და დაიცვას ყველა მოქალაქის უფლებები.

სახელი განახლებული თავადვე მიუთითებს, რომ არსებობს დოკუმენტის წინარე ვერსიაც. პირველი ქარტია ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ მიღებულ იქნა 1992 წელს, 10 წლის შემდეგ კი ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის და ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს მიერ დაინიშნენ ექსპერტები ევროპული ქარტიის შესწორების მიზნით, რის შედეგადაც 2003 წელს მიღებულ იქნა განახლებული ევროპული ქარტია.

რეკომენდაციების ძირითადი სამიზნეობაა წევრი ქვეყნების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოები. თუმცა, ქარტიაში მოცემული როლების ათვისება სხვა დაინტერესებული მხარეებისთვისაც მიზანშეწონილია, - მათ შორისაა სახელმწიფოების მთავრობები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, ახალგაზრდული ცენტრები და ახალგაზრდული საბჭოები.

## ● ქართიის შინაარსი მოკლედ

განახლებული ქარტია დაყოფილია 3 ნაწილად: სექტორული პოლიტიკა; ინსტრუმენტები ახალგაზრდების მონაწილეობისთვის; და ახალგაზრდების ინსტიტუციური მონაწილეობა ადგილობრივ და რეგიონულ საკითხებში.

ნაწილი I მოიცავს პოლიტიკის სხვადასხვა სფეროების მიმოხილვას, - როგორცაა ჯანდაცვა, ურბანული გარემო, განათლება და ა.შ. - და გვთავაზობს მხარდაჭერის კონკრეტულ ზომებს ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ნაწილი II იკვლევს იდეებსა და მექანიზმებს, რომლებიც შესაძლოა იქნას გამოყენებული ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა მიერ ახალგაზრდების ჩართულობის დონის გაზრდის მიზნით. მათ შორის ტრენინგი, საინფორმაციო მომსახურება, საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და სხვა.

ნაწილი III ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუციურ მონაწილეობაზე და იმ სტრუქტურებსა და მხარდაჭერაზე, რომელთა შექმნაც საჭიროა ახალგაზრდების იმ პროცესებში ჩასართავად, სადაც მათ თავიანთი საჭიროებების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება შეეძლება. ასევე, გადამწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რაც ეხებათ და სამოქმედო გეგმის შემუშავება ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებთან ერთად თანაბარ პირობებში. ეს შეიძლება მოიცავდეს ახალგაზრდულ საბჭოებს, ახალგაზრდულ პარლამენტებს, ახალგაზრდულ ფორუმებს და ასე შემდეგ.

## ● ქარტია და ეს პუბლიკაცია

ეს პუბლიკაცია სამივე ნაწილის კვალდაკვალ მიდის. პირველ რიგში, განხილულია მეორე ნაწილი, რომელსაც მოჰყვება მესამე ნაწილი და სრულდება პირველი ნაწილით. მუბლიკაციაში ასახულია სხვადასხვა პრაქტიკული მაგალითები, რომელთა დანერგვამაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებებით პროგრესის მიღწევას შესაძლოა შეუწყოს ხელი. გარდა კარგი პრაქტიკისა, ჩვენ ასევე განვიხილეთ “ნუ” - რა არ უნდა გავაკეთოთ, ან რას მივიჩნევთ ცუდ ნაბიჯებად ამ სფეროებში. ზოგჯერ ძნელია უარყოფითი შედეგების ან დაბალი ხარისხის მონაწილეობის გამომწვევი ქმედებების აღიარება. გარდა ამისა, დავიკანთ ჩვენი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამ შეიძლება იმუშაოს თითოეულ პოლიტიკურ არეალში ან ინსტრუმენტში წარმეტებით. აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ჩვენ შევარჩიეთ ისეთი მაგალითები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ამ ქვეყნებში არსებული მუნიციპალიტეტების კონტექსტსა და შესაძლებლობებს შეესაბამება.

## ახალგაზრდების მონაწილეობა ინსტრუმენტები ახალგაზრდების მონაწილეობისთვის

### რატომ არის ახალგაზრდების მონაწილეობა?

ახალგაზრდების მონაწილეობა ნიშნავს ახალგაზრდების შესაძლებლობას, აქტიური გავლენა იქონიონ და ჩართული იყვნენ მათი ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეეხება ყველა დონეს - დაწყებული ინდივიდუალურიდან, დასრულებული საზოგადოებრივი დონით. მონაწილეობა მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის ეკონომიკურს, პოლიტიკურს, სოციალურს და კულტურულს, რომელშიც გაერთიანებული უამრავი არე, მათ შორის: სკოლა, თავისუფალი დრო, დასაქმება, ოჯახი, ჯანმრთელობა და ბევრი სხვა. ახალგაზრდების ჩართულობის პრაქტიკის ღირძი მათთან კარგი ურთიერთობების დამყარებას გულისხმობს, მათი განვითარების მხარდაჭერასა და მათთან ერთად ხელმძღვანელობას. რაც მთავარია, ახალგაზრდებს აძლევს მათთან თავიანთი საცხოვრებელი გარემო და სურთ, სერიოზულად იქნეს მიღებული მათი, როგორც გადამწყვეტი აქტორის წვლილი საზოგადოებაში.

ნებისმიერი კარგი ურთიერთობის მსგავსად, ახალგაზრდების მონაწილეობა ორმხრივად სასარგებლოა. ახალგაზრდების ჩართულობის კარგ პრაქტიკებზე მუშაობა მუნიციპალიტეტისთვის მრავალმხრივი სარგებლის მომტანია, მათ შორის მონაწილეობის მისაღწევად ხარისხიანი პრაქტიკის მქონე სამუშაოები მუნიციპალიტეტების მრავალფეროვნებაში, მათ შორის საკუთრების განცდის გაღრმავებული აღქმა, უფრო მეტად ჩართული მოქალაქეები და სამთავრობო დანერგულებების მეტი სანდოობა. მონაწილეობა პოლიტიკის რეფორმირებასა და ეფექტურობას განსაზღვრავს, რადგან სხვადასხვა ჯგუფებთან წვდომას უზრუნველყოფს. ის ასევე უჩენს ახალგაზრდობას შესაძლებლობას და სურვილს, დარჩნენ ან/და დაუბრუნდნენ თავიანთ მუნიციპალიტეტს.

### როგორ შევქმნათ ახალგაზრდების ხარისხიანი ჩართულობის პრაქტიკები?

თუკი ახალგაზრდების მონაწილეობისკენ მიმართული პრაქტიკის დანერგვა ან ამ პრაქტიკის გაღრმავება გადაწყვეტით, გირჩევთ, შემდეგ სამ სფეროზე გააკეთოთ აქცენტი: გადაწყვეტილების მიღება, წარმომადგენლობა და აქტივობები.

#### გადაწყვეტილების მიღება

დარწმუნდით, რომ ახალგაზრდების საჭიროებები და იდეები ინტეგრირებულია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოიწვიეთ ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების პროცესში და

მიეცით სიტყვის თქმის უფლება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მათ ეხებათ - ეს შესაძლოა იყოს ყველაფერი! გადანწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უამრავი მექანიზმი არსებობს, მათ შორის, დიალოგი, კონსულტაცია, კვლევა, ანალიზი, თანამმართველობა, და საკონსულტაციო საბჭოები.

### **წარმომადგენლობა**

“ახალგაზრდობა” წარმოადგენს ადამიანების დიდ, მრავალფეროვან ჯგუფს. წარმომადგენლობითობა უზრუნველყოფს იმას, რომ ახალგაზრდული პოლიტიკა ყველა ახალგაზრდამდე აღწევდეს. ზოგიერთი ახალგაზრდისთვის ჩართულობა გაცილებით რთულია, რადგან მათ მეტი ბარიერის გადალახვა უნევთ. ეს შესაძლოა იყოს ფიზიკური, როგორც სოფლად ან ქალაქგარეთ ცხოვრებაა, ან სოციალური, - როცა ახალგაზრდები სხვა ენაზე საუბრობენ და გარიყულ საზოგადოებას ეკუთვნიან, მაგალითად რომა, რელიგიური უმცირესობები, ან ეკონომიკური ბარერი, როდესაც ოჯახს არ აქვს საშუალება ახალგაზრდას ხელი შეუწყოს ჩართულობაში. გარდა ამისა, განსახვავებული მოლოდინებისა და ნორმების გამო, ბიჭებსა და გოგოებს მონაწილეობის სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ.

### **აქტივობები**

მონაწილეობა ასევე გულისხმობს აქტიურობას და საქმიანობას სხვებთან ერთად, გართობას და სწავლისა და განვითარებისთვის სივრცის შექმნას! შეაფასეთ, რა არსებობს ახალგაზრდებისათვის თქვენს მუნიციპალიტეტში და ვინ იღებს გადანწყვეტილებას აქტივობების დაგეგმვაში. აქტივობების დაგეგმვის პროცესში ჩართვით ახალგაზრდებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, შეიძინონ ლიდერობის და სხვა უნარები, გამოხატონ საკუთარი თავი და გაიუმჯობესონ კავშირები.

გახსოვდეთ, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა არის პარტნიორობა ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს შორის გამონვევების ერთობლივად გადასაჭრელად. ზრდასრულები, რომლებიც ახალგაზრდებთან მუშაობენ, უნდა იყვნენ მხარდამჭერი, გამგები, მოსაუბრე, ნდობის მქონე, ხელმისაწვდომი, სწავლის და სწავლების მიმართ ღია და ცნობისმოყვარე. ზრდასრულების ხმა მეტი ძალაუფლებით სარგებლობს საზოგადოებისგან, იცოდეთ ამის შესახებ და ხელი შეუწყვეთ ახალგაზრდების ხმების წინ წამოწევისას. ახალგაზრდობამ უნდა გაითვალისწინოს ზრდასრულთა მოსაზრებები უსაფრთხოების, რისკების, სტაბილურობისა და გასათვალისწინებელი შედეგების შესახებ და ხსოვდეთ, რომ ეს მოსაზრებები ეფუძნება გამოცდილებას.

# ახალგაზრდების მონაწილეობისთვის

## ● “ნუ” - ახალგაზრდების მონაწილეობაში

მფარველობას, იერარქიულ, მანიპულაციურ ურთიერთობებს უარყოფითი გავლენა აქვთ როგორც ახალგაზრდებზე, ასევე ზრდასრულებზე. მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისა და ზრდასრულების მოსაზრებებს თანაბარი წონა ჰქონდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების ჩართულობა გულისხმობს მათ ნდობას მეტი პასუხისმგებლობით, ის არ ნიშნავს მათ მითოვებას.

ჩართულობა მაშინაა ყველაზე ეფექტური, როცა ზრდასრულთა მიდგომა არა მკონტროლებელი, არამედ მხარდამჭერია. ახალგაზრდებსაც და ზრდასრულებსაც შესაძლოა ჰქონდეთ სტერეოტიპები ერთმანეთთან დაკავშირებით, ამიტომ გაატარეთ მათთან მეტი დრო ამ სტერეოტიპების დასამსხვრევად. ასევე, თუკი გიჭირთ ახალგაზრდების ჩართვა, ნუ დაასკვნით, რომ ისინი დაინტერესებულნი არ არიან. დაუთმეთ დრო მათთან ურთიერთობას და გაიგეთ, რა დამაბრკოლებელი ფაქტორები არსებობს მათი მონაწილეობისათვის. და თუკი ისინი არ გამოხატავენ ინტერესს, იკითხეთ "რატომ?" ინტერესის არქონაც კი ხანდახან მონაწილეობის ერთგვარი ფორმაა.

## ● სიბუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

ახალგაზრდული პოლიტიკის ანალიზმა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში გამოავლინა ორი კონფლიქტური რეალობა. ერთის მხრივ, სახეზეა ევროპული ახალგაზრდული პოლიტიკისა და ხარისხის კრიტერიუმების კანონმდებლობაში ინტეგრირების ტენდენციები. თუმცა, რეალურობაში აქცენტი ვეთდება პოსტსაბჭოთა მიდგომებზე ახალგაზრდობის მონაწილეობისთვის, როგორცაა პატრიოტული განათლება, სამხედრო ვალდებულება და ოჯახური ფასეულობები. (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 9).

ასეთი აქტივობები აქცენტს აკეთებს კოლექტიური ისტორიული მემსიერების განვითარებაზე, ეროვნული და კულტურულ იდენტობაზე და ახალგაზრდებისთვის ისეთი ღონისძიებების პოპულარიზაციაზე, რომელთაც ზრდასრულები თვლიან საზოგადოებისთვის სასარგებლოდ. მეტიც, ახალგაზრდების სოციალური პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული პოლიტიკის უდიდესი ნაწილი (რომელიც, გასაგებია რომ არსებობს ამ ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდების რთული ეკონომიკური პირობების კონტექსტიდან გამომდინარე), რომელიც ეხება უმუშევრობის მაღალ დონეს, ჯანდაცვისა და საცხოვრისით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს, უგულებელყოფს მონაწილეობის/ჩართულობის, როგორც მეთოდის როლს. აპ ქვეყნების უმეტესობაში, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები არიან ის აქტორები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების, peer-educator ქსელების, ახალგაზრდული ცენტრების და დაფინანსების და მხარდაჭერის სქემების შექმნაში ახალგაზრდების მონაწილეობისათვის. (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 11).

## ტრენინგი ახალგაზრდულ ჩართულობაში

ახალგაზრდული პოლიტიკის პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია ახალგაზრდულ საქმეზე, ახალგაზრდებისათვის რეკრეაციული ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაზე, ხორციელდება მუნიციპალიტეტების, სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საერთაშორისო დონორების მიერ. შეთავაზებული აქტივობები ხშირად მეორდება, ერთმანეთს ძალიან ჰგავს და ამ აქტივობებზე წვდომა ხშირად ერთსა და იმავე აქტიური ახალგაზრდობის ჯგუფს აქვს. ამან შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობების გადანაწილების და გამჭვირვალე სექტორთაშორისი თანამშრომლობის ნაკლებობა, საჭირო კომპეტენციების არარსებობა და ახალგაზრდებთან თანამშრომლობა არა ახალგაზრდების საჭიროებიდან, არამედ თვითრეალიზაციის მოტივიდან გამომდინარე. კოორდინაციის ამგვარი ნაკლებობა შედეგად იწვევს არსებული აქტივობების არათანაბარ განაწილებას; ერთ ქალაქში შესაძლოა არსებობდეს სხვადასხვა დონორების ან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებული სხვადასხვა კლუბები მაშინ, როდესაც სხვა ქალაქებში არავითარი აქტივობები არ არსებობს (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 40).

კიდევ ერთი გამოწვევა, რაც აპ ქვეყნებში ახალგაზრდების ჩართულობასთანა დაკავშირებული, არის მტკიცებულებაზე დაყრდნობილი კვლევისა და ახალგაზრდების საჭიროებების ანალიზის ნაკლებობა. მაგალითად, მოლდოვის რესპუბლიკაში არის ახალგაზრდების ჩართულობის მხარდაჭერის სტრუქტურები, რომლებიც მოიცავს ახალგაზრდულ რესურს-ცენტრებს და სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულ საკონსულტაციო დაწესებულებებს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა, მოუხედავად ამ სტრუქტურების არსებობისა, ახალგაზრდების ჩართულობა 11%-ია. ეს შესაძლოა გამოწვეულია იმით, რომ სერვისები და აქტივობები არ არის დაფუძნებული ახალგაზრდების მიერ გამოთქმულ საჭიროებებზე (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 40) შედეგად, ახალგაზრდული პოლიტიკის ციკლში ახალგაზრდების მონაწილეობა, ძირითადად, შემოიფარგლება განხორციელების ფაზით, ხოლო პოლიტიკის განვითარებისა და შეფასების ფაზებში ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ჩართულობა ფიქსირდება. ახალგაზრდების ჩართულობა უმეტესად შემთხვევითია და გამიზნულია უკვე ორგანიზებულ ახალგაზრდებზე ახალგაზრდული ორგანიზაციების მეშვეობით. (მოთამედ-აფშარი, ფრასი, 2015: 10). მეტიც, საკონსულტაციო სტრუქტურები მხოლოდ დეკორაციას ნარმოადგენს, რადგან ისინი გამორიცხულნი არიან ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესიდან. მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორებისა და კერძო ახალგაზრდული ორგანიზაციების როლს ახალგაზრდების ჩართულობის შესახებ განათლებაში. დოკუმენტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში აღნიშნავენ ახალგაზრდული სტრუქტურების მიერ ევროსაბჭოს, ევროკავშირისა და აპ შეთანხმების, ასევე სხვა შესაძლებლობებით სარგებლობის შესახებ. ბენეფიციართა შორის არიან ახალგაზრდები, ახალგაზრდული მუშაკები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ევროპის ახალგაზრდული ფონდის,

ერასმუს + და სალტოს ახალგაზრდული პროგრამების საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობენ. თუმცა, კოორდინირების და სექტორთაშორისი თანამშრომლობის ნაკლებობის გამო ამ შესაძლებლობების გამოყენება და გავრცელება ახალგაზრდების უფრო ვრცელი ნაწილისთვის ფერხდება. ეროვნულ ან რეგიონულ ახალგაზრდულ პოლიტიკაში რთულია საერთაშორისო საგანმანათლებლო შესაძლებლობების გავლენის იდენტიფიცირება.

## ახალგაზრდების ჩართულობა ინფორმაციის გავრცელების, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და მედიაში მონაწილეობის მეშვეობით

შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება უმნიშვნელოვანესი ასპექტია ახალგაზრდების ჩართულობისთვის. რეგიონში ახალგაზრდული ინფორმაცია განვითარების პროცესშია და პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. პარტნიორობის ქვეყნების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ახალგაზრდულ ინფორმაციაზე მუშაობა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, თუმცა კონკრეტული სტრატეგიების მოძიება ჭირს. ახალგაზრდული საინფორმაციო ქსელები არსებობს და ინფორმაციაც ვრცელდება, თუმცა ამას სათავეში ძირითადად ზრდასრულები უდგანან. მხოლოდ მოლდოვის რესპუბლიკაში არიან ახალგაზრდები ჩართულნი ინფორმაციის შექმნაში, შეგროვებასა და გავრცელებაში. უდიდესი გამოწვევა უკავშირდება ახალგაზრდების მომხმარებლებად და არა მომწოდებლებად აღქმას და შესაბამისად, ახალგაზრდების მედიაში ჩართულობის სრული პოტენციალი არ არის აღიარებული. მნიშვნელოვანია სტრატეგიის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდული ინფორმაციის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ახალგაზრდული მედია აქტივობების გავრცელებას ახალგაზრდებისვე ჩართვით (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 15).

რაც შეეხება საერთაშორისო შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახსენოთ ერასმუს + საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც სპეციალიზდებიან ახალგაზრდულ საქმეში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. თითოეული საინფორმაციო ცენტრი წარმოადგენს გამოცდილ ორგანიზაციას საკუთარ ქვეყანაში საინფორმაციო და პოპულარიზაციის ღონისძიებების ჩატარებით. საინფორმაციო ცენტრების მთავარი მიზანია, ერასმუს + პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს მიანოდოს ინფორმაცია შესაძლებლობების შესახებ და ხელი შეუწყონ დაინტერესებულ მხარეებს საკუთარი პროექტების განხორციელებაში (Salto-youth.net).

არც ერთ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული პოლიტიკის ჩარჩო და სამთავრობო ინსტრუმენტი, რომელიც ახალგაზრდების მოხალისეობის მეშვეობით მიღებული უნარ-ჩვევების ვალიდაციას მოახდენს. თუმცა, მოხალისეობის, ახალგაზრდული მუშაობის და არაფორმალური განათლების

აღიარების აუცილებლობა ნახსენებია (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 30) უკრაინის ანგარიშების თანახმად, ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით ევროპის ახალგაზრდული პოლიტიკის სტანდარტებისა და მოხალისეობის პრინციპების მიღებასთან დაკავშირებით პირველი ნაბიჯები გადადგმულია. თუმცა, პროგრამებს მხოლოდ განაცხადის სახე აქვს და პრინციპები მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი და ხშირად ადაპტირებულია საბჭოურ მიდგომებთან, როგორცაა პატრიოტული განათლება, ნიჭიერ ახალგაზრდებთან მუშაობა და ფართომასშტაბიანი ახალგაზრდული ღონისძიებების მოწყობა (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 30).

ქართული კანონმდებლობის თანახმად, მოხალისეობა განმარტებულია, როგორც ორგანიზებული, საზოგადოებისთვის სასარგებლო ნებაყოფლობითი საქმე, რომელსაც უსასყიდლოდ წარმართავენ ინდივიდები თავიანთი ცოდნისა და უნარების გამოყენებით. ქართული ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკით მიჩნეულია, რომ ახალგაზრდული მოხალისეობა არაფორმალური განათლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების, უნარების და ღირებულებების განვითარებისთვის, რომელიც ასე მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. საქართველოს მთავრობის პოლიტიკა მიზნად ისახავს მოხალისეობის პოპულარიზაციას, უმუშევარი ახალგაზრდების ჩართვას, საერთაშორისო დონეზე მოხალისეობის გავრცელებას და ასევე მოხალისეების ჩართვას ისეთ სფეროებში, როგორცაა სპორტი, სოცუმზრუნველყოფა, კულტურა, ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა, ჰუმანიტარული დახმარება, ჯანდაცვა, სიღარიბის დაძლევა და მრეწველობა. (ფრასი, 2018: 4) უკვე არსებობს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც პოპულარიზაციას უწევს მოხალისეობას, მათ შორისაა "ლიდერების სახლი", "სამოხალისეო პროგრამა", "ორი თაობის პროგრამა" და 'ახალგაზრდებთან მომუშავე ტრენინგების პროგრამა'. (წერეთელი, 2016: 12)

სომხეთში მოხალისეობის ძირითადი მიმართულება არის ახალგაზრდების მოხალისეობა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებში. აქ ახალგაზრდულ მუშაკთა ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია და მათი მხოლოდ მცირე ნაწილი გამოყოფს მოხალისეობრივ საქმიანობას ორგანიზაციის წევრობისგან. აქ ასევე არსებობდა სპეციფიკური სქემა სომხური დიასპორის მოხალისეებისთვის სომხეთში მოხალისეობრივი პროექტების განსახორციელებლად. (გალისტიანი, 2018: 6).

მოხალისეობის პოპულარიზაციის ერთ-ერთი დაბრკოლება აპ ქვეყნებში შესაძლოა იყოს ე.ი. შაბათობის ("სუბბოტნიკ") გამოცდილება, საბჭოთა ეპოქის დროს იძულებითი ნებაყოფლობითი საქმიანობების - დიდი საზოგადოებრივი სივრცეების ორგანიზებული დასუფთავება, რომელიც, ძირითადად შაბათ დღეს ხდებოდა. ბოლოდროინდელი კვლევები ამტკიცებს, რომ დღევანდელი ნეგატიური დამოკიდებულება პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებაში მოხალისეობის მიმართ არის სუბბოტნიკისა და მსგავსი გამოცდილების შედეგი (ფრასი, 2018: 3). ყველა ქვეყანაში, დოკუმენტებში ნახსენებია აპ ქვეყნებში



ერასმუს + , “ახალგაზრდები მოქმედებაში” (Youth in Action) და ევროპული სამოხალისეო პროექტის (ამჟამად, ევროპული სოლიდარობის კორპუსი) პოზიტიური გავლენა. ევროპის ქვეყნებში მოხალისეობის შესაძლებლობა ბევრი მოზარდისა და ახალგაზრდისთვის დიდ მოტივაციას წარმოადგენს. საერთაშორისო მოხალისეებს დიდი წვლილი მიუძღვით თავიანთ თემებში მოხალისეობის და მოხალისეობის პრინციპების გავრცელებაში.



# ახალგაზრდების მონაწილეობა და ინსტრუმენტები

## ● ახალგაზრდული პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა

როდესაც საქმე ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას ეხება, ქვეყნებში მიმოხილულ პრობლემათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის დაფინანსების საკითხი. ქვეყნების უმეტესობაში, ამერბაიჯანის გარდა, ახალგაზრდული საქმისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი ძალიან შეზღუდულია. გამონკვევები მოიცავს არასწორ მენეჯმენტს, რესურსების განაწილებისთვის არასაკმარისად გამჭვირვალე მექანიზმებს, ახალგაზრდული აქტივობების მხარდაჭერაზე პოლიტიკურ შეზღუდვებს და ახალგაზრდული რესურსების პოლიტიკური მიზნით გამოყენებას, ასევე დამოუკიდებელი მონიტორინგის და შესაბამისი შეფასების მექანიზმების არარსებობას და უფრო დიდი გრანტების გამოყოფისთვის ხელის შეშლას (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 17). ერთ-ერთი ექსტრემალური მაგალითია "პატრიოტული ბანაკები" საქართველოში, რომლისთვისაც რამდენიმე მილიონი ლარი გაიხარჯა სახელმწიფო ხაზინიდან და ახალგაზრდების ჩართულობაზე არანაირ დადებით გავლენას ადგილი არ ჰქონია (ასანიძე, 2011: 55).

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ხაზგასმით აღინიშნა ანგარიშებში უკრაინიდან შეეხება იმას, რომ ორგანიზებული ახალგაზრდები ხშირად პოლიტიკური პარტიების ნაწილს წარმოადგენენ, ამიტომ ახალგაზრდული ლიდერები პოლიტიკურად ანგაჟირებულნი არიან. ინტერესთა კონფლიქტი ხშირად ხდება ახალგაზრდული პოლიტიკის დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საჯარო მოხელეები, პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად წარმოადგენენ ერთსა და იმავე სტრუქტურებს საჯარო კონსულტაციების ან რესურსების დანაწილების პროცესში (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 30). ახალგაზრდებისთვის ნებისმიერი სარგებელი შეზღუდულია და კორუფციის სამიზნეს წარმოადგენს (ბორენკო, 2011: 12).

## ● ახალგაზრდების ორგანიზაციების, ახალგაზრდების მონაწილეობისა და თანამშრომლობითი მართვის ხელშეწყობა

ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერის მექანიზმებში, ჩართულობა ყოველთვის იყო განისაზღვრებოდა ევროპული სტანდარტებით და თანამმართველობის პრინციპებით, თუმცა განხორციელების სტრატეგია და ეფექტურობა ყოველთვის პრობლემატური იყო. ამან გამოიწვია თანამმართველობის პრინციპების გადატანა ფურცელზე, თუმცა რეალობაში მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

რეგიონში ყურადღება გამახვილებულია საკონსულტაციო სტრუქტურებზე, თუმცა

მხოლოდ ახლახან დაიწყო მოლდოვაში პირველი ქმედებები ასეთი სტრუქტურების შექმნის მიზნით. ანამშრომლობითი მართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ფორმაა და რეგიონში ახალგაზრდული პოლიტიკის მომავალს წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განვითარებული. (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 16)

ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით რთულია სიტუაცია ბელარუსში, სადაც ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობას და სიტყვის თავისუფლებას ზღუდავს ბელარუსის მთავრობა. ბელარუსის სახელმწიფოში ახალგაზრდული პოლიტიკის ანგარიშების მიხედვით, ახალგაზრდების მონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოებაში მხოლოდ იმ სფეროებზე ვრცელდება, რომელსაც თავად მთავრობა ირჩევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ თავისუფლად იმონაწილეონ ან გამოხატონ საკუთარი მოსაზრება მხოლოდ ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა სოციალური ღონისძიებები, სპორტი, კულტურა, პატრიოტული განათლება და ტურიზმი. პოლიტიკური მონაწილეობა და რეჟიმის კრიტიკა ისჯება (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 23).

## ● ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებში

ზოგადად, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ახალგაზრდობა არც ისე აქტიურია პოლიტიკაში, კულტურულად კი ახალგაზრდა მამაკაცები ახალგაზრდა ქალებზე უფრო აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკის ვეფებაში. თუმცა, სიტუაცია იცვლება. ახალგაზრდები მხარს უჭერენ თავიანთ თემებში პოლიტიკურ ცვლილებებს და მონაწილეობენ რეფორმაციებში (სომხეთი, უკრაინა, საქართველო, მოლდოვა და ბელარუსი), პროტესტებსა და დემონსტრაციებში ყველა ქვეყანაში. შესაბამისად, ახალგაზრდები წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს და ხელს უწყობენ იმ პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს, რომლისაც სწამთ. (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 11).

ოფიციალურად, ეს კანონები მიზნად ისახავდა საერთაშორისო ფონდებისთვის არალეგალური, არასახელმწიფოებრივი საქმიანობის დაფინანსების აღკვეთას. თუმცა, ას ორგანიზაციებში მომუშავე რამდენიმე თანამშრომელმა განაცხადა, რომ სწორედ ამან იქონია ძირითადი ნეგატიური გავლენა არასამთავრობო და ახალგაზრდულ სექტორზე. (Polese, 2017: 17)

სამოქალაქო საზოგადოებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ყველაზე პოპულარული გზა არასამთავრობო ორგანიზაციებით ხორციელდება. საქართველოში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე 190-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა (წერეთელი, 2018: 6). არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო გარემო სტაბილურია მთავრობისგან მცირე შეზღუდვების პირობებში. აზერბაიჯანში 200-ზე მეტი დარეგისტრირებულია ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია. 2014 და 2015 წლებში მთელი რიგი ახალი კანონები იქნა აქ მიღებული, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოურ ფონდებსა და არასა-

მთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული კორუფციის და ფულის გათვთრების პრობლემასთან გამკლავებას. ოფიციალურად, ეს კანონები მიზნად ისახავდა საერთაშორისო ფონდებისთვის არალეგალური, არასახელმწიფოებრივი საქმიანობის დაფინანსების აღკვეთას. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე რამდენიმე თანამშრომელმა გამოთქვა პრეტენზია და განაცხადა, რომ სწორედ ამ რეგულაციებმა იქონია მთავარი ნეგატიური გავლენა არასამთავრობო და ახალგაზრდულ სექტორზე. (Polese, 2017: 17)

სომხეთში მოქმედი ახალგაზრდული სტრუქტურების ძირითადი სახეობებია ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები და პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთები. სომხეთში რეგისტრირებულია 3000-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა 50% ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციებია. (თადევოსიანი, ლავჩიანი, მინასიანი, 2011: 6). ანგარიშები უკრაინიდან მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ მიერ ახალგაზრდების ეფექტური ჩართვა ვერ ხერხდება. გამოკითხვების მიხედვით, ახალგაზრდა უკრაინელების მხოლოდ 2% არის რომელიმე ორგანიზაციის წევრი და მათი მხოლოდ 6% მონაწილეობს ორგანიზაციის აქტივობებში (პოლიზი, 2017: 8). ბელარუსში ორგანიზაციათა 10% ახალგაზრდული ორგანიზაციებია. მათი კატეგორიზება 2 ჯგუფშია შესაძლებელი. პირველი, მთავრობის მიერ აღიარებული და მხარდაჭერილი და მეორე, არაფორმალურად არსებული ორგანიზაციები, რომელთაც არსებობისთვის ბრძოლა უწევთ. ამ უკანასკნელს ასევე სახელმწიფო შეზღუდვებთან და რეგულაციებთან გამკლავება უწევთ. (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 24).

აღმოსავლეთის პარტნიორობის ზოგიერთ ქვეყანაში სპეციფიკური სიტუაციაა სტუდენტური კავშირების მხრივ, რომლებიც, წესით აქცენტს სტუდენტთა უფლებების ადვოკატირებაზე უნდა აკეთებდეს. ამგვარ კავშირებს ხშირად იყენებენ ახალგაზრდები პოლიტიკაში მოსასვლელად სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ფარული ან აშკარა მხარდაჭერით. ბევრი სტუდენტური კავშირი, ფაქტობრივად, წარმოადგენდა პოლიტიკური პარტიების ან სოციალური მოძრაობების ახალგაზრდული ფრთების გაგრძელებას და ამიტომ არ კონცენტრირდებოდა მხოლოდ სტუდენტთა უფლებების ადვოკატირებაზე. ეს ტენდენცია ძირითადად ეხებოდა სტუდენტური კავშირების ლიდერებს და არა ყველა წევრს, თუმცა ეს ყოველივე ისევ ხდება ბევრ ქვეყანაში. (ასანიძე, 2011: 34).

# ინსტრუქცია 1

## ახალგაზრდების ინფორმირება

### რას გვეუბნება განახლებული ქართი ამის შესახებ?

ინფორმაცია გასადებია! ახალგაზრდული აქტივობების, შესაძლებლობების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა ახალგაზრდების სამოგადოებაში მონაწილეობის შანსს ზრდის. მეტიც, ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ ინფორმაციის ცოდნა ახალგაზრდებს ეხმარება ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ თავიანთ ცხოვრებაში და ჩაერთონ ადგილობრივ და რეგიონულ პოლიტიკაში, ეკონომიკაში და სამოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, საცხოვრისთან, უსახლკარობასთან, დასაქმებასთან, სექსუალობასთან, სამართალთან, უფლებებთან, განათლებასთან, მედიკამენტებთან, ჯანდაცვასთან, კარიერულ წინსვლასთან, ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებში. ახალგაზრდებს აინტერესებთ და სურთ მეტი გაიგონ და ისწავლონ. ამის ფონზე კი სწორი და ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნაკლებობა მონაწილეობისთვის ძირითად ბარიერს წარმოადგენს.

მხარი დაუჭირეთ იმ საინფორმაციო ცენტრებს, რომლებიც ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტულია. ეს ცენტრები შესაძლოა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ დანესებულებებს ან განთავსებული იყოს სკოლებში, ბიბლიოთეკებში, ახალგაზრდულ კლუბებსა და იმ ადგილებში, სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან. ყველა ღონე იხმარეთ ახალგაზრდობაში ინფორმაციის გასავრცელებლად და გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი მათგანი გარიყულია. მაგალითად, ესენი შეიძლება იყვნენ ახალგაზრდები, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა, ან საუბრობენ სხვა ენაზე, აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, არიან ჩართული დანაშაულებრივ ქმედებებში ან ცხოვრობენ დაუცველ, ღარიბ რაიონში.

ინფორმაციის გასავრცელებლად შექმენით ციფრული საინფორმაციო პლატფორმები, როგორცაა ვებ-გვერდები და საკომუნიკაციო აპლიკაციები. ინფორმაცია გამუდმებით განახლებეთ და შეუხამეთ ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს. ახალგაზრდების ინფორმირება ასევე გულისხმობს ინფორმირებულობას, საქმის კურსში ყოფნას ახალგაზრდების თვალთახედვიდან გამომდინარე!

ინფორმაცია გაეცით პროფესიონალურად, თანმიმდევრულად და შეუწყვეთ ხელი, იყოს ეს კომუნიკაცია ორმხრივი, რათა ახალგაზრდებს შეეძლოთ კითხვების დასმა, უკუკავშირი და ინფორმაციის გავრცელებაში ჩართვა. ინფორმაციის პირისპირ, სანაცნობო ქსელში გადაცემა მისი გავრცელების საუკეთესო გზაა.

## ციფრული პლატფორმები და ტელეკომუნიკაცია

Ungdomar.se არის ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად გაკეთებული ციფრული პლატფორმის მაგალითი. ეს ვებგვერდი დამზადებულია შვედური არასამთავრობო ორგანიზაცია Fryshuset მიერ და საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს ერთად განიხილონ სხვადასხვა საკითხი, შექმნან და წაიკითხონ ბლოგები, დასვან შეკითხვები და მიიღონ ინფორმაცია. ახალგაზრდები მონაწილეობენ ვებგვერდის შინაარსის შექმნაში, პირდაპირ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან და ახალგაზრდულ მუშაკებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ვებგვერდი ახალგაზრდებთან საკონსულტაციოდ.

## ახალგაზრდა ელჩები და მობილური ახალგაზრდული მუშაკები

მოიწვიეთ ახალგაზრდები ახალგაზრდების ჯგუფებთან და კლასებთან სასაუბროდ. ახალგაზრდობის ელჩების მოწვევა სკოლებში სასაუბროდ, როგორც, მაგალითად ეს თეთრინყაროს მუნიციპალიტეტმა ჩატარდა, ახალგაზრდებს აცნობს არსებულ შესაძლებლობებს და ეხმარება კავშირების გაფართოებაში. ახალგაზრდებს სხვა ახალგაზრდებამდე წვდომა შესანიშნავად გამოსდით და სწორედ ეს უწყობს ხელს ღია დისკუსიებს მათ შორის, რაც ხშირად რთული მისაღწევია უფროსი ლიდერებისთვის. ახალგაზრდებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, დაგვემონ სხვადასხვა აქტივობები, ჩაატარონ სემინარები ადამიანის უფლებების, აქტიური მოქალაქეობის და მონაწილეობის შესახებ.

კოლუმბიურმა ორგანიზაციამ, რომელიც მშვიდობის მშენებლობის თემაზე მუშაობს სოფლის ახალგაზრდებთან, დაიწყო არჩევნების პროცესი რეგიონის თითოეულ სოფელში ახალგაზრდების წარმომადგენლის ასარჩევად.

ამ ახალგაზრდებს რეგულარული შეხვედრები აქვთ, მართავენ დისკუსიებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და შემდგომ, ბრუნდებიან თავიანთ სოფლებში და ამ ინფორმაციას საკუთარ თემებში აწვდიან დანარჩენ ახალგაზრდობას. ამ ყველაფრის შედეგად ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტთან პირდაპირი კავშირი აქვთ. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და ექსპერტების მოწვევა ახალგაზრდებთან შეხვედრებზე დისკუსიების გასამართად.

პროექტი კუოპიოში (ფინეთი) ორიენტირებულია სოფლის ახალგაზრდობასთან წვდომაზე, რადგან ისინი დიდ პრობლემებს აწყდებიან გადაადგილების და მოგზაურობის თვალსაზრისით. ამის გამო, ახალგაზრდული მუშაკები რეგულარულად ჩადიან კუოპიოს მიმდებარე სოფლებში ახალგაზრდებთან დაკავშირების, მათთვის აქტივობების ჩატარების, მოსმენისა და ინფორმაციის გაცემის მიზნით.

**- ნუ გამოიყენებთ გადმეტად რთულ ტერმინოლოგიას**

ფორმალური სასაუბრო ენა მნიშვნელოვანია და ხშირად, სავალდებულოც, მაგრამ დარწმუნდით, რომ თქვენი ინფორმაცია, რომლის ხალხამდე მინოდებას ცდილობთ, მორგებულია ახალგაზრდობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე. ისწავლეთ ეფექტური კომუნიკაცია ახალგაზრდებთან ერთად, ან დაესწარით ERYICA-ს სასწავლო კურსს. ახალგაზრდულ ინფორმაციაზე სამუშაოდ ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, შეგიძლიათ განაცხადით მიმართოთ ახალგაზრდული ინფორმაციის განვითარების ფონდს.

**- ნუ ჩამორჩებით**

რეტრო და ვინტაჟი ძალიან მაგარია, თუმცა საინფორმაციო ტექნოლოგიები ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ხანდახან რთულია მიჰყვე. ძალიან მნიშვნელოვანია იყოთ საქმის კურსში, თუ რა ტიპის მედიას იყენებს ახალგაზრდობა, რათა მათი შემდგომი აქტიური გამოყენება მოახერხოთ.

**- ნუ დაივიწყებთ ვიზუალურ მხარეს**

ჩართეთ ახალგაზრდა დიზაინერები ღონისძიებებისა და სიახლეებისთვის პოსტერების შექმნაში. ერთდეთ განცხადებების დაფაზე მიკრულ უბრალოდ ვორდის დოკუმენტებს, თუკი ამაში ძალისხმევას ჩადებთ, სიახლე ყურადღებასაც აუცილებლად დაიმსახურებს.

**- ხარისხი რაოდენობის ნაცვლად**

მარტივია იამაყო იმ ახალგაზრდების რაოდენობით, რომელთანაც თქვენ ინფორმაციის მინოდებას ახერხებთ, მაგრამ ხარისხი რაოდენობაზე ბევრად მნიშვნელოვანია. რამდენი ახალგაზრდა ხვდება იმ ინფორმაციის მნიშვნელობას, რასაც აწვდით? ეცადეთ, დაინესოთ არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი სტანდარტები ინფორმაციის მინოდების მიმართულებით.

**- ნუ იქნებით უპატივცემულო**

ახალგაზრდები აფასებენ თანაბარ მოპყრობას, მნიშვნელოვანია მათთან ურთიერთობისას გამოიჩინოთ პატივისცემა და მიმღებლობა.

**- ნუ გარიყავთ ახალგაზრდებს ინფორმაციის შექმნის პროცესიდან**

ინფორმაციის შექმნისა და ახალგაზრდებამდე მისი მინოდების საუკეთესო გზა ახალგაზრდების პროცესში ჩართვაა. მათ იციან რა შეტყობინებებს და არხებს იყენებენ სხვა ახალგაზრდები და როგორია მათთვის გასაგები ენა. ჩართეთ ახალგაზრდები ინფორმაციის შექმნის და დისტრიბუციის პროცესებში.

# ინსტრუქციები 2

ორენინგი ახალგაზრდულ ჩართულობაში - ახალგაზრდების ჩართულობაზე ცოდნის და კრაქტიკის გამდიდრება

## რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

ახალგაზრდების მონაწილეობის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აქვთ ამგვარი მონაწილეობის თემა შემეცნებელი ზრდასრულებს, არიან თუ არა აღჭურვილნი ახალგაზრდებთან მუშაობის და მათი მხარდაჭერისთვის საჭირო უნარებით და იციან თუ არა, როგორ უხელმძღვანელონ მათ თავიანთი იდეების განხორციელების პროცესში. სკოლები, ასოციაციები და ადგილობრივი თემები ის ადგილებია, სადაც ახალგაზრდები დიდ დროს ატარებენ და უფროსებთანაც ხშირი კონტაქტი აქვთ, შესაბამისად, ბუნებრივია, ახალგაზრდების ჩართულობის პრაქტიკული განხორციელება სწორედ ამ არეებიდან რომ დაიწყოს.

ახალგაზრდების ჩართულობაზე ეფექტური მუშაობისთვის, დარწმუნდით, რომ სკოლის მასწავლებლები, ახალგაზრდული მუშაკები და ყველა სხვა, ვინც ახალგაზრდებთან მუშაობს, ახალგაზრდების მონაწილეობასთან, ადამიანის უფლებებთან, სამოქალაქო და არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებულ გადამზადებას გადიან. ახალგაზრდებს სჭირდებათ რჩევა, ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა, რათა უკეთ გაერკვნენ იმ მოქმედებებსა და გადანიშნულებების მიღების პროცესებში ჩართვის საკითხებში, რომელიც მათ თავიანთ სკოლებში, ახალგაზრდულ ჯგუფებსა და თემებში ეხებათ. მათ ასევე უნდა ჩაატარონ საგანმანათლებლო აქტივობები, რჩევები მისცენ და მხარი დაუჭირონ ახალგაზრდებს და უზრუნველყონ, ეს აქტივობები იყოს ორგანიზებული ახალგაზრდების საჭიროებებზე დაყრდნობით. გაზარდეთ მოსწავლეების ჩართულობა სკოლაში მათთვის სამოქალაქო განათლების პროგრამების გაცნობით, რომლებიც ფოკუსირებულია მონაწილეობაზე, უფლებების გაცნობაზე და მათზე უშუალო გავლენის მქონე გადანიშნულებების მიღების პროცესში ჩართვის გზებზე.





## ტრენინგი და პროფესიონალური განვითარება

აღიარეთ ახალგაზრდული საქმე სპეციალიზებულ პროფესიად, რომელიც პროფესიულ განათლებას საჭიროებს ახალგაზრდების ჩართულობაში. ეს მიზნად ისახავს ახალგაზრდული მუშავეების აღჭურვას საჭირო ცოდნით და უნარებით ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად მნიშვნელოვანი და საინტერესო აქტივობების დასაგეგმად/ორგანიზებისთვის და ასევე ხელს შეუწყობს მათ სოციალურ განვითარებას. 'Teach for Armenia' არის ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდებს ასწავლის ფორმალური და არაფორმალური განათლების მეთოდებს. ეს ახალგაზრდები შემდგომ ასწავლიან აუთვისებელ არეალებში არსებულ სკოლებში არაფორმალური განათლების პრაქტიკული განხორციელების გაფართოების მიზნით. ეს კი ხელს უწყობს სასკოლო ახალგაზრდული კლუბების გაჩენას.

## გაცვლა და თანამშრომლობა

ხელი შეუწყვეთ პედაგოგიურ ინოვაციებს და წაახალისეთ მასწავლებლები, ჩართონ არაფორმალური და შემოქმედებითი სასწავლო მეთოდები, გამოიყენონ საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის მეთოდი გაკვეთილების დაგეგმვაში. eTwinning არის საერთაშორისო საკლასო გაცვლითი პროექტი, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ქვეყნიებიდან სკაიპის საშუალებით ერთგვიან ახალგაზრდები. ერთი ასეთი პროექტი მოლდოვაში, რუმინეთსა და იტალიაში ემსახურებოდა ახალგაზრდებისთვის და მასწავლებლისთვის ახალი ქვეყნებისა და კულტურების გაცნობას და ასევე, ბავშვების ჩართვას თავიანთი კულტურების პრეზენტაციაში.

## სასწავლო აქტივობები ახალგაზრდულ ჩართულობაში

მსოფლიოს მასშტაბით ეწყობა ღონისძიებები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. მოაწყვეთ ახალგაზრდული პოლიტიკის და ახალგაზრდების ჩართულობის სხვადასხვა ასპექტებზე კონცენტრირებული საგანმანათლებლო და სასწავლო ვორკშოფები და სემინარები ამ დღის განმავლობაში. ეს შესაძლოა ახალგაზრდებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სკოლებთან და მუნიციპალურ ლიდერებთან ერთად განხორციელდეს. ახალგაზრდა ლიდერებს შეუძლიათ დღის სხვადასხვა მონაკვეთის წაყვანა და შესაბამისად, ორივეს - ახალგაზრდებსაც და ზრდასრულებსაც შეეძლებათ პრაქტიკულად მონაწილეობა ღონისძიებებში. გაერო გთავაზობს სახელმძღვანელოს ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

**- ნუ შეეცდებით ამის მართო გაკეთებას**

ითანამშრომლეთ! გაიარეთ კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ახალგაზრდულ მუშაკებთან და ახალგაზრდებთან თქვენი რაიონიდან, რათა მოისმინოთ მათი საჭიროებები ტრენინგებთან და აქტივობებთან დაკავშირებით.

**- ნუ გამეორდებით**

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი აქტივობები შესაძლოა, ძალიან ჰგავდეს იმას, რასაც თქვენ გეგმავთ. ორი სხვადასხვა აქტივობის გაკეთების მაგივრად, იპოვეთ გზა თანამშრომლობისთვის. ეცადეთ აქტივობები ისეთ არეალებში განახორციელოთ, სადაც ბევრი სხვა შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვის არ არსებობს.

**- ნუ ჩაატარებთ აქტივობას, რომელიც ცრუ მიზნებს**

დიდი დასასვენებელი ღონისძიებები, პატრიოტული განათლება და ეროვნული ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული აქტივობები არ ნიშნავს ახალგაზრდების მონაწილეობას. კონცენტრირდით ისეთ აქტივობებზე, რომლებიც ახალგაზრდებს აინტერესებთ და არა იმ აქტივობებზე, რომელსაც თქვენ თვლით ერისთვის სასარგებლოდ და საჭიროდ. ახალგაზრდების ინტერესებია ერისთვის

# ინსტრუქცია 3

## ახალგაზრდების პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა

### რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

ახალგაზრდებს ხშირად აქვთ იდეები საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრასთან და ცხოვრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და ამ ყოველივეს განსახორციელებლად საჭარო მოხელეებისგან მხარდაჭერას საჭიროებენ. ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა საჭარო მოხელეებს და ახალგაზრდებს შორის ნდობას აღვივებს. თანამშრომლობა, მაგალითად, გაერთიანებული ძალებით სასწავლო აქტივობებზე, სათემო პროექტებსა და პლატფორმებზე მუშაობა საჭარო მოხელეებს და ახალგაზრდებს შორის ხიდის შენებას ეხმარება და ანაწილებს როლებს ამ ორს შორის. ეს ასევე ეხმარება ახალგაზრდებს ისწავლონ, თუ როგორ მუშაობს სისტემა, ვის უნდა ესაუბრონ, როგორ უნდა წერონ და წარადგინონ საკუთარი პროექტები და როგორ უნდა იურთიერთონ პროფესიონალებთან.

ახალგაზრდების პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერის საუკეთესო გზა ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობა და ამ პროექტების განსახორციელებლად პროფესიონალური დახმარებაა. ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების წარმომადგენლებს შეუძლიათ ამ ინიციატივების მხარდაჭერა ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით.



## კარგი პრაქტიკის მაგალითები

### შეხვედრა ახალგაზრდებთან - გორი და გუგდიდი, საქართველო

შეხვედით ახალგაზრდებს, რომელთაც პროექტებისა და ინიციატივების იდეები აქვთ. გორში გამართული ახალგაზრდული გაცვლის განმავლობაში ახალგაზრდებს ჰქონდათ შესაძლებლობა წარედგინათ გორში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებები და ამ საჭიროებების გადამწყვეტი იდეები გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის.

აქტიურად მოუსმინეთ ახალგაზრდებს, როდესაც ისინი თავიანთ შეთავაზებებს წარუდგენენ საბჭოს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებს გზებზე არსებული ორმოების პრობლემის გადაჭრის იდეა დაეხმად. მათ აიღეს ინიციატივა და საკუთარ მუნიციპალიტეტს მისწერეს ამის შესახებ, რასაც შემდგომ დიდი კამპანია მოჰყვა.

მიიღეთ ახალგაზრდების ინიციატივები და უპასუხეთ მათ.

### ფონდები ახალგაზრდული პროექტებისთვის - ბორასი და ანგერედი, შვედეთი

გამოყავით ბიუჯეტი ახალგაზრდების (10-25 წლის ასაკობრივი ჯგუფი) პროექტების მხარდასაჭერად. ბორასის მუნიციპალიტეტში იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც თანატოლებისთვის აქტივობებს ატარებენ, გამოყოფილია ფონდი 300 ევროს ოდენობით. ამ შემთხვევაში, მუნიციპალურ ახალგაზრდულ მუშაკთა გუნდი განიხილავს აპლიკაციებს და გადანყვეტილებას იღებს პროექტების დაფინანსების თაობაზე.

შვედეთის მეორე ნაწილში, ანგერედში, ადგილობრივი ახალგაზრდული საბჭო განიხილავს აპლიკაციებს და წყვეტს, როგორ შეიძლება ფონდის განაწილება ახალგაზრდების მიერ ორგანიზებული აქტივობებისთვის. დაფინანსებასთან ერთად ახალგაზრდებს აქვთ ახალგაზრდული მუშაკის მხარდაჭერა აპლიკაციის მომზადებაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

## ნუ

### - ნუ დაუშვებთ ფაქტორიტეტსა და ნაპოტიტს

ეს ცუდი პრაქტიკა არ არის უნივერსალური, თუმცა ნამდვილად ფართოდაა გავრცელებული. ეს ახალგაზრდების მონაწილეობისთვის ზურგში დანის ჩართვმას უდრის და ხელს უწყობს ლიდერებისა და წარმომადგენლებისათვის ცუდი რეპუტაციის ჩამოყალიბებას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გასტანს.

## **- ნუ დატოვებთ მართო**

ხანდახან თინანსური დახმარება ნამდვილად არ კმარა, ახალგაზრდებს მხარდაჭერა პროექტის განვითარების ყველა ეტაპზე სჭირდებათ, მათ შორის - ინიციატივის წარდგენის, პროექტის განხორციელების და შეფასების სტადიებზე. იქონიეთ კონსულტაციები ახალგაზრდულ მუშაკებთან და შეათანხმეთ, როგორ უნდა გაკეთდეს ეს, როგორ არ გადავაჭარბოთ იმას, რაც საჭიროა.

## **- ნუ იტყვით უარს დაუყოვნებლივ!**

არ არსებობს ძალიან დიდი ან ძალიან პატარა იდეები. როდესაც ახალი იდეის შესახებ შეიტყობთ, ნუ იტყვით არას! იმუშავეთ ერთად, რომ იდეა განხორციელდეს. ახალგაზრდები ხშირად ხედავენ შესაძლებლობებს და კრეატიულ გამოსავალს და უფროსებისგან ადვოკატირებას საჭიროებენ.

# ინსტრუქცია 4

ახალგაზრდების ორგანიზაციების, ახალგაზრდების მონაწილეობისა და თანამშრომლობითი მართვის ხელშეწყობა

## რას გვეუბნება განახლებული ქარტია ამის შესახებ?

ახალგაზრდების მიერ შექმნილი და ორგანიზებული ჯგუფები მონაწილეობის შესახებ სწავლისათვის იდეალურ გზას წარმოადგენს. ამ ჯგუფებში, ახალგაზრდებს შეუძლიან თქვან სათქმელი გადანყვეტილების მიღების პროცესში, აქვთ შესაძლებლობა აიღონ პასუხისმგებლობა და ისწავლონ გადანყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ.

ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გამოყოფილი სახსრები ახალგაზრდული კლუბებისა და ჯგუფებისათვის, განსაკუთრებული აქცენტი კი უნდა იყოს ახალგაზრდების მიერ წამოწყებულ და ორგანიზებულ ჯგუფებზე.

ევროპულ დონეზე და ზოგიერთ ქვეყანაში ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე თანამმართველობა არსებობს. ეს გულისხმობს სტრუქტურის არსებობას, სადაც საჭარო მოხელეები და ახალგაზრდები, რომლებიც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს და გადანყვეტილებებსაც ერთად იღებენ. ორივე მხარეს უნდა ჰყავდეს თანაბარი წარმომადგენლობა და უფლებები. როდესაც მთავრობები აარსებენ ასეთ სტრუქტურებს, ახალგაზრდებს უჩინდებათ შესაძლებლობა და უნარი ჩაერთონ იმ გადანყვეტილებების და მოქმედებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხება.



## კარგი პრაქტიკის მაგალითები

### ახალგაზრდა ლიდერთა აკადემია - ბორასი, შვედეთი

ახალგაზრდა ლიდერთა აკადემია არის ტრენინგი არასამთავრობო ორგანიზაციებში და სამოხალისეთ ორგანიზაციებში აქტიური ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სოციალურად დაუცველ თემებში მუშაობენ. 16-18 წლის 10 ახალგაზრდა ესწრება 30-საათიან ლიდერობის ვორქშოპებს და მუშაობს ასოციაციებში 120 საათის განმავლობაში, სადაც თავიანთ ახალშეძენილ უნარებს პრაქტიკულად იყენებენ. ეს პროექტი მხარდაჭერილია ერთობლივად სხვადასხვა მუნიციპალური დეპარტამენტის მიერ - რეკრეაციის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის, დასაქმების დეპარტამენტის, ადგილობრივი ასოციაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

### თანამმართველობა - სერბეთი

თანამმართველობა არის კომპლექსური პრაქტიკა, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ურთიერთობების დამყარებას, ძალაუფლების გადანაწილებას და წარმატებებისა და წარუმატებლობის ციკლებს. პრინციპი გამოყენებულ იქნა საფუძვლად ბევრი პროექტისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდული საბჭოების გადანაცვლებების მიღების პროცესში მრდასრულთა თანაბარუფლებიანად ქცევას. ახალგაზრდული საბჭოები 2000 წელს სერბეთის ეროვნული პოლიტიკის ნაწილი გახდა და 2008 წელს სერბეთის სამ რეგიონში დაიწყო ტრენინგები ეროვნული სამოქმედო სტრატეგიის ფარგლებში. ასევე გაიმართა კონფერენცია ხორვატიის ახალგაზრდული ქსელის (Mreža mladih Hrvatske), MNE ფორუმის, მონტენეგროს და ბოსნია და ჰერცეგოვინას (ASuBiH) საშუალო სკოლის ასოციაციის თაოსნობით, რომ განეხილათ კონცეფცია, გაეზიარებინათ წარმატება, აღმოეჩინათ გამოწვევები და შეემუშავებინათ რეკომენდაციები მოდელის გაუმჯობესების მიზნით. ამ ნაშრომებს წარმატების სხვადასხვა დონეები აქვს და ამაზე მუშაობა დღემდე

## 55

### -55 მისცემთ პრივილეგიას თქვენს პოლიტიკურ პარტიასთან ან მთავრობასთან დაახლოვებულ ორგანიზაციებს

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ამის განხორციელება გამოწვევებთან არის დაკავშირებული, მთელი საზოგადოება ისარგებლებს, თუკი მის მიერ არჩეული წარმომადგენლები კლურალიზმსა და მრავალფეროვნებას შეუწყობს ხელს ყველა დონეზე. მხოლოდ იმ ჯგუფებისთვის პრივილეგიის მინიჭებით, რომლებიც თქვენს პოლიტიკას უჭერენ მხარს, თქვენ დათვურ სამსახურს უწევთ მთელ თემსა და საზოგადოებას.

## -ნუ შეუნყოფთ ხელს ცრუ მონაწილეობას

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ამის განხორციელება გამონწვევებთან არის დაკავშირებული, მთელი საზოგადოება ისარგებლებს, თუკი მის მიერ არჩეული წარმომადგენლები პლურალიზმსა და მრავალფეროვნებას შეუნყოფს ხელს ყველა დონეზე. მხოლოდ იმ ჯგუფებისთვის პრივილეგიის მინიჭებით, რომლებიც თქვენს პოლიტიკას უჭერენ მხარს, თქვენ დათვურ სამსახურს უწევთ მთელ თემსა და საზოგადოებას.

## ნუ დაივიწყებთ ახალგაზრდების უნარებს

გნებავთ ძლიერი ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც ხელს შეუნყოფს ახალგაზრდულ პოლიტიკას? ახალგაზრდული ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ახალგაზრდული საკითხების თანამმართველობაში? ორგანიზება გაუწიეთ ტრენინგებს, რომლებიც ისეთი კომპეტენციების განვითარებაზეა ორიენტირებული, რომლებსაც ახალგაზრდები საჭიროებენ. მაგალითად, პროექტის მენეჯმენტი, დებატები, კომუნიკაცია, ბიუჯეტირება და გადრმავებული ცოდნა თემატურ არეალეებში. მაგ. გარემო და კულტურა.




# ინსტრუქციები 5

ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა არასა-  
მთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებში

## რას გვეუბნება განახლებული ქარტია ამის შესახებ?

ნაახალისეთ ახალგაზრდები, შეუერთდნენ მისიებს და ყველანაირ ორგანიზაციებს. მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ არჩევანი, შესაძლებლობა და მხარდაჭერა, ჩაერთონ ყველანაირ ორგანიზაციასა და ჯგუფში, მათ შორის, პოლიტიკურ პარტიებსა და კონკრეტულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებში. ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ უნდა დააფინანსოს ის ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან და მხარს უჭერენ ახალგაზრდებს და რთავენ თავიანთ აქტივობებსა და სტრუქტურებში ყველა დონეზე. მათ ასევე მხარი უნდა დაუჭირონ ყველა პოლიტიკურ პარტიას, რათა მათ ახალგაზრდები პოლიტიკაში გააქტიურებით დააინტერესონ.



## კარგი პრაქტიკის მაგალითები

### შესაძლებლობების ბაზარი

შესაძლებლობების ბაზარი არის არასამთავრობო ორგანიზაცია SONDIP-ის მიერ მოწყობილი ღონისძიება, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ მოსვლა და მუშაობასთან დაკავშირებულ გლობალური საკითხების გაცნობა ადგილობრივ 40-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად. ეს ემსახურება ცნობიერების ამაღლებას და ორგანიზაციებში ჩართულობის ნახალისებას. ადამიანებს შეუძლიათ გაესაუბრონ ამა თუ იმ ორგანიზაციის წარმომადგენელს და გაეცნონ მათ მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს მონაწილეობისთვის.

შეგიძლიათ ეს მთარგოთ თქვენს ადგილობრივ კონტექსტს და ჩართოთ ბიზნესიც, პოლიტიკური პარტიები, კულტურის და სპორტული ორგანიზაციები. შექმენით დღე ახალგაზრდებთან ერთად!

### ახალგაზრდებისთვის საარჩევლო პროცესის და დემოკრატიული ინსტიტუტების გაცნობა

ლიდსში, ინგლისში, საბავშვო ქალაქების ინიციატივის ფარგლებში გაერთიანდა საარჩევნო პროცესები და ხმის მიცემა. ყოველწლიურად ლიდსის ახალგაზრდობა ირჩევს 'ბავშვთა მერს'. თითოეული სკოლა წარადგენს მეხუთე კლასის ასაკიდან (11 წლის) მოყოლებული კანდიდატს, რომელსაც აქვს იდეები და სურს დაინახოს ცვლილებები ლიდსში. შემდეგ ახალგაზრდების კრება ირჩევს 12 კანდიდატს, რომელთაგანაც 18 წლამდე ახალგაზრდები არჩევნების გზით მერს ირჩევენ. გამარჯვებული ხდება ბავშვთა მერი და წარმოადგენს ახალგაზრდებს სხვადასხვა სამოქალაქო ფუნქციებში. გარდა ამისა, ქალაქის საბჭო ასევე კენჭს უყრის ბავშვთა მერის მანიფესტის პოლიტიკაში დანერგვას და ინიციატივის განხორციელებას ხელს უწყობს. 7,770-მა ახალგაზრდამ და ბავშვმა იმონაწილევა 2018 წლის არჩევნებში და აირჩა მერი, - ბიჭი, რომელიც ლიდსის თემში რასიზმის დაძლევის ცდილობს.

## ნუ

### -ნუ შექმენით ახალგაზრდულ ორგანიზაციებს თქვენი პოლიტიკური დღის წესრიგის მხარდასაჭერად!

ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების, სტუდენტური გაერთიანებების და საბჭოების პოლიტიკური პარტიის ფრთად ან მათ მიერ თქვენი პოლიტიკური დღის წესრიგის მხარდაჭერის გამოყენება მეტი ახალგაზრდას ხმის მოსაპოვებლად შესაძლოა მიმზიდველ გზად ჩანდეს. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს მოგიტანთ პოლარიზაციის დიდ პრობლემებს. ახალგაზრდულ ჯგუფებსა და ორგანიზაციებთან პარტნიორობით, მათი ნათქვამის მოსმენით და პატივისცემით კი თქვენს საზოგადოებას დადებით ცვლილებებს მოუტანთ.

## ნუ მიიჩნევთ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციას საფრთხედ!

ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები საუკეთესო გზაა ახალგაზრდებისთვის კომპეტენციების განსავითარებლად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის. მათი ამგვარი მონაწილეობის უპატივცემულობით და მხარდაჭერის არგამოჩენით, დიდი შანსია, საზოგადოების განვითარებაში აქტიურობის მოტივაცია დაუკარგოთ მომავალ თაობას, რაც დემოკრატიისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ასაზრდოვეთ საჯარო დისკუსიები და იქონიეთ კონსულტაციები ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მაშინაც კი, თუ მათ ხედვას არ ეთანხმებით.


# ინსტრუქცია 6

## ახალგაზრდების მედიაში ჩართულობის ხელშეწყობა

### რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

ჟურნალები, გაზეთები, რადიო და სატელევიზიო პროგრამები და ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ახალგაზრდების ცხოვრებაში. ისინი უზრუნველყოფენ გართობას, ინფორმაციის მიწოდებას და მომხმარებლებს ეხმარებიან ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების განვითარებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში. ახალგაზრდებს იშვიათად ეძლევათ შანსი იმონაწილევიონ მედია პროდუქტის შექმნაში. საკუთარი მედია პროდუქციის - გაზეთები, ადგილობრივი რადიოს და სატელევიზიო პროგრამები შექმნა ან განვითარება კი განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს.

ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდობა მედიასთან მარტივი წვდომით და საშუალებებით, რათა მათ საკუთარი აზრის გამოხატვა შეძლონ. მათ მხარი უნდა დაუჭირონ როგორც ახალგაზრდების მიერ საკუთარი მედიის შექმნას, ასევე უკვე არსებულ ადგილობრივ მედიაში მათ წარმომადგენლობას ახალგაზრდებისვე მიერ მართულ სატელევიზიო პროგრამებში. ამის განსახორციელებლად, მათ უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო კურსები კომუნიკაციაში, ჟურნალისტიკასა და მედიის შექმნაში. გარდა ამისა, ამ მმართველმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდების წვდომა მედიასა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე. ეს გულისხმობს ეფექტური კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის შექმნას, მათ შორის ქსელისა და ინტერნეტის.



## კარგი პრაქტიკის მაგალითები

### ვიზუალური მედია - ყირგიზეთი

ყირგიზეთში ბავშვთა მედია ცენტრის ინიციატივით, 14-20 წლამდე ახალგაზრდებთან ერთად ცენტრი ახორციელებს ორენოვანი სატელევიზიო სიახლეების პროექტს, რომელიც ახალგაზრდებისთვის საინტერესო თემებს ეხება. თემები მოიცავდა მიუსაფარ ბავშვებს, ალპინიზმს, ბავშვზე ძალადობას და სხვ. ზრდასრულები ჩართული იყვნენ კოორდინაციასა და მხარდაჭერაში, ახალგაზრდები კი იღებდნენ გადაწყვეტილებას გადაღებასა და მასალის დამონტაჟებასთან დაკავშირებით. ეპიზოდები კი გადიოდა სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში.

### რადიო შოუ - ლიბია

დაუთმეთ საეთერო დრო ახალგაზრდების მიერ შექმნილ პროგრამებს. 2017 წელს ლიბიის ახალგაზრდულმა საბჭომ შექმნა რადიო შოუ, და დაუთმო ეთერი ქვეყნის მილენიალებს. შოუ გადიოდა ყოველკვირეულად და გამოკითხავდა ახალგაზრდებს მათი ცხოვრების და პრობლემების შესახებ.

### ვიდეოშოკები უნარების განსაკვირებლად - ალექსანდრია, ეგვიპტე

ახალგაზრდების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 2018 წელს UNIC-მა მოაწყო 4-დღიანი ბანაკები ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული მედია კამპანიების შექმნის მიზნით. დიდი აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდების კამპანიების განვითარებაში ჩართვაზე.

## ნუ

### ნუ დაინახავთ ახალგაზრდებში მხოლოდ მომხმარებლებს!

როდესაც ახალგაზრდებისთვის ქმნით მედიას, ნუ განიხილავთ მათ მხოლოდ მომხმარებლებად. ჩართეთ ისინი პროცესში, როგორც მოქალაქე ჟურნალისტები, პროდიუსერები და მწერლები. ეს არ გულისხმობს მათ ტოკენებად გამოყენებას. ადამიანის მხოლოდ კამერის წინ დასმა კონკრეტული ინფორმაციის გასაცემად არ გულისხმობს მის რეალურად ჩართვას. მათი ჩართვა ინფორმაციის რაობის და მახასიათებლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში კი ნამდვილად მონაწილეობაა.

## **ნუ უგულვებელყოფთ ახალი მედიის შესაძლებლობებს!**

სოციალური მედია ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა და მათ ბევრ ზრდასრულზე უკეთ იციან სოციალური მედიის კონტენტის შექმნა მეტი გამოცდილების გამო. ჩართეთ ახალგაზრდები თქვენი მუნიციპალიტეტის სოციალური მედიის გვერდების მართვაში.

## **ნუ შეეჯიბრებით!**

ითანამშრომლეთ სხვა ორგანიზაციებთან, სკოლებთან, კლუბებთან და საერთაშორისო ინიციატივებთან თქვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობასთან უფრო მაღალი ხარისხის წვდომისათვის. განათავსეთ ინფორმაცია ამ ინსტიტუციების შესახებ თქვენს საინფორმაციო არხებზე და თხოვეთ, მათაც იგივე გააკეთონ თქვენი აქტივობების შესახებ.

# ინსტრუქცია 7

## ახალგაზრდების ნახალისება მოხალისეობრივ საქმიანობაში

### ● რას გვეუბნება განახლებული ქარტია ამის შესახებ?

ხელი შეუწყვეთ ახალგაზრდებს, რომ ჩაერთონ მოხალისეობაში. მოხალისეობრივი აქტივობები სასარგებლოა როგორც მათთვის, ასევე საზოგადოებისთვის. ამ აქტივობებში ჩართვით ახალგაზრდები იძენენ უნარებს და ცოდნას, რომელიც მათ შემდგომ დაეხმარებათ სამსახურის მოძებნაში. მოხალისეობა ახალგაზრდებს სხვა ახალგაზრდების გაცნობის და მეგობრების გაჩენის შესაძლებლობასაც აძლევს. დღესდღეობით ახალგაზრდები დიდი სტრესის ქვეშ არიან სამსახურსა და სკოლაში, მოხალისეობრივი საქმის აღიარება და ვალიდაცია ფორმალურ განათლებასა და დასაქმებაში მათ ამ წნეხს და სტრესს შეუმსუბუქებს.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონალურმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდებს სამოხალისეო ცენტრების შექმნით და მოხალისეობრივი ორგანიზაციების, განსაკუთრებით ახალგაზრდული ორგანიზაციების და მოხალისეობრივი ცენტრების დაფინანსებით. მათ შეუძლიათ გამართონ სარეკლამო და საინფორმაციო კამპანიების მოხალისეობაზე და აღიარონ ახალგაზრდების მოხალისეობრივი საქმე.

მოხალისეობრივი საქმე ახალგაზრდებს პრობლემების გადაჭრის გზების ამოცნობაში ეხმარება და აგრძნობინებს, რომ მათ შესწევთ ძალა, ცვლილებები შეიტანონ საზოგადოებაში და დაეხმარონ სხვებს.



## კარგი პრაქტიკის მაგალითები

### ახალგაზრდების მოხალისეობა ლონისძიებაზე - გოთენბურგი, შვედეთი

არასამთავრობო ორგანიზაცია Passalen Göteborg-ის ჯგუფის მეშვეობით სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებს გოთენბურგში გამართულ სხვადასხვა ლონისძიებაში მოხალისეობრივად ჩართვის საშუალებას აძლევს, მათ შორის ფესტივალებსა და კონცერტებში. Göteborg-ის ჯგუფი შედგება განსხვავებული უნარების მქონე ახალგაზრდებისგან, მუშაობს ორგანიზაცია Passalen-თან ერთად და სთავაზობს დამატებით მხარდაჭერას იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ეს სჭირდებათ მოხალისეობისთვის. მოხალისეები და მათი მენტორები ყოველთვიურად ხვდებიან, ეცნობიან ერთმანეთს და ერთმანეთის საჭიროებებს, ეხმარებიან მათ უნარების განვითარებაში, რომ მოხალისეებისთვის დღეები პროდუქტიური, პოზიტიური და გასართობი იყოს.

### მოხალისეობა საერთაშორისო ახალგაზრდობასთან ერთად - გორი, საქართველო

გაიგეთ მეტი ახალგაზრდული სამოხალისეო შესაძლებლობების შესახებ (მაგალითად, ESC) და მიიღეთ უცხოელი მოხალისეები საზღვარგარეთიდან.

შეიტყვეთ ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის არსებული სამოხალისეო შესაძლებლობების შესახებ საზღვარგარეთ და აცნობეთ მათ ამის შესახებ. პროექტ 'მონანიღობის სამკუთხედის' განმავლობაში, ქართველმა და უცხოელმა ახალგაზრდებმა ერთად დაგვემეს და განახორციელეს მოხალისეობრივი აქტივობები, მათ შორის, - ნავის შეგროვება ქუჩებში. ახალგაზრდების ჯგუფი დასაჩუქრდა გაზიანი სასმელებით და ნაყინით ადგილობრივებისგან, რომლებიც შეჩერდნენ და მადლიერება გამოხატეს ახალგაზრდებისადმი მათი ძალისხმევებისთვის.

## ნუ

### ნუ უგულვებელყოფთ საერთაშორისო შესაძლებლობებს!

შეიტყვეთ ერასმუს + ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის შესახებ. მოიწვიეთ ისინი ადგილობრივ ახალგაზრდულ ცენტრებში პრეზენტაციის ჩასატარებლად. მოიწვიეთ საერთაშორისო მოხალისეები, რომელთან დადებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ მოხალისეობასა და არაფორმალურ განათლებაში.

### ნუ უგულვებელყოფთ საერთაშორისო შესაძლებლობებს!

მოიფიქრეთ რეალური მოტივაცია მოხალისეებისათვის და აქტივობებისთვის, რომლის შედეგადაც ისინი იძენენ კომპეტენციებს და წვლილი შეაქვთ თქვენი თემის განვითარებაში. მიიღეთ სტრატეგია, რომელიც ფორმალურ სახეს მისცემს იმ უნარებს, რომელთაც ახალგაზრდები მოხალისეობრივი საქმიანობის შედეგად იღებენ - ბევრი ახალგაზრდა ერთვება მოხალისეობაში იმ უნარების განსავითარებლად, რაც მათ დასაქმებისთვის დასჭირდებათ!



ახალგაზრდების ინსტიტუციური მონაწილეობა  
აქტიურობის და რეგიონულ საკითხებში

რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა უნდა მოაწესრიგონ შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურები და პრაქტიკა, რომელიც საშუალებას მისცემთ ახალგაზრდებს იმონაწილევიან ოფიციალურ გადაწყვეტილებების მიღებაში და იმ დებატებში, რომლებმაც მათზე შესაძლოა გავლენა მოახდინონ.

ამ სტრუქტურებს განსხვავებული ფორმები ექნებათ განთავსების არეალის და დონის მიხედვით, - იქნება ეს სოფელი, პატარა ქალაქი, ურბანული არეალი და ქალაქის მუნიციპალიტეტი თუ მთელი რეგიონი. მათ უნდა შექმნან პირობები რეალური დიალოგისა და თანამშრომლობისთვის ახალგაზრდებს და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას შორის. ხელისუფლებამ უნდა მისცეს ახალგაზრდებს და მათ წარმომადგენლებს შესაძლებლობა, სრულყოფილად იმონაწილევიან იმ პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც მათ ეხებათ. ასეთი სტრუქტურები, ჩვეულებრივ იქნება წარმომადგენლობითი და მუდმივი და იმუშავებს ყველა იმ საკითხზე, რომელთა დაკავშირებითაც ახალგაზრდები ინტერესს ან შემფოთებას გამოთქვამენ. გარდა ამისა, დროებითი სტრუქტურების შექმნა შესაძლებელია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებულ მოქმედებებზე კონცენტრირებისთვის. ხანდახან შესაძლოა გამართლებული იყოს სხვადასხვა ფორმების შერწყმაც.

სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

ახალგაზრდული საბჭოები, ახალგაზრდული პარლამენტები, ახალგაზრდული ფორუმები

ახალგაზრდული პოლიტიკის ინსტიტუციური მონაწილეობის ეფექტიანობის გაანალიზება შესაძლებელია ჩართულობის გზების, მათი პრინციპების, გამჭვირვალე მართვის, ახალგაზრდების წარმომადგენლობის ლეგიტიმურობის და ახალგაზრდებთან მისი ხელმისაწვდომობისა და მიმზიდველობიდან გამომდინარე. პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიხედვით, აღმოსავლეთის პარტნიორობის ყველა ქვეყანაში ბელარუსის გარდა, დაარსებულია ეროვნული ახალგაზრდული საბჭოები, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი სამოქალაქო საზოგადოებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ჩართულობის და მხარდაჭერის მიმართულებით. თითოეული ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრატეგიაში მითითებულია, რომ ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობა ეროვნული და ადგილობრივ გადაწყვეტილებების მიღებაში პრიორიტეტია. თუმცა, არც ერთი ამ ქვეყნიდან არ ახსენებს გადაწყვეტილებების მიღებას ახალგაზრდულ საბჭოებთან და სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამართველობით. მეტიც, ექსპერტები რეგიონიდან მიუთითებენ, რომ სტრატეგიული დოკუმენტებით აღიარებულია ახალგაზრდებთან კონსულტაციისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა, თუმცა, ამ უფლებით რეალურად მხოლოდ ის ორგა-

ნიმაცეები სარგებლობენ, რომლებიც მთავრობას უჭერენ მხარს. ბელარუსში ნაციონალური ახალგაზრდული საბჭოს არსებობა არალეგალურია და ისინი მხოლოდ იატაქვეშეთში ახერხებენ მუშაობას და საჯაროობაც მხოლოდ ევროპულ დონეზე გააჩნიათ. (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 12).

როგორც უკვე აღინიშნა, ახალგაზრდული მონაწილეობის ტიპური სტრუქტურები რეგიონისთვის არის სიმბოლური საკონსულტაციო ორგანოები და იმის მტკიცებულება, რომ თანამმართველობის სტრუქტურის დეფიციტია. ახალგაზრდებს ხშირად ინვევენ მონაწილეობისთვის, თუმცა ეს ლეგიტიმურობას მოკლებულია, რადგანაც სტრუქტურები არ კომპლექტდება ახალგაზრდების არჩევანის საფუძველზე (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 13).

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახსენებს გეგმას მონაწილეობითი ინსტრუმენტების და მექანიზმების მხარდაჭერის შესახებ ახალგაზრდების გადანყვებილების მიღების, განხორციელებასა და შეფასების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. იმ გადანყვებილებების, რომლებიც მათზე გავლენას ახდენს. (საქართველოს მთავრობა, 2014: 7) თუმცა, კონკრეტული მეთოდები ამის მიაღწევად არ არის განვრილი და არც მონიტორინგის პროცესია განხილული.

ანგარიშებში სომხეთიდან აღნიშნულია, რომ სომხეთის ევროპული ახალგაზრდული პარლამენტი, რომელიც 2012 წელს დაარსდა ფორუმის სახით, მიზნად ისახავს ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას საზოგადოების ჩამოყალიბებაში. კიდევ ერთი ახალგაზრდული პარლამენტი დაარსდა 2004 წელს ეროვნული ასამბლეის მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდული საქმის კომიტეტის ფარგლებში ახალგაზრდების სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის მხარდასაჭერად, თუმცა ამ მომენტისთვის ის არააქტიურია. (ვოსკანიანი, 2017: 9)

ახალგაზრდული ჩართულობის პროგრამებში ვხვდებით ფართოდ გავრცელებულ კოორდინაციის ნაკლებობის პრობლემას. რამდენიმე პროგრამა ხორციელდება ერთ არეალში, როცა სხვა ადგილები საერთოდ არ იღებენ ყურადღებას. (ვოსკანიანი, 2017: 13) თუმცა, ეს ყველაფერი გარდამავალ ეტაპზეა, რადგან 2018 წლის რევილუციის შემდეგ მთავრობა ბევრ ცვლილებას განიცდის.

მოლდოვაში უახლესი მოხსენებები ხაზს უსვამს ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების აუცილებლობას, და ასევე თანამმართველობის პრინციპის გამოყენებას, თუმცა არ აფასებს უკვე მიღებულ ზომებს (ტურკან, 2018: 14). უკრაინაში არ არსებობს სპეციალური სამართლებრივი ჩართო ახალგაზრდული საბჭოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ 'გადანყვებილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესახებ' ზოგადი სამართლებრივი რეგლამენტის მიხედვით ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს შეუძლიათ საჯარო ახალგაზრდული საბჭოების შექმნა ' (ბრენენკო, ოსტრიკოვა, 2017: 12).

რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით რამდენიმე პოზიტიური ნაბიჯი გადადგა.

მაგალითად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად, "World Vision Georgia" მხარს უჭერს თელავისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდულ საბჭოებს, რომელთაც თემიდან არჩეული ლიდერები ემსახურებიან.

## ახალგაზრდების ჩართულობის მხარდამჭერი სტრუქტურები

როგორც უკვე აღინიშნა, აპ ქვეყნების ეროვნულ დონეზე შეზღუდული ბიუჯეტი და ეკონომიკური შესაძლებლობები ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდამჭერი სტრუქტურებისათვის პრობლემას წარმოადგენს.

სახელმწიფოსგან ფინასური მხარდაჭერა ახალგაზრდების და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისთვის არის მინიმალური და საერთაშორისო ინსტიტუციებისგან ხანგრძლივი პროექტების დაფინანსების მიღება ჭირს, განსაკუთებით, იმ დონორებისგან, რომელთათვისაც ანგარიშვალდებულება და სტაბილურობა მნიშვნელოვანია. საერთაშორისო დონორებთან მუშაობა ასევე მოითხოვს პროექტების წერის და მართვის სპეციფიკურ გამოცდილებას, ცოდნას და უნარს. გარდა ამისა, სახელმწიფოები ვერ ახერხებენ იმ ექსპერტთა გადამზადების დაფინანსებას და ახალგაზრდული სტრუქტურების მართვის ინვესტირებას (თადევოსიანი, მინასიანი, 2011: 36).

ქვეყნების უმეტესობის ანგარიშებში ნახსენებია ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსების შესახებ, თუმცა იშვიათად თუ ვხვდებით ახალგაზრდების გადამწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის, ან ფავორიტიზმის პრევენციის პრაქტიკის რეალურ მაგალითებს. ამ ქვეყნებში მხარდაჭერის ძირითად სახეობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის საპროექტო წინადადებების მიღების გამოცხადებით. თუმცა, მთავრობებისთვის არ არსებობს რაიმე სავალდებულო მოთხოვნა პროექტების მიღების გამოცხადებასთან დაკავშირებით, ამიტომაც საპროექტო განაცხადების შეტანა რთულია. (ბორენკო, ოსტრიკოვა, 2017: 15).

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად, სომხეთში ანგარიშებში ნახსენებია ონლაინ საგრანტო სისტემა. ონლაინ გრანტების სისტემა მიზნად ისახავდა მეტი გამჭვირვალობის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის და პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად (ვოსკანიანი, 2017: 16) თუმცა, სისტემა ამ მომენტისთვის არ მუშაობს, შესაძლოა, 2018 წელს ქვეყანაში განხორციელებული სამთავრობო ცვლილებების გამო. ქართულ ანგარიშებში მითითებულია საქართველოში ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს (ამჟამად განათლების სამინისტროს) საკონსულტაციო საბჭო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდიდან პროექტების დაფინანსების თაობაზე. საკონსულტაციო საბჭო შედგება 16 წევრისგან: 6 მათგანი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციიდან, ხოლო 8 მათგანი მინისტრის მიერ მიერ არის წარმოდგენილი და მათ შორის, თავადაც მონაწილეობს. (ასანიძე, 2011: 39).

ახალგაზრდული ინიციატივებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის სტრუქტურების უმრავლესობა ერთმანეთთან კონკურენციაშია დაფინანსების მისაღებად და დამოკიდებულია საერთაშორისო ფონდებზე, მათ შორის გაეროს სხვადასხვა სააგენტოები, ევროკავშირისა და ერასმუს + ახალგაზრდული საქმის, არაფორმალური განათლების, ახალგაზრდების ჩართულობის და აქტიური მოქალაქეობის დაფინანსების სქემები.

## კარგი პრაქტიკის მაგალითები

### ახალგაზრდა პარლამენტარები - კვებეკი, კანადა

გააცანით ახალგაზრდებს სამთავრობო გადანაცვეტილებების მიღების პროცესები. Parlements au secondaire პროგრამაში ჩართული ახალგაზრდები 3-დღიან სწავლებას გადიან, სადაც ეცნობიან მთავრობის მთავარ აქტორებს. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა შეასრულონ სხვადასხვა როლი საპარლამენტო პროცესში, მაგალითად განასახიერონ წარმომადგენლის ან მინისტრის როლი და იდებატოს სხვადასხვა საკითხებზე.

### მოქალაქეებთან დიალოგი და მრჩეველთა საბჭო - (ორნსკოლდსვიკ, შვედეთი)

მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ფორუმების გამართვას, სადაც ახალგაზრდები ხვდებიან პოლიტიკოსებს და სხვადასხვა საკითხებს განიხილავენ. ამ ფორუმების მთავარი მიზანია, რომ ახალგაზრდებმა დასვან შეკითხვები და პოლიტიკოსებმა გააცნობიერონ ახალგაზრდების შეხედულებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. განიხილება ისეთი საკითხებიც კი, რომელთა შესახებაც შესაძლოა ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდებს არ ექნებათ პოზიცია, მაგალითად მოხუცებულთა თავშესაფრები. მუნიციპალიტეტს ასევე ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სხვადასხვა იდენტობის წარმომადგენელი 13-25 წლამდე 16 ახალგაზრდისგან შედგება. სხვადასხვა აქტორები, მაგალითად მუნიციპალური დეპარტამენტები, კომპანიები, სკოლები და ა.შ. უკავშირდებიან საბჭოს, როდესაც სხვადასხვა პროექტებთან და გადანაცვეტილებებთან დაკავშირებით რჩევები სჭირდებათ.

### ტექნოლოგიის მეშვეობით ინფორმირება - UNICEF U-ანგარიში, მსოფლიო

ეს არის უფასო SMS-პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს შეუძლიათ გამოხატონ მოსაზრებები თავიანთ თემებში მომხდართან დაკავშირებით. პლატფორმა წარმატებით მუშაობს მოლდოვასა და უკრაინაში და შესაძლოა დაინერგოს აღმოსავლეთის პარტნიორობის სხვა ქვეყნებშიც. თემის წევრებს შეუძლიათ დააფიქსირონ მოსაზრება სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით და ელექტრონულ გამოკითხვაში იმონაწილეონ. პოლიტიკოსებს შეუძლიათ ამ გზით მიიღონ რჩევები სხვადასხვა საკითხებზე.

### ახალგაზრდული მონაწილეობითი ბიუჯეტირება - ჰორტუგალია

მონაწილეობითი ბიუჯეტირება გულისხმობს მოქალაქეების პირდაპირ ჩართვას მუნიციპალური, რეგიონული ან ეროვნული ბიუჯეტის დაგეგმარებაში. პორტუგალიაში ეს მოდელი არსებობს მუნიციპალურ დონეზე. ახალგაზრდების მონაწილეობით ბიუჯეტში, რომელიც 2017 წელს დაარსდა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმარებაში გათვალისწინებულია 14-30 წლამდე ახალგაზრდების პრიორიტეტები, კერძოდ, თუ რა ტიპის საჯარო საინვესტიციო პროექტების გაცემა ურჩევნიათ. ამას ისინი ახორციელებენ საკუთარი პროექტების გაგზავნით, რომელიც

სამინისტროს და ნაციონალური ახალგაზრდული საბჭოს კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. მთავრობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მეთოდმა გაზარდა ახალგაზრდებში დემოკრატიის პრინციპების ცოდნა, გადაწყვეტილების მიღების შესახებ მეტის გაგება და იმის გაცნობიერება, რომ ისინი საზოგადოების ფუნდამენტური ნაწილს წარმოადგენენ.



## **ნუ აურევთ კონსულტაციას თანამმართველობაში**

ისეთი ინსტიტუციების შექმნა, სადაც ახალგაზრდებს მხოლოდ სიმბოლური როლი და ისეთი კონსულტაციები ეწეებათ, რომლებიც სერიოზულად არ მიიღება და რომელთა შედეგებიც პოლიტიკაში პრაქტიკულად არ აისახება, მათ მონაწილეობის მოტივაციასაც დაუკარგავს და იმ ნდობასაც, რომელიც დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ უნდა გააჩნდეთ. გარდა ამისა, ეს მათი პოტენციალის ფლანგვაც არის.

## **მხოლოდ ეროვნულ დოკუმენტებს ნუ დაეყრდნობით**

უმრავლეს შემთხვევებში, ახალგაზრდებისათვის ინსტიტუციური მონაწილეობისთვის კონკრეტული გზები და მიმართულებები არ არის ასახული ეროვნულ დონეზე. ისწავლეთ პოზიტიური მაგალითებიდან და წამოიწყეთ მსგავსი სტრუქტურები თქვენს მუნიციპალიტეტში. ეცადეთ, იპოვნოთ საერთაშორისო პარტნიორები, რომელთაც შეუძლიათ დაგეხმარონ ტრენინგში, ფასილიტაციასა და ამ ინიციატივებისთვის საჭირო ფონდების მოძიებაში.

## **ნუ დაიდოვებით საუკეთესო პრაქტიკას მხოლოდ თქვენთვის**

თუ თქვენ გაქვთ გამოცდილება ახალგაზრდების ინსტიტუციურ მონაწილეობასთან დაკავშირებით, დარწმუნდით, რომ სხვებსაც შეატყობინებთ ამის შესახებ. სხვა მუნიციპალიტეტებთან ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით, თქვენ შეგიძლიათ გააუმჯობესოთ პროცესები, შექმნათ ახალგაზრდული საბჭოების ქსელი და ეროვნულ დონეზეც შეუწყოთ ხელი დადებით ცვლილებებს.

## სექტორული პოლიტიკა

განახლებული ქარტია მიმოიხილავს პოლიტიკის სხვადასხვა არეებს, როგორცაა ჯანმრთელობა, ურბანული გარემო და განათლება - და გვთავაზობს კონკრეტულ ზომებს, რომელთა მიმართაც საჭიროა ახალგაზრდების საცხოვრებელ გარემოში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ახალგაზრდული პოლიტიკა ჯვარედინია, რაც იმას გულისხმობს, რომ აუცილებელია პოლიტიკის სხვადასხვა არეალში, პროექტებსა და სერვისებში ახალგაზრდების საჭიროებების და პერსპექტივების ჩართვა არა მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებში, არამედ ცენტრალური მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის მიერაც.

## აკ 1

## საცხოვრისი და სავაჭრო სფეროებში

● რას გვეუბნება განახლებული ქარტია ამის შესახებ?

ახალგაზრდებისთვის დამოუკიდებლად ცხოვრება იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მათი პასუხისმგებლობის მქონე, უნარიან მოქალაქეებად განვითარებაა. ამისათვის ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება საცხოვრისის შესახებ, დაფინანსება და კონსულტაცია იმ ახალგაზრდებთან, რომელთაც სახლის/ბინის ყიდვა ან ქირაობა სურს.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა უნდა ჩართონ ახალგაზრდები ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. კერძოდ, მაშინ, როდესაც ახალი ობიექტები და საცხოვრისები შენდება ან რემონტდება. საჯარო მოხელეებმა უნდა წაახალისონ და მხარი დაუჭირონ ახალგაზრდებისა და მათი ორგანიზაციების ჩართვას იმ გადაწყვეტილებების მიღებასა და პროექტებში, რომლებიც მათი საცხოვრებელი გარემოს დაცვასა და გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

საჭიროა ახალგაზრდებთან კონსულტაცია გარემოს დაგეგმარების პროცესებში, რათა მათი საცხოვრისთან, ტრანსპორტთან დაკავშირებული საჭიროებები გათვალისწინებული იქნას და ასევე სივრცის გამოყენების დაგეგმარებისას მხედველობაში იქნას მიღებული სად დადიან, ან არ დადიან ახალგაზრდები, რა მუშაობს კარგად და რისი გავრცელებაა საჭირო. ამის გავრცელებით წვლილის შეტანა შესაძლებელია ამ სივრცეებში უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით.

საცხოვრებლით უზრუნველყოფა დიდი ფინანსური ბარიერის, სწავლისა და სამსახურის გარეშე ყოფნის პირობებში რთულად მისაღწევია ახალგაზრდებისათვის. ამიტომ საჭიროა ფიქრი დაბალი ღირებულების მქონე საცხოვრისის სქემებზე, რომელთა დანერგვაც ადგილობრივ დონეზე შესაძლებელი იქნება და ასევე ინფორმაციის მინოდება არსებული შესაძლებლობების შესახებ.

## ● სიღუპის ალმოსავლეთის პარტნიორობის ძველები

ზოგადად, უსახლკარობა და საცხოვრისით უზრუნველყოფა ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს ახალგაზრდების მონაწილეობისათვის. ალმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში გამოწვევას წარმოადგენს საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა ახალგაზრდების უმუშევრობასა და ჯანდაცვასთან ერთად, რაც ასაზრდოებს მიგრაციას და ტვინების გადინებას. არ არსებობს უახლესი მონაცემები, რომელიც ახალგაზრდების საცხოვრებლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სიტუაციას ასახავს. თუმცა, რთული ეკონომიკური სიტუაციით თუ ვიმსჯელებთ, გონივრულია ვივარაუდოთ, რომ სიტუაცია ევროკავშირის პოსტ-კომუნისტური ქვეყნების მსგავსი ან მასზე უარესია, სადაც ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი 25-34 ასაკობრივი ჯგუფიდან, მშობლებთან ცხოვრობს.

ალმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა უსახლკარო ბავშვების საგანგაშო სიტუაციაა. 2008 წელს, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ პირველი ამომწურავი გამოკითხვა დაიწყო საქართველოში უსახლკარო ბავშვთა რეალური სიტუაციის საკვლევად. გამოკითხვამ ცხადყო, რომ 1,600 მცირეწლოვანი მთელ დღეებს ქუჩაში ატარებდა, თავშესაფართან წვდომის გარეშე მძიმე სოციალური პირობების ან სხვა მიზეზთა გამო. დღეის მდგომარეობითაც კი ეს პრობლემა სრულად არ არის გადაჭრილი და გავლენას ახდენს ალმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების სხვადასხვა საზოგადოებებზე. (ასანიძე, 2011: 16; პოლიზი, 2017: 26)

## საოგნი კრეატივის მაგალითები

### თაობათაშორისი თანამშრომლობა (ნიდერლანდები)

ნიდერლანდებში არსებული პოლიტიკამ ეს პრობლემა თაობათაშორისი მიდგომით გადაჭრა. ნიდერლანდების 5 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განლაგებულ მოხუცთა თავშესაფრებში უნივერსიტეტის სტუდენტები ქირის საფასურის გარეშე ცხოვრობენ ასაკოვან მოქალაქეებთან ერთად ერთ ჯერქვეშ.

### A Home That Fits: კრეატივი ხელმისაწვდომი საცხოვრისისთვის (ჰელსინკი, ფინეთი)

A Home That Fits ცდილობს საცხოვრისით უზრუნველყოფის პრობლემა გადაჭრას უკვე არსებული სივრცეების და შენობების გამოყენების შემოქმედებითი და არატრადიციული გზებით. პროექტს ხელმძღვანელობს გუნდი დიზაინერის ხელმძღვანელობით, რომელიც სპეციალიზებულია გარემოს განვითარებასა და ახალგაზრდებისთვის სივრცეების დროებით ან გრძელვადიან საცხოვრებლებად გარდაქმნაში. გუნდი ეძებს ობიექტებს მოულოდნელ ადგილებში, მაგალითად, სატვირთო კონტეინერები. სახლი-კონტეინერები ჭრის ხელმისაწვდომი საცხოვრისით უზრუნველყოფის პრობლემას სტუდენტებისთვის გარდამავალ ეტაპზე და ზოგიერთისთვის მუდმივ საცხოვრებელსაც კი წარმოადგენს.

- ნუ უგულბებელყოფთ ქირის მაღალ ღირებულებას, როგორც ხელისშემშლელ ფაქტორს სტაბილური;

ძვირადღირებული ქირა და უძრავი ქონების ფასი ახალგაზრდებს ისეთ სიტუაციაში აყენებს, რომ მათთვის უძრავი ქონების ქირაობა ან ყიდვა აღარ არის ხელმისაწვდომი. სტაბილური შემოსავლის და ფინანსების ნაკლებობას წვლილი შეაქვს ამ პრობლემის გაღვივებაში, ასევე სპეკულანტებს, რომლებიც ჩართული არიან მოკლევადიანი ქირის ბიზნესში და აკონტროლებენ უძრავი ქონების ბაზარს.

- ნუ დაივიწყებთ სოციალური საცხოვრისის პოლიტიკას;

თუკი თქვენს ქვეყანაში ან ქალაქში არსებობს სოციალური საცხოვრისის ინსტიტუტი, ნუ მოახდენთ მის პრივატიზებას, რადგან ეს სარგებლის მომტანია იმ ადამიანებისთვის, ვინც უკვე მიაღწია სტაბილურობას. თუ ასეთი ინსტიტუტი არ არსებობს, გამოიკვლიეთ, როგორ შეიძლება წამოიწყოს და მხარი დაუჭიროთ ახალგაზრდებს და სხვა მონაცვლად ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ იპოვონ ხელმისაწვდომი საცხოვრისი.

- ნუ მისცემთ უპირატესობას ახალგაზრდებს, რომელთაც კარგი კავშირები აქვთ;

მნიშვნელოვანია საჯარო პროგრამებით ისარგებლოს ყველამ დისკრიმინაციის გარეშე, საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამებმა შესაძლოა ადამიანის ცხოვრება შეცვალოს უკეთესობისკენ და სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ვისაც ყველაზე მეტად ჭირდება, სწორედ მან ისარგებლოს ამ შესაძლებლობით.



## მუშაოვა და დასაქმება

### რას გვეუბნება განახლებული ქართი ამის შესახებ?

უმუშევარი ახალგაზრდები იზოლაციის, საზოგადოებიდან გარიყვის და ფინანსური საფრთხის ქვეშ არიან. შედეგად, უმუშევარ ახალგაზრდებს შესაძლოა გაუჭირდეთ ან არ იყვნენ დაინტერესებული აქტივობებსა და ჯგუფებში ჩართვით.

ახალგაზრდებთან ერთად ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა უნდა განავითარონ გზები მათი დასაქმებისა და უმუშევრობის დონის კლებისათვის. ეს შესაძლებელია დასაქმების ცენტრების დაარსებითა და ამუშავებით, რომლებიც ახალგაზრდებს მუშაობის სამყაროში შეუძღვება და დაეხმარება სამუშაო ადგილის პოვნაში. მხარდაჭერილი უნდა იყვნენ ახალგაზრდა მენარმეებიც, რათა მათ თავიანთი ბიზნეს იდეების განხორციელება შეძლონ.

### სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

მაღალია შემდეგი მაჩვენებლებით: სომხეთში 40%, საქართველოში 30%, უკრაინაში 23%, აზერბაიჯანში 13%, მოლდოვაში 12% (UNDP). ახალგაზრდების უმუშევრობას სოფლიდან ქალაქში მიგრაციისკენ და ემიგრაციისკენ მიყვავართ (მაგალითად, რუსეთში ან ევროკავშირის ქვეყნებში), რადგან ახალგაზრდები ეძებენ განათლების და დასაქმების შესაძლებლობებს, რომლებიც გაზრდას და სტაბილურობას სთავაზობთ (საჯარო კვლევისა და ანალიზის ცენტრი, 2012: 11) მიუხედავად ამისა, შესამჩნევია, რომ ყოვლისმომცველი პოლიტიკის ჩარჩოს არსებობა ახალგაზრდების დასაქმებისთვის ნათლად განსაზღვრული პოლიტიკის პრიორიტეტებით, სამიზნით და შედეგებით იშვიათია. უკვე არსებული შესაბამისი პროგრამები კი შეზღუდულია ფარგლებსა და წვდომაში. (მოთამედ აფშარი, ფრასი, 2015: 10)

კარიერაში ხელმძღვანელობა მთავარი ღონისძიებაა ყველა ქვეყანაში და ის ხშირად დაკავშირებულია უმაღლესი განათლების ინსტიტუციებთან და აქცენტს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებზე აკეთებს. რეგიონის მასშტაბით არსებობს ტენდენცია რეგიონის/სოფლის დონეზე დასაქმებისა და დასაქმების გასაუმჯობესებლად სწავლის შესაძლებლობებისა და მოხალისეობრივი ახალგაზრდული ბანაკების მეშვეობით.

აქცენტი კვდება ღონისძიებებზე, რომლებიც კონცენტრირებულია მინოდების მხარეზე, მაგალითად, ინვესტირება იმ უნარებში, რასაც დამსაქმებლები ეძებენ, როდესაც ინტერვენციები ბაზარზე ახალგაზრდების სამუშაო ძალის მინოდების გასაზრდელად ბიზნესისთვის ნაკლებად ხშირია, განსაკუთრებით სოფლად.

ახალგაზრდა მენარმეებს ბევრი გამონვევას ხვდებათ, განსაკუთრებით ფინანსური (მაგ. არასაკმარისი კაპიტალი ბიზნესის წამოსაწყებად და არასასურველი საკრედიტო პირობები და ამ გამონვევებთან გასამკლავებლად მხოლოდ მცირე ინიციატივები არსებობს (მოთამედ აფშარი, ფრასი, 2015: 11)

საინტერესოა, რომ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებშიც კი უმუშევარი ახალგაზრდების მხარდაჭერა სუსტია და ეს დამოკიდებულება საზრდოობს იმ მი-

დგომით, რომელიც ახალგაზრდებს ძლიერ, ენერჯით სავსე და შესაბამისად, დამოუკიდებლად დასაქმების შემძლევდ მიიჩნევს. უმუშევრობა დანახულია, როგორც პირადი არჩევანი ან სიზარმაცე და არა სტრუქტურული პრობლემა. (პოლიზი, 2017: 11)

## ქარგი პრაქტიკის მაგალითები

### მუნიციპალური მხარდაჭერის პროგრამა ახალგაზრდების დასაქმებისთვის (კვიბეპი, კანადა)

კვიბეპის ახალგაზრდული სამოქმედო სტრატეგიის ნაწილია ახალგაზრდების დაცული დასაქმების უზრუნველყოფა მხარდაჭერის სერვისით. სერვისები ფართო და ყოვლისმომცველია, უწყობს რა ხელს ახალგაზრდების მომზადებას გლობალური კონტექსტისთვის და დასაქმებისთვის. ეს მოიცავს დასაქმების კონსულტირებას, მორგებული სამოქმედო გეგმის შექმნას, კომპიუტერთან და ინტერნეტთან თავისუფალ წვდომას, რეგულარულ კონტროლს, რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის წერასა და ინტერვიუს პრაქტიკაში დახმარებას, მხარდაჭერას სამსახურის დაკარგვასთან გამკლავებისთვის, საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და შრომით ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაში. პროგრამა 18-24 წლის ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს გახდნენ დამოუკიდებლები და მათ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამსახურის დაწყების, პირველი სამსახურის შენარჩუნების, სწავლის გაგრძელების და კარიერული თვითრეალიზაციის ეტაპებზე.

### საზაფხულო სამუშაოები (ბორასი, შვედეთი)

ზაფხულობით ბორასის მუნიციპალიტეტი აცხადებს ახალგაზრდების მიღებას საზაფხულო სამუშაოებზე. დასაქმების ერთ-ერთი პროგრამა, ახალგაზრდა მუნიციპალური დეველოპერები (Young Municipal Developers) ასაქმებს 27-29 ახალგაზრდებს 3 კვირის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტებში კონსულტანტებად. ეს ემსახურება ახალგაზრდებისგან რჩევების და გამოსავლის გზების მიღებას მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებში. ახალგაზრდები 2-3 კაციან ჯგუფებში მუშაობენ და დავალებას იღებენ ისეთი ფართო სპექტრის საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ფილმის გადაღება არჩევნებზე პირველად ნამსკლავებისთვის, მინისქვეშა გადასასვლელებში უსაფრთხო მოძრაობის და ძალადობის პრევენციის საგანმანათლებლო პროექტის შესახებ. აუდიო-ვიზუალური პროექტი ასევე მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა კარგი მშობლობა, დასახლებებში უსაფრთხოების დონის გაზრდა და მრავალი სხვა.

**● - ნუ დაივიწყებთ გავლენის შეფასებას**

ბევრი პროექტი განხორციელდა ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის შესამცირებლად. იმისათვის, რომ განისაზღვროს, რა მუშაობს თქვენი კონტექსტის შესაბამისად, აქენტი გააკეთეთ ზემოქმედების შეფასებაზე. ეს დაგეხმარებათ განავითაროთ ეფექტური, წარმატებული პროექტები.

**● - ნუ წაახლისებთ არაკუმბანურ და ექსკლოატაციურ დასაქმებას**

ზოგიერთ შემთხვევაში, შრომითი კოდექსის არარსებობისას, ახალგაზრდებს უწევთ არაპროპორციულად მცირე ანაზღაურების პირობებში ხანგრძლივი და ზეგანაკვეთური მუშაობა. ახალგაზრდები ვერ იმონანილევებენ ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში თუ მათ ამისთვის არც დრო აქენათ და თანაც, გადარჩენისთვის ბრძოლა მოუწევთ საარსებო მინიმუმის გარეშე.

**● - ნუ მიატოვებთ**

ეცადეთ სტიმული მისცეთ აქტივობებს, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებს უმუშევარ ახალგაზრდებს და დამსაქმებლებს და განუვითარებთ მათ კომპეტენციებს და კვალიფიკაციას. ამან შესაძლოა მოითხოვოს სექტორთაშორისი თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კომპანიებთან, პროფესიულ და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან და საინფორმაციო სერვისებთან. გაავრცელეთ ინფორმაცია სამუშაო ვაკანსიებზე, კურსებზე, სამუშაო ძალის რეინტეგრაციის ტრენინგებსა და სამენარმეო აქტივობების მხარდაჭერაზე.

# პე 3 განათლება და სკოლა

## რას გვეუბნება განახლებული ქართი ამის შესახებ?

ახალგაზრდები ვალდებული არიან იარონ სკოლაში, რათა მიიღონ განათლება და შეიძინონ ცოდნა. შედეგად, მათ დროის დიდი ნაწილი ეხარჯებათ სკოლაში სხვადასხვა საგნების შესწავლასა და გამოცდებისთვის მომზადებაში. მაგრამ, სკოლებმა აქცენტი უნდა გააკეთონ სოციალურ განვითარებაზეც, რადგან სკოლა ის ადგილია, სადაც ახალგაზრდებს ხედვა და დამოკიდებულებები უვითარდებათ გარშემომყოფ სამყაროსთან. სკოლა ხელსაყრელი ადგილია იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა ისწავლონ მონაწილეობის, დემოკრატიისა და ქმედითი დემოკრატიის შესახებ. ეს იმას გულისხმობს, რომ განათლება წიგნიდან დემოკრატიის შესახებ კითხვის პრაქტიკაში გამოყენების სწავლას უნდა მოიცავდეს.

ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოები უნდა მუშაობდნენ მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და მასწავლებლებთან, რათა ახალგაზრდებთან კონსულტაცია უზრუნველყოფილ იქნას და მათ შეძლონ საკუთარი სიტყვა თქვან სკოლის ფუნქციონირების საკითხებში. მოსწავლეებს ასევე უნდა ჰქონდეთ უფლება, შესაძლებლობა და დაფინანსება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოების დასაფუძნებლად. მასწავლებლებმა და სკოლის ხელმძღვანელებამ უნდა ცნოს სასკოლო საბჭოების მნიშვნელოვანი როლი და უნდა ითანამშრომლონ მათთან სკოლის ერთად ხელმძღვანელობისთვის.

მეტიც, მოზარდებისა და ახალგაზრდების პერსპექტივა განათლების ხარისხზე ხშირად გამორჩენილია განათლების პოლიტიკისა და განვითარების განხილვისას. შრომით ბაზართან შეუსაბამო სასკოლო პროგრამა, სასწავლო მასალის პოლიტიზირება, მასწავლებელთა არაადექვატური გადამზადება, ძალადობა სკოლებში, კავშირის ნაკლებობა სასკოლო პროგრამის მასალასა და დამამთავრებელ გამოცდებს შორის და ახალგაზრდების ჩართულობის ნაკლებობა განათლებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღების პროცესში ასევე ის გამოწვევებია, რომელთა ტრანსფორმაციაც ახალგაზრდებთან ერთად უნდა მოხერხდეს.

## სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

აპ ქვეყნების უმეტესობაში არსებობს რეგულაციები ახალგაზრდებისთვის მაღალი ხარისხის განათლებასთან და ტრენინგებთან თანასწორი წვდომის უზრუნველსაყოფად. შშმ ახალგაზრდებს ბევრი დაბრკოლების გადალახვა უწევთ განათლებაზე წვდომისთვის. ეს მოიცავს სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებს და მათ, ვინც სოფლად/რაიონებში ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული ზომები პერსონალის გადამზადებისა და მათი შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის, ამგვარი ინიციატივების ეფექტურობის და გავლენის გამოძევა შეუძლებელია ანგარიშგების (რეპორტინგის) გამო.

აპ ქვეყნების უმეტესობაში ამ არეალებში დაწყებულია ახალგაზრდული საქმის და არაფორმალური განათლების როლის აღიარება და ხარისხის უზრუნველყოფა. თუმცა, ზომები განათლებისა და ტრენინგიდან სამუშაო ბაზარზე გადასვლისათვის შეზღუდულია მასშტაბსა და ნდობაში. სკოლის ვადამდელი მიტოვება არ არის პოლიტიკის პრიორიტეტული პრობლემა. (მოთამედ აფჰარი, ფრასი, 2015: 11)

რელევანტურია აღინიშნოს, რომ სულ უფრო მეტი ახალგაზრდა აპ ქვეყნებიდან იღებს მონაწილეობას მოკლევადიან ტრენინგებსა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც არაფორმალურ განათლებას ეფუძნება. ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ყველაზე დიდი გამოცდილება აქვთ ამგვარი აქტივობებში და სწორედ ისინი ეხმარებიან ახალგაზრდებს გარკვეულ დონეზე განვითარონ დასაქმებისთვის საჭირო უნარები (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 11) სახელმწიფოსგან უყურადგენობის მიუხედავად, ახალგაზრდული სამუშაო უფრო და უფრო მსხვილ მასშტაბებს იძენს და ახერხებს თავისი მნიშვნელობის დამკვიდრებას. უამრავი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია დაარსდა, რომელიც არაფორმალური განათლების, ადამიანის უფლებების, მონაწილეობის, კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პოლიტიკის თემატიკაზე მუშაობს. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფორმალურ საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა შეზღუდულია და ახალგაზრდები, რომლებიც ჩართული არ არიან ორგანიზაციებში მოკლებულნი არიან ზემოთაღნიშნულ შესაძლებლობებს. (ასანიძე, 2011: 6)



## - ხარკი კრეატივის მაგალითები -

### ადამიანის უფლებების და დემოკრატიის კულტურის განვითარება (ლისაბონი, კორტუგალია)

“სომოსი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის”, ლისაბონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილი ადგილობრივი საგანმანათლებლო პროგრამაა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სფეროში არაფორმალური სწავლების მეთოდების გამოყენებით და მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების და დემოკრატიის საერთო კულტურის განვითარებას ქალაქში. ქალაქის საკრებულოს თანამშრომლებიდან დაწყებული ქალაქის უფრო ფართო მასშტაბის სამიზნე ჯგუფებისათვის, პროგრამა უზრუნველყოფს უფასო ტრენინგებს პარტნიორ ორგანიზაციებთან და ინსტიტუტების ფართო სპექტრთან თანამშრომლობით. იგი ასევე ხელს უწყობს დებატებს, ცნობიერების ამაღლების კამპანიებს დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და სოციალურ რეფლექციას.

ტრენინგისა და ქსელის შექმნის გარდა, პროგრამა მოიცავს ისეთ საქმიანობებს, რომლებიც ღიაა ფართო საზოგადოებისათვის, მაგალითისთვის, კინო-სესიები და 'ადამიანების ბიბლიოთეკა' ისეთ თემებზე, როგორცაა ბავშვის უფლებები, რასიზმი, ლგბტ+ უფლებები, შებენიანი შესაძლებლობები, გენდერული ძალადობა და ბულინგი.

## **პრაქტიკული სამოქალაქო განათლება საჯარო სკოლებში (ილინოისი, ამერიკის შეერთებული შტატები)**

საჯარო სკოლებში წარმატებული პრაქტიკა მოიცავს დემოკრატიული პროცესებისა და პროცედურების სიმულაციებში სტუდენტების მონაწილეობის წახალისებას. მაგალითად, სამართლის გაკვეთილების, საჯაროდ სიტყვით გამოსვლებისა და ადვოკატის და სასამართლოს სხვა პირების პასუხისმგებლობების კომბინაციით, იმიტირებულ სასამართლო პროცესი ნამდვილი სასამართლო სიმულაციას ქმნის, სადაც მოსწავლეები სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა როლს ასრულებენ, მოსამართლედან დანებებული ადვოკატის და მონმის ჩათვლით. ეს წარმოადგენს სწავლის ეფექტურ საშუალებას სწავლის ნებისმიერ დონეზე მყოფი სტუდენტისათვის. იმიტირებული არჩევნები ასევე ფართოდ გავრცელებულია, ისევე, როგორც რეალური სტუდენტური საბჭოების არჩევნები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

ნუ

### **- ნუ უგულვებლყოფთ არაფორმალურ განათლებას**

ნუ გამოირიცხავთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს, რომლებიც ხელს უწყობენ არაფორმალური სწავლების დანერგვას, რომელიც ფორმალური განათლების სისტემისგან მკვეთრად განსხვავდება. ძირითადად, მათ მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო აქტივობები ძალზედ ღირებულია ახალგაზრდების პიროვნული და სოციალურ განვითარებისთვის, მომავალი დასაქმებისა და ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ჩართულობის გააზრებისათვის. ეს ამდიდრებს იმას, რასაც მასწავლებლები ასწავლიან მათ სკოლაში!

### **- ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას ახალგაზრდების გარეშე**

ხანდახან ახალგაზრდები ყველაზე შესაბამისი პოზიციაში არიან, რომ გითხრათ, რა სახის საგნები სჭირდებათ თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად. ჩართეთ სხვადასხვა აქტორები სასწავლო კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას და ნუ დაივიწყებთ ახალგაზრდებს მათ შორის.

### **- ნუ განსჯით თქვენი პირადი მოსაზრებით**

საგანმანათლებლო კონტენტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები საჭიროებათა ანალიზს და ყოვლისმომცველ მტკიცებულებებს უნდა ეყრდნობოდეს. ხარისხიანი კვლევის მეშვეობით იპოვეთ ხარვეზები და გადაწყვიტეთ, რა ტიპის კომპეტენციების ნაკლებობაა.

**ახალგაზრდების უფლებები და კანონმდებლობა**

**1 - ნუ დაივიწყებთ გავლენის შეფასებას**

ყველა საზოგადოებას და ქვეყანას სჭირდება საყოველთაოდ დაცული წესები და შეზღუდვები კანონის სახით. ეს კანონები განსაზღვრავს ადამიანებისა და სახელმწიფოს უფლებებსა და მოვალეობებს. თუმცა, ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და მოგჯერ საკმარისად ნათელი არ არის, თუ რა არის მოსალოდნელი მათგან და თავად რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდებისთვის კანონებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება იმ ადგილებში, სადაც ახალგაზრდები უმეტეს დროს ატარებენ, როგორცაა - სკოლები, ახალგაზრდული კლუბები და საჯარო თავშეყრის ადგილები.

მათ უნდა შეძლონ ახალგაზრდებს მიანოდონ ინფორმაცია უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. საჯარო მოხელეებმა უნდა შეათანხმონ ახალგაზრდებთან წესებსა და კანონებში მიმდინარე ცვლილებები და გაითვალისწინონ მათი მხედველბები ახალი კანონების მიღების დაგეგმვისას.

**2 სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში**

ყველა ქვეყანას აქვს პოლიტიკისა და პოლიტიკის დოკუმენტები ახალგაზრდობის სამართლებრივი კონცეფციის შესახებ. ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები განსაზღვრავენ ახალგაზრდებს ქვეყნის იმ მოქალაქეთა ჯგუფად, რომელთა ასაკობრივი ასაკი 14-დან 35 წლამდეა. ასაკობრივი დიაპაზონი შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგალითად, ბელარუსსა და უკრაინას აქვს ქვედა ასაკობრივი ზღვარი (14), მაგრამ არა ზედა ასაკობრივი ზღვარი, ხოლო მოლდოვასა და სომხეთში ახალგაზრდად მიიჩნევა პიროვნება 16 -30 ასაკობრივი ჯგუფიდან. ბევრ ქვეყანაში ახალგაზრდებში არ არსებობს ახალგაზრდების ქვე-ჯგუფებად დაყოფის ანალიტიკა. აქედან გამომდინარე, ისეთი ჯგუფების ჩართულობის ანალიზი, როგორცაა ახალგაზრდობა სოფლად, ახალგაზრდა ლტოლვილები და ლგბტ+ ახალგაზრდები, პრაქტიკულად შეუძლებელია (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 10).

ახალგაზრდებს აქვთ უფლებები, მაგრამ მათი ჩართულობის დონე დაბალია. კანონმდებლობის თანახმად, ახალგაზრდებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთი უფლებები და თავისუფლად მიიღონ მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ხშირად ადგილობრივი რეალობა განსხვავებულია (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 10). მოგადავ, ადამიანის უფლებათა დამცველი და სადამკვირვებლო საერთაშორისო ორგანიზაციები აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში იუნყებიან პოლიციისა და სამხედრო ძალადობის, შეკრების უფლების დარღვევის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ.



## საზღვრის პრაქტიკის მაგალითები

### ახალგაზრდების ინფორმირება (ბავარია, გერმანია)

ბავარიაში არსებობს ქსელი, რომელშიც ჩართულია 2,000 კოორდინატორის, რომლებიც მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკონტაქტო პირებად ფუნქციონირებენ. 1990 წელს ბავარიის ახალგაზრდულმა საბჭომ წამოიწყო ახალგაზრდული კოორდინატორების პროექტის ინიციატივა. დღეს, ბავარიაში თითქმის ყველა მუნიციპალურ და საქალაქო საბჭოში დანიშნულია ერთ-ერთი წევრი ახალგაზრდული კოორდინატორის პოზიციაზე. ეს მოხალისეები წარმოადგენენ ბავშვთა და ახალგაზრდობის საკითხებს, მუნიციპალურ ახალგაზრდულ პოლიტიკას და მუშაობენ ბავშვთა და ახალგაზრდობის კეთილდღეობაზე თავიანთ თემებში. ახალგაზრდული კოორდინატორები უზრუნველყოფენ ადგილობრივი საბჭოების მიერ ადეკვატურ რეაგირებას ახალგაზრდების უფლებებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე ჯეროვანი ყურადღების მიქცევას.

### ურთიერთობის აწყობა უნიფორმიან პროფესიებთან

ადამიანი უნიფორმის უკან (MBU) არის პროგრამა, რომელიც დაიწყო 2009 წელს აღმოსავლეთ გოთენბურგში ძალადობის, ვანდალიზმის და გაუგებრობის გამო ახალგაზრდებსა და უნიფორმიან ოფიცრებს შორის. ახალგაზრდებისა და ახალგაზრდულ მუშაკთა ჯგუფმა ათი კვირიანი კურსი მოამზადა, სადაც ახალგაზრდები ხვდებიან სხვადასხვა უნიფორმაში მომუშავე ადამიანებს, მათივე სამუშაო გარემოში. მათ შორისაა სასწრაფო დახმარების მძღოლები, პოლიციელები და მეხანძრეები. MBU ცდილობს გაზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა, შეამციროს დანაშაული და საფუძველი ჩაუყაროს დადებით და ეფექტურ შეხვედრებს ახალგაზრდებსა და უნიფორმიან პროფესიებს შორის, რათა მათ შორის გაიზარდოს გაგება და თითოეულის ინდივიდუალობის გააზრება, დამყარდეს ორმხრივი ურთიერთობები და კარგი რეპუტაცია ორივე მხარისათვის. ეს პროგრამა შვეიცარიაშიც დამკვიდრდა.



**- ნუ მიმართავთ დისკრიმინაციულ პრაქტიკას**

მნიშვნელოვანია დისკრიმინაციული პრაქტიკის სრულად აღიარება და მათი აღკვეთა. ინტერსექციონალურობის ანალიზში ტრენინგის მეშვეობით შესაძლებელია დისკრიმინაციული პრაქტიკის ადვილად იდენტიფიცირება. ეს გულისხმობს მოქალაქეების გამოცდილების ბევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან აღქმას.

**- ნუ შეამცირებთ სივრცეს**

გაერთიანების, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სამოქალაქო საზოგადოების და ახალგაზრდების ჩართულობისთვის. ახალგაზრდების უფლებები ირღვევა, როდესაც ადგილი აქვს ამ მიზნებისთვის სივრცის არსებობის აკრძალვას, დარღვევას ან კონტროლს.

**- ალკვეთა დევნის მაგივრად**

ბევრი სამართლებრივი ბაზა პრევენციის ან რესოციალიზაციას მაგივრად დევნას ფუძნება. მუნიციპალიტეტის მოქმედების ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის შეცვლა არ შედის, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებს შეუძლიათ აქტიური როლი ითამაშონ პრევენციის, რესოციალიზაციისა და კანონის უზენაესობის განვითარებაში.

# აკე 5 ჯანდაცვა

## რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ ინფორმაციის და რჩევის მიღება ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ უნდა მიეცეთ ინფორმაცია თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელისა და ნარკოტიკების მოხმარების შესახებ. ეს ინფორმაცია და რჩევები მიწოდებულ უნდა იქნეს არა განსჯის - სწორისა და არასწორის მითითების, არამედ ჯანსაღ არჩევანზე ფოკუსირებით. ახალგაზრდებს ასევე უნდა ჰქონდეთ ყოვლისმომცველი ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, მათ შორის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ რჩევების, მხარდაჭერისა და ინფორმაციის მიწოდება ახალგაზრდებისთვის, რადგან მათ ამ საკითხებზე ინფორმირებული გადამწყვეტილებების მიღება სჭირდებათ. ეს უნდა გაკეთდეს ახალგაზრდებთან და მათ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

## სიტუაცია აღმოსავლეთის კარტნიორობის ქვეყნებში

ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ხაზგასმით მიუთითებს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე. ეს ჩვეულებრივ მოიცავს სკორტში მონაწილეობის პოპულარიზაციას და ინფორმაციის გავრცელებას თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების უარყოფითი ზემოქმედების შესახებ. ქვეყნებში უმეტესწილად კონკრეტულად არის აღწერილი ინფორმაცია და პრევენციის კამპანია აივ/შიდსის შესახებ. თუმცა, ქვეყნების უმრავლესობაში აღკვეთის პროგრამები მინიმალურია, მათ შორის, ყურადღება გამახვილებულია ცნობიერების ამაღლებაზე (მაგალითად, ნარკომანია) და რეაბილიტაცია (პოლიმი, 2017: 10).

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საკითხი პრობლემურია, რადგან ჯანმრთელობის საბაზისო დაზღვევა არ არის ფართოდ გავრცელებული და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები მხოლოდ მოსახლეობის მცირე ჯგუფებს მოიცავს და ნაწილობრივი დაფარვა აქვს. საქართველოში ჩატარებული 2010 წლის კვლევის თანახმად, ზოგადი სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია და ახალგაზრდების 28%-სთვის მიუწვდომელია. სპეციალიზებული ზრუნვა მიუწვდომელია ახალგაზრდების 32%-სთვის. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა 40% -ს შეადგენს, თუმცა 23% ვერ ყიდულობს მედიკამენტებს (ასანიძე, 2011: 13). მიუხედავად იმისა, რომ სისტემა 2010 წლის შემდეგ რეფორმირდა, ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა პრობლემატურია.



## ჯაოგი პრაქტიკის მაგალითები

### მეორე შანსი სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მეორე მოგარდებისთვის (თბილისი, საქართველო)

“სიცოცხლის შანსი” არის ბავშვთა სახლისა და ახალგაზრდების თავშესაფარი 18-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც არ მიუღიათ მხარდაჭერა სკოლის წარმატებით დასრულებისთვის. ახალგაზრდების რისკ-ჯგუფებთან ერთად ისინი სერვისების ხელმისაწვდომობისთვის ადვოკატირებაში არიან ჩართული. არასამთავრობო ორგანიზაცია თანამშრომლობს ჯანდაცვის სამინისტროსთან, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ეკლესიასთან. სიცოცხლის შანსი უზრუნველყოფს მულტიდისციპლინურ სამედიცინო დახმარებას მოზარდებისთვის, მათ შორის, მედიკამენტებს, ექიმთან ვიზიტს, ფსიქოლოგის სერვისს, ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლებას, ვარჯიშს და ექსკურსიებს ბუნებაში.

### საერთო მადიდასთან (ლონდონი, გაერთიანებული სამეფო)

მუნიციპალიტეტში დაფინანსდა მონაწილეობითი სამოქმედო კვლევა, რომელსაც მოჰყვა დიდი სათემო სასწავლო ღონისძიებაც. პრაქტიკოსები, თემის ლიდერები და გადამწყვეტილების მიმღები პირები ახალგაზრდებთან დიალოგის პირობებში შეიკრიბნენ ახალგაზრდების ჯანმრთელობის და სხვა საჭიროებების გააზრებისა და შესწავლისათვის თანამშრომლობის პროცესის ფარგლებში. ახალგაზრდებმა სკოლებიდან, უნივერსიტეტებიდან და ახალგაზრდული ცენტრებიდან წარმოადგინეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევები სხვადასხვა ვიზუალების სახით და დაასახელეს მათი მონაწილეობის შემაფერხებელი ჯანმრთელობის პრობლემები. ამის შედეგად, ყურადღება გამახვილდა იმ ნაპრალებზე, რომლებიც პოლიტიკოსების მიერ აღქმული ახალგაზრდების ჯანმრთელობის საჭიროებებსა და ამ უკანასკნელის რეალურ საჭიროებებს შორის არსებობს. პროგრამამ აგრეთვე გამოავლინა განსხვავებები იმასთან დაკავშირებით, თუ რას მიიჩნევენ ახალგაზრდები და პროფესიონალები სტრესზე ადეკვატურ რეაგირებად.

### -ნუ დაივიწყებთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს

მიუხედავად იმისა, რომ ეს, ჩვეულებრივ სახელმწიფო პოლიტიკის პერფორმაციაა, ნახეთ რას აკეთებს თქვენი მუნიციპალიტეტი იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადია ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობის გამო. ასეთ ჯგუფში შედიან ახალგაზრდა ქალები, ლგბტ+, შეზღუდული შესაძლებლობების და ქრონიკული ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ახალგაზრდები.

რა სახის ეროვნული და საერთაშორისო პროგრამები არსებობს ამ სამიზნე ჯგუფებისათვის და ახორციელებს თუ არა ამას თქვენი მუნიციპალიტეტი?

### -ნუ დაივიწყებთ პირველად პრევენციას

პირველადი პრევენცია არის საყოველთაო ჯანდაცვის უმთავრესი მიდგომა, რომელიც გამოიყენება როგორც ავადმყოფობის, ასევე ეკონომიკური პრობლემების შესამცირებლად. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა სტიმული მიცეს ჯანსაღი გარემოს შექმნას, რათა თავიდან იქნას აცილებული ავადმყოფობის გავრცელება. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა არის ქალაქის დაგეგმარება, დაბინძურების მონიტორინგი და ნარჩენების მართვა.

## აკე 6

# სოციალური, სპორტული და აუტორული აქტივობები

### ● რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

ახალგაზრდული ჯგუფების, კლუბებისა და ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი რეკრეაციული, სპორტული, და კულტურული ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდების ცხოვრებაში. ბევრ საზოგადოებაში ახალგაზრდებისათვის საინტერესო ღონისძიებების სიმცირე შეიმჩნევა. ასეთი აქტივობები და ღონისძიებები არა მხოლოდ ისეთი სიახლეების შესწავლას სთავაზობს ახალგაზრდებს, როგორც ლიდერობა, ორგანიზება და გუნდური მუშაობა, არამედ ეხმარება მათ უფრო მეტი გაიგონ ადგილობრივი თემის შესახებ, უვითარებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება ახალი მეგობრების შექმნასა და სოციალური ინტეგრაციაში.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონალურმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ და მხარი დაუჭირონ ახალგაზრდების ჩართვას ახალგაზრდული კლუბებისა და ჯგუფების შექმნასა და ფუნქციონირებაში. ამის გაკეთება მათ შეუძლიათ ბიუჯეტის და საჭირო ინფრასტრუქტურის გამოყოფით ახალგაზრდული ჯგუფებისა და კლუბებისთვის, რათა მათ საზოგადოებაში აქტივობების და ღონისძიებების ჩატარება შეძლონ. ეს შეიძლება მოიცავდეს სპორტულ აქტივობებს, სპექტაკლებს, კონცერტებს, კულტურულ საღამოებს და მოგზაურობებს.

### ● სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

ახალგაზრდული პოლიტიკის ბევრი ღონისძიება ხორციელდება ახალგაზრდების ჩართვით რეკრეაციული მიმართულებით, მათ შორისაა სასწავლო კურსები, ბანაკები და მსხვილმასშტაბიანი ღონისძიებები. ბევრი აქტივობა ისახავს მიზნად შემოქმედებითი და მხატვრული უნარ-ჩვევების, პროექტის მენეჯმენტის და სპორტული უნარების განვითარებას. სხვა ღონისძიებები ფოკუსირებულია ადამიანის ტრეფიკინგის შემცირებასა და აივ/შიდსის პრევენციაზე (პოლიზი, 2017: 10). ასეთი აქტივობები ბევრ ახალგაზრდას არ იზიდავს, რადგან ისინი არ ითვალისწინებს მათ ინტერესებს და მათ მიერ არ არის ინიცირებული. ქვეყნების ეროვნული ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივ დონეზე, არასამთავრობო ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტები და სხვა აქტორები ორგანიზებას უწევენ ერთმანეთის მსგავს აქტივობებს ახალგაზრდებისთვის, რაც იწვევს არასაჭირო განმეორებითობას. ფოკუსი ნელ-ნელა გადადის რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე, რომლებიც მართლა ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერაა ინიცირებული, რომლებიც განიცდიან საჭარო დაფინანსების სიმცირეს და დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო დონორებზე (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 14).



## ჯარჯი კრეატივის მაგალითები

### The Alley Project (დედროიტი, ამერიკის შეერთებული შტატები)

The Alley Project (TAP) 120-ზე მეტი ახალგაზრდა ჩართო ვორკშოპებში ადგილობრივ პროფესიონალ მხატვრებთან ავტოფარეხების გალერეის, ხეივნის გალერეის, პატარა სტუდიის და ბაღის ასაშენებლად. პროგრამის განმავლობაში ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და მოსახლეობას შორის განსაკუთრებული ურთიერთობა დამყარდა და შემცირდა საზოგადოებაში ვანდალიზმის დონე. გრაფიტის ხელოვნებას შესაძლოა უარყოფითი რეპუტაცია ჰქონდეს, მაგრამ ის ასევე შეიძლება ჩაითვალოს შუამავლად და ახალგაზრდებთან კომუნიკაციის ინსტრუმენტად. პროექტის საჯარო ხასიათი საზოგადოებას ახალ იდეებს სთავაზობს და არღვევს სტერეოტიპებს.

### გაღარჩი ნებისმიერ ფასად - კანადური გზა (შელბურნი, კანადა)

შელბურნის რაიონი ორგანიზებას უწევს სპორტულ და რეკრეაციულ ღონისძიებებს, რომლებითაც ადგილობრივი ახალგაზრდები სიამოვნებით სარგებლობენ. ახალგაზრდებს შესთავაზეს ჯომარდობის და კაიაკით ცურვის კურსები და უზრუნველყვეს სრული აღჭურვილობით, რათა ახალგაზრდებს ნიჩბოსნობის ზოგადი ხერხები და უსაფრთხოების ზომების დაცვა ესწავლათ.

კიდევ ერთი აქტივობაა "ადამიანები ზომები", თამაში, სადაც ბავშვებმა და ახალგაზრდებმა უნდა შეასრულონ გარკვეული მისიები, რათა აპოკალიფსს გადაურჩნენ. ეს უფასო სკოლისშემდგომი პროგრამა მიმდინარეობს 4 კვირის განმავლობაში, კვირაში ორჯერ და საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს დაკავდნენ სხვადასხვანაირი სპორტული აქტივობით.

**ნუ დაგეგმავთ იმ აქტივობებს, რომლებშიც, თქვენ ფიქრობთ, რომ ახალგაზრდება უნდა იმონაწილეონ**

ახალგაზრდების ინტერესები შესაძლოა დიდად განსხვავებოდეს იმ ინტერესებისგან, რასაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ზრდასრულები ფიქრობენ ახალგაზრდების შესახებ. თუკი დაგეგმავთ და მხარს დაუჭერთ ზრდასრული ადამიანების მიერ შემოთავაზებულ აქტივობებს, თქვენ შესაძლოა ახალგაზრდებს ჩართვის მოტივაცია დაუკარგოთ. თავად დარწმუნდებით, რომ თუკი გამოიყენებთ შემოთავაზებულ რესურსებს, შემუშავებულს და თანაორგანიზებულს ახალგაზრდებთან ერთად, ბევრად დიდი ჩართულობა და ღონისძიებათა მრავალფეროვანი სპექტრი გექნებათ.

**გადმეტად ნუ ჩაერევით და ნუ შეზღუდავთ**

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ხელოვნებასთან და მხატვრულ შემოქმედებასთან გვაქვს, გონებაგახსნილ მიდგომას ნამდვილად შეუძლია დაცვა შეუძლია ახალგაზრდებში მოულოდნელი შემოქმედებითობის სტიმულირება და უნიკალური შედეგების გამოწვევა, რაც გაამდიდრებს თქვენს მუნიციპალიტეტს. იყავით ამაყი, დაათასეთ და ხელი შეუწყვეთ ასეთ ინიციატივებს.

## ახალგაზრდობა სოფლად

### რას გვეუბნება განახლებული ქარტია ამის შესახებ?

ქალაქგარეთ და სოფლად ცხოვრება შესაძლოა შესანიშნავი გამოცდილება იყოს, მაგრამ არსებობს ხარვეზები. ამ თემებში მცხოვრებ ახალგაზრდებს ნაკლებად ან საერთოდ არ აქვთ წვდომა სატრანსპორტო საშუალებებთან და, შედეგად, შესაძლოა უფრო ნაკლებ აქტივობაში ერთვებოდნენ. მათთვის ადგილობრივ ტერიტორიაზეც კი შესაძლოა რთული იყოს სამუშაოს მოძებნა.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გასწიონ სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ტრანსპორტირებით, დასაქმებითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის რათა მათ შეძლონ ღირსეული ცხოვრება. ადგილობრივმა და რეგიონალურმა ხელისუფლებამ ასევე მხარი უნდა დაუჭიროს და დააფინანსოს ადგილობრივი ახალგაზრდების მიერ გახსნილი კლუბები და ჯგუფები სოფლად. ეს ინვესტიციები საშუალებას მისცემა ახალგაზრდებს, გააგრძელონ ცხოვრება სოფლად.

### სიტუაცია ალმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც წესი, ქვეყნის დიდ ქალაქებში აქტიურები არიან ყველა სფეროში, მათ შორის, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო არეალში. ამის ფონზე, მწირი რესურსები სოფლად, როგორც ადგილობრივი საჯარო დაწესებულებებისა და ასევე ახალგაზრდული საქმისათვის ართულებს ახალგაზრდული ინიციატივებისა და ორგანიზაციების განვითარებას და მათ არსებობას საფრთხეს უქმნის. ხშირ შემთხვევაში, სოფლად შესაძლებლობების სიმცირე ან მისი არარსებობა ხალხს ურბანული ცენტრებისკენ უბიძგებს და ამიტომ, კიდევ უფრო ძნელია კვალიფიციური მოხალისეების მოძიება, რაც კიდევ უფრო ამცირებს ახალგაზრდული სექტორის განვითარებას ამ მიმართულებით (პოლიზი, 2017: 23).

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების მონაწილეობის რეგიონული და ადგილობრივი სტრუქტურები სისტემატურად არ განვითარებულა და მართვის პრინციპების და ხარისხის სტანდარტები დეფიციტს განიცდის. მეტიც, ადგილობრივი და ეროვნული სტრუქტურები ერთმანეთთან ინტეგრირებული არ არის. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მონაწილეობის ადგილობრივ და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის სისტემური კავშირის განვითარება. ადგილობრივი და ეროვნულ დონის სტრუქტურების დაკავშირება ამ მიმართულებით ახალგაზრდების მონაწილეობადგენლობას უფრო ლეგიტიმურად აქცევს და სისტემური წვდომა ახალგაზრდებზე უფრო გაფართოვდება (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 13).





## სოფლის მეურნეობის ლიდერების პარტნიორობის შექმნა - კინკროსი, შოთლანდია

### სოფლის მეურნეობის ლიდერების პარტნიორობის შექმნა - კინკროსი, შოთლანდია

სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, 'სოფლის ახალგაზრდულმა პროექტმა' 2018 წელს ჩაატარა 'იდევების ფესტივალი'. შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროექტის ორგანიზატორებმა ჩაატარეს კვლევა, რათა უკეთ გაეგო სოფლის ახალგაზრდების მოსაზრება მათი მდგომარეობის, მისწრაფებების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ. ფესტივალმა შეკრიბა ახალგაზრდები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ლიდერობის პოტენციალით საკუთარ თემებში, ორგანიზაციებსა და სამუშაო ადგილებზე და შეეძლოთ საკუთარი ნასწავლის თემის სასარგებლოდ გამოყენება. მათ საშუალება მიეცათ გაეფართოებინათ ნაცნობობის ქსელი და კავშირი დაემყარებინათ პოტენციურ მენტორებთან. სოფლის მენარმეობის თემატიკის გაშუქების მიზნით, მონვეულნი იყვნენ ადგილობრივი მიკრო-ბიზნესის წარმომადგენლები და მენარმეები. მრავალი ვორქშოპი ჩატარდა უნარ-ჩვევების გაზიარებისთვის, მაგალითად, ბარმენობის მასტერკლასი, ხის ზედაპირის შემუშავება და ძხვის დამზადება. ზოგიერთი ვორქშოპი ახალგაზრდა დამსწრეებმა გამართეს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გავზარდოთ მიკრო-ბიზნესი, გავიუმჯობესოთ კავშირები და უკეთ გადმოვცეთ ამბავი და იდეები.

### თემის შენობა სოფლად - უდაბნო, საქართველო

ერასმუსის + დაფინანსებით ჰატარა არასამთავრობო ორგანიზაცია 'კომპასმა' დაამყარა სექტორთაშორისი თანამშრომლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თანამშრომლების, ადგილობრივი ახალგაზრდა ლიდერების და არასამთავრობო ორგანიზაციების მონვევით ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. მათ მონაწილეებს გააცნეს ახალგაზრდული საქმის ინსტრუმენტები და თემის შენებისთვის საჭირო პროექტების მართვის მეთოდები. "კომპასმა" გააერთიანა მობილობის, სწავლების და ტრენინგის მეთოდები პროექტის საბოლოო დამავკირგვინებელი ფესტივალისთვის. ფესტივალმა ხელი შეუწყო ახალგაზრდების და მოზარდების მობილიზებას საერთო მიზნის მისაღწევად - სოფლის და ადგილობრივი წარმოების პოტენციალის პოპულარიზაციას. ახალგაზრდულმა მუშაკებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებსა და ახალგაზრდებს შორის მნიშვნელოვანი კომუნიკაციის დამყარებაში.

**- ნუ ფოკუსირდებით მხოლოდ ქალაქებზე**

როგორც წესი, ურბანულ რაიონებში მეტი შესაძლებლობაა. ეს მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ჯგუფების, და უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებულ აქტივობებს და ღონისძიებებს. ახალგაზრდებს სოფლად სჭირდებათ მეტი ყურადღება საჯარო დაწესებულებებიდან სტიმულის მომცემი შესაძლებლობების შექმნის და მანძილისა და იზოლაციის ბარიერის გადალახვისთვის.

**- ხელს ნუ ჩაიქნევთ სოფლის ახალგაზრდობაზე**

მიუხედავად იმისა, რომ რესურსები მწირია, ყოველთვის არსებობს კრეატიული გადანაცვლებები სოფლის ახალგაზრდობამდე მისაღწევად. ერთ-ერთი გადანაცვლებებია შესაძლოა ახალგაზრდული საქმის მობილობის მხარდაჭერა იყოს, კონკრეტული დღეების განმავლობაში სოფლებში ახალგაზრდებთან ჩასვლის უზრუნველსაყოფად. კიდევ ერთი სტრატეგიაა სოფლად მომუშავე ახალგაზრდული მუშაკების, მოხალისეებისა და მასწავლებლების ძალისხმევით აღიარება, დაფასება და მათი შემდგომი გადაზადება.

**- კარგი განზრახვა არ არის საკმარისი**

საჭიროა კარგი განზრახვა, თუმცა, არასაკმარისია. ახალგაზრდების სიტყვებით და მოქმედებით ხელშეწყობა, მათთვის სივრცის, საშუალებების და შესაძლებლობების მიცემა საკვანძო მნიშვნელობისაა ახალგაზრდების წარმატებისთვის.

## ტრანსპორტი

### რას გვეუბნება განახლებული ქარტია ამის შესახებ?

ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა საზოგადოებაში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. ახალგაზრდობას ხშირად უჭირს ადგილობრივ ახალგაზრდულ კლუბებამდე მისვლა ან რეკრეაციულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მუშაობს, როდესაც მათ სჭირდებათ, ან ძალიან ძვირია, ან არ დადის იქ, სადაც მათ სჭირდებათ ან კი საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. ეს განსაკუთრებით დიდი პრობლემა შეიძლება იყოს სოფლად. შედეგად, ბევრი ახალგაზრდა გარიყულია სხვადასხვა აქტივობიდან და ადგილობრივი კლუბებიდან და ჯგუფებიდან.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უნდა იმუშაონ ამ სერვისების გაუმჯობესებისთვის და განავითარონ საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელი მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

### სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

გადაადგილება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ახალგაზრდობების ჩართულობისთვის კიდევ ერთი დიდი დაბრკოლებაა. ახალგაზრდობის უმრავლესობა (გარდა ბელარუსისა) ცხოვრობს სოფლად, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი ცუდად არის განვითარებული. შედეგად, შორეულ რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდები ვერ ახერხებენ არსებული შესაძლებლობებით სარგებლობას (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 14).



## კარგი პრაქტიკის მაგალითები

### უფასო მუნიციპალური ტრანსპორტი ყველასთვის! (ტალინი, ესტონეთი)

ტალინში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა შედგება ტრამვაის, ტროლეიბუსებისა და ჩვეულებრივი ავტობუსებისგან. ახალმა სატრანსპორტო პოლიტიკამ - უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტი - ქალაქის მასშტაბით გაზარდა გადაადგილება, შეამცირა ჰაერის დაბინძურება და ხმაური. მუნიციპალიტეტში ავტობუსების მომხმარებელთა სიხშირე 21% -ით გაიზარდა და 8% -ით გაიზარდა ახალი მომხმარებლების რაოდენობა, რადგან მეტმა მოქალაქემ დაიწყო გარეთ გასვლა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რასაც, შედეგად, მეტი თანხის დახარჯვა და ქალაქში მეტი დროის გატარება მოჰყვა მოქალაქეების მიერ. ავტომობილების მოძრაობა 15%-ით შემცირდა.

### სოფლად (ანგეს მუნიციპალიტეტი, შვედეთი)

“სოფლის ავტობუსი” სოფლის ტრანსპორტის სისტემაა, რომელიც ტრანსპორტის ალტერნატიულ გზებს ადგენს სოფლის მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარების მიზნით. სოფელში, რომელშიც 100 მაცხოვრებელია, დაიწყო საპილოტე სატრანსპორტო პროექტის დანერგვა, ცოტა ხნის წინ მიკროავტობუსით, რომელსაც არ ჰქონდა ფიქსირებული მარშრუტები ან გამგზავრების დრო. ხალხს შეუძლია კონკრეტულ დროს, უფასოდ გამოიძახოს გაჩერებული ავტობუსი. ავტობუსი უჩერებს ქუჩაში შემხვედრ მგზავრებსაც, რადგან სოფლიდან ქალაქამდე დაშორება 45 კილომეტრია. ერთ წელიწადში, 'სოფლის ავტობუსმა' 4,100-ზე მეტ მგზავრი გადაიყვანა. იმ ადამიანებს, რომელთაც მანქანა არ ჰყავთ ან მართვის მონშობა არ აქვთ, შესაძლოა მონყვეტილ ადგილას დარჩენა ელოდოთ. ისინიც კი, ვისაც საკუთარი მანქანა ჰყავთ, ამ ავტობუსით სარგებლობენ, სიიარის და ეკოლოგიურობის გამო. ავტობუსი ასევე წარმოადგენს შესაძლებლობას სოციალური კონტაქტების დამყარებისთვის. 2018 წლის მარტში, სოფლის ავტობუსმა შვედეთის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ასოციაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა შვედეთში საზოგადოებრივი ტრანსპორტირების საჭიროების საუკეთესო გადაჭრისთვის.

55

### - ნუ იქნებით ცუდი მაგალითი

იყავით სამაგალითო ჯვრიანი ტრანსპორტირები სისტემის დანერგვაში. ჩვენ გირჩევთ ნარჩენების გადამუშავების პოპულარიზაციის ხელშეწყობას. მოერიდეთ დიდ, შავ, არაეკომეგობრულ, გადასახადის გადამხდელთა თანხებით ნაყიდ მანქანებს.

## აკე 9 პატივისცემა ყველა ახალგაზრდას

### რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

ყველა ადამიანი თანასწორია და ამავე დროს, სავსეა განსხვავებებით. ჩვენი საზოგადოება შედგება განსხვავებული წარმოშობის და სიტუაციის მქონე ადამიანებისგან რომელთაც განასხვავებთ ჩვეულებები, კულტურა, იდენტობა და ცხოვრების წესი. ეს ასევე მოიცავს შემზღვევით შესაძლებლობის მქონე პირებს. ჩვენ ყველა ველით მოველით თანასწორად და პატივისცემით მოპყრობას სხვებისგან და ჩვენც ასევე უნდა მოვექცეთ სხვებს.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის უფლებების პატივისცემასა და გაგებას. მათ აგრეთვე უნდა უზრუნველყონ თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა საჯარო დაწესებულებასა და სერვისებზე, მათ შორის, სკოლებში, საჯარო დაწესებულებებსა და აქტივობებში ყველა ახალგაზრდისთვის განურჩევლად მათი წარმოშობისა და სიტუაციისა. ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონალურმა ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ჯგუფებთან და გაიარონ მათთან კონსულტაციები განსხვავებულ ადამიანებს შორის თანასწორების და ურთიერთგაგების ხელშესაწყობად.

### სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

აღმოსავლეთის პარტნიორობის ზოგიერთი ქვეყანა ხასიათდება მრავალენოვანი მოსახლეობით და კონფლიქტების გამო დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ჯგუფების არსებობით. ზოგიერთი ახალგაზრდული ჯგუფი გამოტოვებულა ეროვნული სტრატეგიებიდან და შესაძლოა მარგინალიზებული აღმოჩნდეს პატრიოტული განათლების, რელიგიის და ტრადიციული ფასეულობების ღირებულებების პოპულარიზაციის გამო. ასეთი ჯგუფები მოიცავს ეროვნულ უმცირესობებს, ლგბტ+ ახალგაზრდობას, მიგრანტებს და ეთნიკურ უმცირესობებს, მაგალითად, რომა ახალგაზრდობას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა მხარს უჭერს მონაწილეობით და თანამშრომლობითი მართვის მიდგომებს, ეს კონკრეტული ჯგუფები ძირითადად გარიყულია, ან მათი ჩართვა მანიპულაციის და ახალგაზრდების დეკორაციად გამოყენებას ემსახურება (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 31).

ხშირ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციები უწევენ ადვოკატირებას სპეციალური საჭიროებების მქონე და დაუცველ ახალგაზრდებთან მუშაობას. ეს მოიცავს:

- ახალგაზრდებს ფიზიკური, სენსორული და ფსიქიკური აშლილობებით;
- გეოგრაფიული დაბრკოლებების მქონე ახალგაზრდები;
- სექსუალური და გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაციის მსხვერპლი ახალგაზრდები;
- საგანმანათლებლო სირთულეების წინაშე მდგარი ახალგაზრდები;

- ახალგაზრდები უმცირესობების კულტურებიდან (პოლიზი, 2017: 4).  
სახელმწიფო სტრუქტურებსა და საზოგადოება ამ ახალგაზრდებს მხარს თანაბრად არ უჭერს. მაგალითად, ლგბტ+ თემთან მუშაობა დაბრკოლებას წარმოადგენს ფართოდ გავრცელებული ჰომოფობიის გამო, რის შედეგადაც ლგბტ+ თემთან ღიად მუშაობის რისკი იზრდება და სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერის ხარისხი მცირდება. ზოგადად, უფრო ადვილია მუშაობა ოფიციალურად აღიარებულ დაუცველ და სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებთან, როგორცაა ფიზიკური და გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. იძულებით გადაადგილებული პირებიც ასევე აღიარებული ჯგუფია ხელისუფლების მიერ კონფლიქტის აღიარების პირობებში. (პოლიზი, 2017: 4).



## ჯარჯი პრაქტიკის მაგალითები

### ხელმისაწვდომობაზე გრუნვა ფინანსური გამონვევების პირობებში (ალექსანდრია, იტალია)

როდესაც 2012 წელს გავკოტრებულად გამოცხადდა მუნიციპალიტეტი, ადგილობრივმა მთავრობამ მიმართა კერძო სექტორს პროდუქტების, სერვისების, გარემოს ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებებზე მომუშავე 40 ასოციაციასთან პარტნიორობით, მუნიციპალურმა ორგანოებმა განახორციელეს ისეთი ინიციატივები, როგორცაა ახალი ხიდი ცალკე სავალი ნაწილით ფეხითმოსიარულეთათვის და სათამაშო აპარატების აღდგენა ყველა ბავშვისთვის, მათ შორის ფიზიკური, სენსორული ან ინტელექტუალური სისუსტეებით. ასევე საფუძველი ჩაუყარეს ბავშვებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა აქტივობას სკოლების მასშტაბით, მათ შორის 'სოლიდარული შეჯიბრება' სპეციალური საჭიროებების მქონე ათლეთებისთვის და ვირტუალური დაჯარიმების სქემით, რომლებშიც ჩაერთნენ მოზარდები, რათა აღმოეჩინათ მოძრაობის წესების დარღვევები, რომლებიც ხელს უშლის ხელმისაწვდომობას (როგორცაა უაზრო პარკინგი).

## ლგბტ+ ახალგაზრდობის უსაფრთხოებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა (რუმინეთი, შოტლანდია)

ლგბტ+ ახალგაზრდების მონაწილეობის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის ძირითად ბარიერს წარმოადგენს ჰომოფობია და ლგბტ+ საკითხების იგნორირება. ელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მასწავლებლებს, ახალგაზრდებს და ახალგაზრდებთან მომუშავე პროფესიონალებს, მიიღონ ახალი ცოდნა და აიმაღლონ ცნობიერება ლგბტ+ საკითხებზე. აქ ორი ძირითადი რესურსი არსებობს: არასამთავრობო ორგანიზაციები და ახალგაზრდა აქტივისტები! რუმინეთში, არასამთავრობო ორგანიზაციამ ACCEPT უმასპინძლა სემინარს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ახალგაზრდებს შორის სტრატეგიებისა და საინფორმაციო კამპანიების დასასახად, სკოლებში ლგბტ+ სტუდენტებისათვის უფრო უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. 'ლგბტ ახალგაზრდული შოტლანდია' ქმნის სხვადასხვა კომისიებს, რათა უზრუნველყონ პოლიტიკაში იმ პრობლემების გააუქმება, რომელსაც ლგბტ+ ახალგაზრდები ეჩეხებიან, მათ შორის, გენდერის აღიარება, საცხოვრისით უზრუნველყოფა და უსახლკარობა.

ნუ

### -ნუ გაუწევთ დისკრიმინაციას

ნუ გაუწევთ დისკრიმინაციას და უგულებელყოფთ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს და ახალგაზრდებს კონკრეტული ჯგუფებიდან. დაძლიეთ სტერეოტიპები. მთელი საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანია, როდესაც მისი ყველა წევრი წარმატებულია და გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისგან არაა გარიყული.

### -დარწმუნდით, რომ თქვენი ქალაქი ხელმისაწვდომია

გააკეთეთ ყველაფერი იმისათვის რომ თქვენი ქალაქი სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს? მოგიერთ ქალაქში აყენებენ პანდუსებს, თუმცა იმგვარად, რომ მათ გამოყენებას ეტლით მოსიარულეთათვის აზრი არ აქვს. მანქანებით დაფარული ტროტუარები ქალაქის ირგვლივ შშ პირებისთვის გადაადგილებას შეუძლებელს ხდის.

## დანაშაული და ძალადობა

### ● რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

დანაშაული და ძალადობა ახალგაზრდებისთვის უმთავრესი საკითხია. ბევრი დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლია, ხოლო უმცირესობა კი ჩართულია მასში. ახალგაზრდების ჩართვა აუცილებელია დანაშაულთან და ძალადობასთან ბრძოლაში და ასევე ნდობის ხარისხის ამაღლება მათ და საჯარო მოხელეებს, ასევე ახალგაზრდებსა და პოლიციელებს შორის.

ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოები უნდა მუშაობდნენ დანაშაულისა და ძალადობის რისკზე მყოფ ახალგაზრდებთან ერთად. ისინი ასევე მხარს უნდა უჭერდნენ პროექტებს, ჯგუფებს ან სააგენტოებს, რომლებიც მუშაობენ ყველა სახის დანაშაულისა და ძალადობის პრევენციაზე ახალგაზრდების სექსუალური ექსპლოატაციის ჩათვლით. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების ჩართვა ადგილობრივ სტრუქტურებსა და დანაშაულის პრევენციის საბჭოებში და ჰქონდეს მათთან პერიოდული კონსულტაცია.

### ● სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

ქალაქებში, აღმოსავლეთის პარტნიორობის ზოგიერთი ქვეყანა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში ახალგაზრდა დამნაშავეთათვის დახმარების განწევა სოციალიზაციაში, რეაბილიტაციისასა და სოციალურ ინტეგრაციაში სოციალური მუშაკების, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებისა და კარიერული რჩევების დახმარებით მნიშვნელოვანია (წერეთელი, 2016: 12). ქვეყნების უმრავლესობის დოკუმენტებში მიზნად არის დასახული სასჯელადსრულებისა და პრობაციის ევროპული სტანდარტების შესაბამისი სისტემის შექმნა, ნათქვამია ქვეყნების უმრავლესობის დოკუმენტებში. ამ რეფორმის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილი უნდა იყოს ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 31). თუმცა, რეალობაში ასეთი პროგრამების განხორციელებას ხელს უშლის რესურსების ნაკლებობა და ბევრი პრობლემა, რომელიც ამ კონკრეტულს გადაწონის.

გარდა ამისა, ამ ქვეყნების უმრავლესობაში აღწეულია პოლიციის ძალადობის, შვრების უფლების დარღვევის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები, ასევე ახალგაზრდა დამნაშავეებისთვის უფლებებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა (პოლიზი, 2017: 36). ამ დარღვევათა გამო ახალგაზრდებმა შესაძლოა მართლმსაჯულების სისტემაში ამოყონ თავი. რეალობის კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა შეიძლება ასევე იყოს ნარკოტიკების მომხმარებელთა კრიმინალიზაცია და მათ მიმართ ძალადობა, რომელიც არსებობს რეაბილიტაციის პროცესზე აქცენტირების მიუხედავად.





## ჯარჯი პრაქტიკის მაგალითები

### ლგბტ + ცხელი ხაზი

“ლგბტ + ცხელი ხაზი” არის ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის ფაქტების შეტყობინების და ლგბტ+ საკითხებზე საკონსულტაციო სერვისი. მოხალისეები რეაგირებენ ჰომოსექსუალურ, ბისექსუალ ან ტრანსგენდერებთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე, როგორცაა ქამინგ-აუტი, უსაფრთხო სექსი, საინფორმაციო მომსახურება, რჩევები და სხვა. 2016 წელს, 'ლგბტ + ცხელი ხაზმა' დაიწყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის აღრიცხვა და ინფორმაციის შეგროვება ონლაინ ფორმის, ტელეფონის, პირისპირ შეხვედრების და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. 'ლგბტ + ცხელი ხაზის' კონსულტანტები არიან სხვადასხვა ასაკისა და წარმოშობის მოხალისეები, მათ შორის ხელოსნები, ოფისის თანამშრომლები, იურისტები, ექიმები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და სტუდენტები.

### ბულინგის პრევენცია სკოლებში (ბაერთიანებული სამეფო)

Youth Matters არის ბულინგის პრევენციის ორწლიანი სასკოლო პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს დადებითი ურთიერთობების გაღრმავებას სტუდენტებს და სკოლის მოზარდებს შორის და ჯანსაღი ნორმების დანერგვას სკოლის საზოგადოებაში. პროგრამის ძირითადი სამიზნე ჯგუფია დაწყებითი სკოლის მოსწავლეები ბულინგის ქცევის მაღალი რისკით. სასწავლო პროგრამა იყენებს ინტერაქციულ ინსტრუქციას და ხაზს უსვამს ბულინგის შედეგებს როგორც მსხვერპლის, ასევე დამნაშავესათვის. თითოეული მოდული მოიცავს ათი სესიამზე მეტს და მთავრდება საკლასო ან სასკოლო მასშტაბით პროექტით, რომელიც ფოკუსირებულია ბულინგის და აგრესიის უარყოფით შედეგებზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ნორმები.

- ნუ უგულვებელყოფთ პრევენციას

იყავით სამაგალითო ჭკვიანი ტრანსპორტირები სისტემის დანერგვაში. ჩვენ გირჩევთ ნარჩენების გადამუშავების პოპულარიზაციის ხელშეწყობას. მოერიდეთ დიდ, შავ, არაეკომეგობრულ, გადასახადის გადამხდელთა თანხებით ნაყიდ მანქანებს.

- ნუ აქცევთ სტიგმად

ეს მართლაც ეროვნული პოლიტიკის საკითხია, მაგრამ ახალგაზრდა დამნაშავეთა მარგინალიზაცია, სათანადო მხარდაჭერისა და რესოციალიზაციის გარეშე ბევრად მეტ სოციო-პათოლოგიურ საკითხებსა და დანაშაულს გამოიწვევს. ითანამშრომლეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოციალურ მუშაკებთან და ნუ გაუწევთ სტიგმატიზაციას ახალგაზრდებს.

## აკი 11

# თანასწორობა ახალგაზრდა ქალებსა და ახალგაზრდა ქაეაქსებს შორის

### რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

ქალები და მამაკაცები არ სარგებლობენ თანაბარი მოპყრობით. ეს ორივე მხარისთვის პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ განსაკუთრებულად ზღუდავს ახალგაზრდა ქალთა მონაწილეობის უნარს და მათი საჭიროებების, იდეების და უფლებების ადვოკატირებას. ყველასათვის უკეთესი იქნებოდა ყველა რომ თანაბარი მოპყრობით სარგებლობდეს.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ახალგაზრდა ქალები და მამაკაცები სარგებლობდნენ თანაბარი მოპყრობით თავიანთ საქმიანობებსა და სამსახურში. მათ უნდა უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება ამ თემაზე და მხარი დაუჭირონ ახალგაზრდა ქალებმა, რათა მათ შეძლონ განივითარონ სრული პოტენციალი სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურსა და ცხოვრების ყველა სფეროში.

### სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

დოკუმენტების უმრავლესობაში გამოტოვებულია ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების თანასწორობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის პოლიტიკა ან პრიორიტეტი. გამონაკლისი არის ამერბაიჯანის ახალგაზრდული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ქალებისა და მამაკაცების თანაბარი უფლებების გარანტირებას. ეროვნული ანგარიშების თანახმად, ეს პრიორიტეტი დგას ქალთა დასაქმების მხრივ არსებული გამოწვევებისა და სხვა სოციალურ სფეროებში მონაწილეობის ნაკლებობის გამო (პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 22), რადგან ახალგაზრდა ქალების, მათ შორის მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა ქალებისთვის სამსახურის პოვნა უფრო რთულია, ვიდრე ახალგაზრდა კაცებისთვის (გაფარ-ზადა, 2011: 9). თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პოლიტიკა.

გენდერული თანასწორობა ითვლება ყველა ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ჩამოყალიბებული, როგორც სპეციფიკური ახალგაზრდული პოლიტიკა. თუმცა ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის და მათ მიერ დაკავებული მაღალი პოზიციების სტატისტიკამ დაადგინა, რომ ამ კუთხით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უფრო მეტიც, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა სომხეთი, ამერბაიჯანი და ნაწილობრივ საქართველოც, ჯერ კიდევ არსებობს შერჩევითი აბორტების მაღალი დონე, როდესაც მდედრობითი ნაყოფების სიცოცხლე შეწყვეტილია, რაც კულტურული საკითხია და განათლებით უნდა გადაიჭრას. ყველა ქვეყანაში არსებობს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად საერთაშორისო დონორების და მცირე ადგილობრივი ფონდებისგან იღებენ მხარდაჭერას. ლგბტ+ სერვისების მიწოდება ყოველთვის ადვილი არ არის დაბალი

ცნობიერების არსებობის და საზოგადოების გარკვეული ნაწილებისგან მტრული დამოკიდებულები გამო (პოლიზი, 2017: 19).



## ჯარჯი პრაქტიკის მაგალითები

### გენდერული თანასწორობა ადგილობრივ დონეზე თანაბარი მონაწილეობით (გერმანია)

2011 წელს შეიქმნა ინიციატივა 'ელენე ვებერის კოლექტი', რომელიც მიზნად ისახავდა უფრო მეტი ქალის ჩართვას ადგილობრივ პოლიტიკაში მათი პოლიტიკური კარიერის შესაძლებლობების გაზრდით - მხარდაჭერის და თანამშრომლობის ქსელის შექმნის გზით. კოლექტი შეიქმნა 2008 წლის კამპანია Frauen Macht KOMMUNE ("ქალთა დონის მუნიციპალიტეტები") პასუხად. კამპანია წამოიწყო არასამთავრობო ორგანიზაცია EAF Berlin-მა, ოჯახის, უფროსი მოქალაქეების, ქალთა და ახალგაზრდობის ფედერალურ სამინისტროსთან (BMFSFJ) თანამშრომლობით. ისინი მხარს უჭერდნენ ქალ პოლიტიკოსებს ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის აქტივობების განხორციელებაში 10,000€ ჯილდოს გაცემით და აგრეთვე უზრუნველყოფდნენ იმ ქალების 9-თვიან სასწავლო სქემაში მონაწილეობას (ამ დროისთვის 65 წევილამდე), რომელთაც ადგილობრივ პოლიტიკაში მოსვლა სურდათ. სქემა მოიცავდა სემინარებს, გაცნობით შეხვედრებს და სტაჟირებებს.

- ნუ უგულუბელყოფთ გენდერულ საკითხებს

მხარი დაუჭირეთ ახალგაზრდების მიერ შემუშავებულ გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებულ ინიციატივებს და იმუშავეთ ქალებთან და არაბინარულ ექსპერტებთან ერთად ამ საკითხებზე. იყავით პოზიტიური მაგალითი და დარწმუნდით, რომ თქვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა დაბალანსებულია.

- ნუ იფიქრებთ "მხოლოდ მამაკაცებით"

ბოლო კვლევები ცხადყოფს, რომ პოლიტიკა, პროექტები და ურბანული გარემოცვი უპირატესად მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი, რადგან გადანაცვტილებებიც ძირითადად, მათ მიერ მიიღება. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ საჯარო მოხელეები ანგარიშვალდებულნი არიან ყველა მოქალაქის მიმართ, მიუხედავად მათი გენდერისა. მრავალფეროვნების ხელშეწყობა გადანაცვტილების მიღებისას ან სხვა საჯარო პროექტის შექმნისას უნდა იყოს პროცესის განოყოფელი ნაწილი.

# კულტურათმშობრისი სწავლება

## ● რას გვეუბნება განახლებული ქართი ამის შესახებ?

სხვა ევროპულ ქვეყანაში მოგზაურობა და ცხოვრება ხანმოკლე ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეხმარება გაიგოს და განიცადოს, როგორ ცხოვრობენ სხვები. ეს ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნებიდან და გარემოდან მოსულ ხალხს შორის გაგების დამყარებას.

ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდებს, სკოლებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მოხალისეებს და სხვებს თავიანთ ქვეყნებში გაცვლითი პროგრამების/პროექტების დაგეგმარებასა და მართვაში.

## ● სიტუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

საგარეო კვლევების მიხედვით, ინტერნაციონალიზაციისა და ჩართულობის მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ტენდენციებში Erasmus+ და სხვა დაფინანსების პროგრამების, მათ შორის ევროპის ახალგაზრდული ფონდის მიმართ. მაშინ, როცა ამერბაიჯანი, სულ უფრო ნაკლებ სარგებლობს ამ პროგრამებით და უპირატესობას ადგილობრივ დონორებს ანიჭებს რიგი მიზეზების გამო, სხვა აპ ქვეყნების ორგანიზაციებში შედარებით მაღალია ცნობიერება საერთაშორისო დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ და პროგრამებში მათი ჩართულობაც მაღალია (პოლიმი, 2017: 26). დიდ ქალაქებსა და სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებთან წვდომის თვალსაზრისით დიდი დისბალანსი შეიმჩნევა. ამ პროგრამების პოპულარიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა ის ახალგაზრდული ორგანიზაციებია, რომელთაც პროგრამებში მონაწილეობა აქვთ მიღებული და აქტიურად უწყობენ ხელს არაფორმალური და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების და ასევე, კულტურათმშობრისი სწავლების გავრცელებას. ყველა ქვეყანაში არსებობს რამდენიმე ეროვნული პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს ახალგაზრდების მობილობას სასწავლო გაცვლითი პროგრამების და სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას, ძირითადად, ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის.



## ქარგი პრაქტიკის მაგალითები

### მობილობა კულტურათმშორისი სწავლებისთვის (პასადენა, აშშ)

ქალაქ პასადენას აქვს ოთხი დობილი ქალაქი, რომლის მეშვეობითაც მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს კულტურათმშორისი სწავლების სხვადასხვა პროექტებს ახალგაზრდებისთვის. სტუდენტური გაცვლითი პროგრამა განსაკუთრებულ შესაძლებლობას სთავაზობს 16-დან 30 წლამდე სტუდენტებს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ იმონანილევეონ საზაფხულო გაცვლით პროგრამებში შემდეგ ქალაქებში: ლუდვიგშფენი (გერმანია), მიშიმა (იაპონია), ჟარვენჰაა (ფინეთი) და ვანდაძორი (სომხეთი). თითოეული ქალაქი უზრუნველყოფს სტუდენტებს საცხოვრებელი ადგილით მასპინძელ ოჯახებთან ერთად და ასევე ექსკურსიებით ადგილობრივი ატრაქციების მოსანახულებლად. მასპინძელი ოჯახები მოხალისეობრივ ბაზისზე სთავაზობენ სტუდენტებს გამოცადონ უცხოელ ოჯახში ცხოვრება და იმონანილევეონ სხვადასხვა დაგეგმილ აქტივობებში. ამ გამოცდილების ფარგლებში ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ განვიტარონ ლინგვისტური უნარები, იმონანილევეონ სოციალურ ღონისძიებებში, გაეცნონ ადგილობრივ მოსახლეობას და საზღვარგარეთ ცხოვრებას!

### ევროკული მობილობის პროექტების ქარგი გამოყენება (ტურკუ, ფინეთი)

ტურკუს ახალგაზრდული სერვისები ინვესტირებას ახორციელებს ახალგაზრდებში ევროპაში ადგილობრივი მოხალისე ახალგაზრდების გაგზავნასა და უცხოელი ახალგაზრდების ტურკუში მიღებაში. მიზნების მისაღწევად მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ასოციაციებთან, ტყუპ ქალაქებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და ევროკავშირის ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამასთან. პროგრამის ნაწილია ისეთი ნეგატიური მოვლენების განხილვა, როგორიცაა დისკრიმინაცია, რასიზმი და სხეულის ავტონომიის უფლებების დარღვევა. კულტურათმშორისი სწავლების მეშვეობით, მოხალისეები შეისწავლიან, როგორ შეუძლიათ ამ საკითხებზე რეაგირება, როგორ შეუძლიათ მიიღონ დახმარება და რამდენად მნიშვნელოვანია ამ ყველაფრისთვის ხელის შეშლა. შესაძლებლობები მოიცავს ახალგაზრდულ ევროკულ პროექტებს, საერთაშორისო ახალგაზრდულ გაცვლებს, სემინარებსა და ღონისძიებებს Erasmus + და Youth in Action პროგრამების ფარგლებში.

**-სუ უგულბეაღყოფი კულტურათშორის სწავლებას**

გაეცანიო კულტურათშორისი სწავლები თემებზე მომუშავე ახალგაზრდულ ორგანიზაციებს თქვენს მუნიციპალიტეტში, განიხილეთ მათთან ერთად, თუ რა შეიძლება გაკეთდეს კულტურათშორის და საერთაშორისო ღონისძიებებში უფრო მეტი ახალგაზრდის ჩასართავად. ყველას არც კი სმენია ამის შესახებ. ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ სკოლებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა უფრო მეტ ახალგაზრდას დაეხმარება ისარგებლონ ამ შესაძლებლობებით. და გახსოვდეთ, ყოველთვის არ არის საჭირო საზღვარგარეთ წასვლა კულტურათშორისი სწავლების შეცნობისთვის!

**-სუ აურავი ქვეყნის კულტურის პრეზენტაციას და კულტურათშორის სწავლას ერთმანეთში**

კულტურათშორისი სწავლება მოიცავს კომპლექსურ მეთოდოლოგიას და მიდგომას. ღონისძიების ორგანიზება ერთი ქვეყნისა და მისი კულტურის წარდგენით შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მცირე ნაწილი. მხარი დაუჭირეთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ექსპერტების მიერ გამართულ ღონისძიებებს, რათა მათ განივითარონ და გაიღრმავონ კულტურათშორისი უნარები, უაღრესად მნიშვნელოვანი აქტივი ამ ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში.



## სიყვარული და საქმუაღობა

### რას გვეუბნება განახლებული ქართია ამის შესახებ?

გიყვარდეს ვინმე და იყო ურთიერთობაში შესაძლოა დიდებული გამოცდილება იყოს. თუმცა ყველას აქვს შევითხვები და ეჭვები სიყვარულის, ურთიერთობების და სექსუალობის შესახებ. ახალგაზრდებიც არ არიან გამონაკლისი და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მეტი მხარდაჭერა დასჭირდეთ გამოუცდელი გამო. მნიშვნელოვანია, რომ მათ მიიღონ რჩევები ჯანსაღი ურთიერთობის, არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან თავდაცვის და მათ ურთიერთობების შესახებ.

ადამიანებს განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია აქვთ. ადამიანი შეიძლება იყოს ჰეტეროსექსუალი, გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ასექსუალი, პანსექსუალი და ა.შ. ყველანაირი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანს სულს სიყვარულისა და ბედნიერების პოვნა, თუმცა ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში სხვებისგან მიმღებლობის, მხარდაჭერის და გაგების დეფიციტს განიცდიან.

ელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ ოჯახების, სააგენტოებისა და ჯგუფების მხარდაჭერა, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდებს მათთვის საჭირო ინფორმაციით, რჩევებითა და მხარდაჭერით სიყვარულის, სქესისა და სექსუალობის შესახებ. ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული ამ სერვისების განვითარებასა და დანერგვაში.

### სიბუაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

სექსუალური ჯანმრთელობა და ჯანსაღი ურთიერთობა ახალგაზრდებისთვის სერიოზული თემაა. თუმცა, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების უმრავლესობაში არსებული კულტურული ნორმების გამო, თემა წარმოადგენს ტაბუს და ღიად არ განიხილება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მედიაში ან თუნდაც ოჯახებში. ზოგიერთ ქვეყანაში განათლების სამინისტრო ებრძვის ან ეწინააღმდეგება ამ თემის ეროვნული განათლების კურიკულუმში შეტანას და ემხრობა რელიგიური და კონსერვატიული ჯგუფების მოსაზრებებს. სათანადო ცოდნის დეფიციტი იწვევს არასასურველ ორსულობას (რასაც მოჰყვება აბორტების მეტი რაოდენობა, ვიდრე ადრე) და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სიმრავლე (თადევოსიანი, ლავჩიანი, მინასიანი, 2011: 16).

კიდევ ერთხელ, თემა ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნება. ამის მაგალითია ევროკავშირის/გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამა “რეპროდუქციული” ჯანმრთელობის ინიციატივა საქართველოში”, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე, ახალგაზრდობის

ჯანმრთელობასა და მათ გაძლიერებაზე აქცენტირებას (ასანიძე, 2011: 5). ასევე ბელარუსში, საქართველოსა და სომხეთში ვხვდებით ახალგაზრდობის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ურთიერთობების ინიციატივების მაგალითებს, რომლებმაც შეძლეს ჯანმრთელობის თემაზე მომუშავე ახალგაზრდა მულტიპლიკატორების ქსელის განვითარება (პოლიზი, 2017: 20).

## ჯანმრთელობის ურთიერთობების მაგალითები

### Allaboutyou.ge (საქართველო)

ქალთა საერთაშორისო ქსელის მიერ ადმინისტრირებული ეს ქართული ვებ-გვერდი სექსუალური განათლების შესახებ მიზნად ისახავს საგანმანათლებლო კონტენტის შექმნას ახალგაზრდობის, ფემინიზმის, სექს-პოზიტიურობის, არჩევანის თავისუფლების, ტოლერანტობის და ინკლუზიის საფუძველზე. ვებ-გვერდი გასცემს სწორ, განახლებულ ინფორმაციას მარტივ, გასაგებ ენაზე. ვებგვერდის შინაარსი მოიცავს სხეულის, ფიზიოლოგიის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, სქესის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, ორსულობისა და ძალადობის შესახებ სტატიებს.

### Love & Respect (სომხეთი, საქართველო)

ეს პროექტი შეეხება თინეიჯერების ურთიერთობებში არსებული ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პრევენციას და ჯანსაღი ურთიერთობების პრინციპების გავრცელებას. პროექტი მოიცავს peer-educator-ებთან მუშაობას და იყენებს ისეთ ახალ ტექნოლოგიებს, როგორცაა აპლიკაციები, ქვიზები და კომუნიკაცია სოციალური მედიის საშუალებით მოზარდებთან და ახალგაზრდებთან. პროექტი Erasmus + პროგრამის მეშვეობით დაფინანსებული გრძელვადიანი საერთაშორისო თანამშრომლობაა.

## ნუ

### - ნუ შეგაშინდებათ ტაბუს დარღვევის

სექსუალობასა და ჯანსაღ ურთიერთობებზე დუმილმა, ამ თემების ტაბუდ და სამარცხვინოდ ჩათვლამ შესაძლოა ახალგაზრდებზე დამანგრეველი გავლენა იქონიოს. ბევრი მათგანი შესაძლოა საეჭვო წყაროებს იყენებდეს ინფორმაციისთვის. დარწმუნდით, რომ ხელს უწყობთ იმ საინფორმაციო წყაროებს და ღონისძიებებს, რომლებიც გასცემენ ზუსტ და სწორ ინფორმაციას და ასახავს თუ რა ხდება რეალურად ახალგაზრდების ცხოვრებაში, სექსუალობისა და ურთიერთობების აკრძალვის და დემონიზების მაგივრად.



## რეკომენდაციები

### ალმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მთავრობებს:

-ჩართეთ ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები პოლიტიკის ციკლის ყველა ელემენტში, მათ შორის დაგეგმარებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.

-დარწმუნდით, რომ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ახალგაზრდობას ეხება, კონსულტაციებში ჩართული გყავთ ყველა სექტორის (საჯარო, კერძო, სამოქალაქო საზოგადოება) ძირითადი დაინტერესებული მხარეები.

-გაადღიერეთ მტკიცებულების ბაზა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მტკიცებულებებზე დაყრდნობილი პოლიტიკის შემუშავება და ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

-უზრუნველყავით არაფორმალური განათლებისა და მოხალისეობის აღიარება და ვალიდაცია სახელმწიფო დონეზე, რათა ახალგაზრდებს მეტი სტიმული ჰქონდეთ მონაწილეობისა და პოლიტიკაში წვლილის შეტანისთვის.

-ზრუნველყავით თანამმართველობის პრინციპის დანერგვა ყველა ახალგაზრდულ ინსტიტუციასა და ორგანიზაციაში.

### ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს:

-ჩართეთ ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები პოლიტიკის ციკლის ყველა ელემენტში, მათ შორის დაგეგმარებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.

-დარწმუნდით, რომ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ახალგაზრდობას ეხება, კონსულტაციებში ჩართული გყავთ ყველა სექტორის (საჯარო, კერძო, სამოქალაქო საზოგადოება) ძირითადი დაინტერესებული მხარეები.

-უზრუნველყავით თანამმართველობის პრინციპის დანერგვა ყველა ახალგაზრდულ ინსტიტუციასა და ორგანიზაციაში.

### დონორებს:

-უზრუნველყავით გაერთიანებული მხარდაჭერის შესაძლებლობების (დაფინანსება და შესაძლებლობების გაძლიერება) ახალგაზრდული პოლიტიკის ყველა აქტორისთვის -, ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების ჩათვლით.

-გაუზარდეთ საგრანტო მხარდაჭერა მცირე ადგილობრივ ორგანიზაციებს, კერძოდ, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სოფლებიდან და ჩამორთმეული ურბანული ტერი-

ტორიებიდან არიან და მარგინალიზებულ, გარიყულ ჯგუფებთან მუშაობენ. ამ გზით ახალგაზრდულ პოლიტიკას უფრო ინკლუზიურად და თანასწორად აქცევთ. რაც ხელს შეუწყობს უფრო ინკლუზიური და თანაბარი ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერებას.

-მიაბით დაფინანსება თანამმართველობას და პროექტის ციკლის ყველა ეტაპზე ახალგაზრდების ჩართულობას.

## სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს:

-ჩართეთ სხვა ორგანიზაციები და დაინტერესებული მხარეები ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები, დონორები, არაკომერციული და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები და ჯგუფები (კვლევითი, მედია, სოციალური პარტნიორები/სავაჭრო კავშირები).

- გააძლიერეთ წვდომა წევრებთან და თემებთან ორგანიზაციების გარშემო უფრო ძლიერის ოლქის ჩამოყალიბებისთვის - ეს ხელს შეუწყობს უკეთესი სამუშაო პროგრამებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას საჯარო მოხელეებთან და დონორებთან ურთიერთობაში.

# რეკომენდაციები

## რეკომენდაციები კონფერენციიდან:

2019 წლის 14-16 თებერვალს პროექტ 'მონაწილეობის სამკუთხედი ახალგაზრდებისთვის -ახალგაზრდა ლიდერები - ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები - მუნიციპალიტეტები'' ფარგლებში. კონფერენციამ უმასპინძლა ახალგაზრდობის სფეროში ჩართულ სხვადასხვა აქტორებს და სივრცე მისცა რეკომენდაციების შემუშავებას ნახსენები აქტორებისათვის.

კონფერენციის ზოგადი რეკომენდაციები მიუთითებენ ახალგაზრდების მდგრადი, მაღალი ხარისხის მონაწილეობის საჭიროებაზე საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადანყვეტილების მიღების პროცესში. ქვეყნების მთავრობებმა უნდა გააძლიერონ რეგიონული და ადგილობრივი საჯარო დაწესებულებები ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ახალგაზრდობის სფეროში პრობლემების გადაჭრის და გადანყვეტილების მიღების დეცენტრალიზება. ახალგაზრდულ პოლიტიკაზე მუშაობისას გადანყვეტილების მიმდებმა პირებმა უნდა იქონიონ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და დისკრიმინაციული პრაქტიკაც უნდა აღმოიფხვრას სწორედ ახალგაზრდების უფლებებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით.

კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღება ასევე გაამახვილეს ახალგაზრდული საქმის როლსა და ახალგაზრდულ მუშაკთა მხარდაჭერის საჭიროებაზე ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით. მუნიციპალიტეტებმა

უნდა უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება ტრენერების, პედაგოგების, მასწავლებლების, ტუტორებისა და ახალგაზრდული მუშაკებისათვის ახალგაზრდული საქმის, ახალგაზრდების მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების სფეროში. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ ახალგაზრდული სივრცეები შეხვედრებისა და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საკუთარი მედიითა და თავისუფალი სივრცით.

ახალგაზრდული პოლიტიკა უფრო მეტად ინკლუზიური უნდა გახდეს სოციალურად დაუცველ არეალებში და მეტი შესაძლებლობები მისცეს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და გეოგრაფიულ დაბრკოლებას აწყდებიან. უმუშევრობა ახალგაზრდებში აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად სახელდება. შესაბამისაა, ის პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდებში დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, უნდა იყოს მხარდაჭერილი და უზრუნველყოფილი. ასევე, იფორმაცია სხვადასხვა არხებით უნდა ვრცელდებოდეს არსებული შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის სტიპენდიების, სტაჟირების, გაცვლითი პროგრამების, პროექტების და სერვისების შესახებ.

### ქვეყნების მთავრობებს:

-გადახედეთ ახალგაზრდულ პოლიტიკასა და სტრატეგიას, შეინარჩუნეთ რაც კარგია და გააუმჯობესეთ ის, რაც არ მუშაობს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით. გამოიკვლიეთ საჭიროებებო, რათა თქვენი პოლიტიკა და მისი განხორციელება მტკიცებულებებზე იყოს დაფუძნებული. გამოიყენეთ მონაწილეობითი მეთოდები და იქონიეთ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

-დარწმუნდით, რომ ყოველივეს განსახორციელებლად გქონდეთ საკმარისი ბიუჯეტი.

-ყველა სამინისტროს უნდა ჰქონდეს ახალგაზრდული სტრატეგია და ცოდნა მისი შესაბამისად მართვისა და განახლებისთვის.

-უზრუნველყავით ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდულ სივრცეებთან თავისუფალი წვდომა.

- გააუმჯობესეთ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდების (ახალგაზრდები სპეციალური საჭიროებებით, რისკის პირას მყოფი ახალგაზრდები, უსახლკაროები, დევნილები და ა.შ) შესახებ.

### ადგილობრივ საჯარო მოხელეებს:

- ჩაატარეთ შრომითი ბაზრის კვლევა და შექმენით ახალგაზრდებისა და მათი განათლების შესახებ მონაცემთა ბაზა. ეს დაგეხმარებათ ისეთი ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც მათ საჭიროებებს ასახავს. ასევე, წაახალისეთ ვერძო ბიზნესი (მაგალითად, ადგილობრივი საგადასახადო განაკვეთის შემცირებით) კომპანიებში ახალგაზრდების დასაქმებისთვის.

-დააარსეთ ახალგაზრდული საბჭოები ყველა ქალაქში, რომელშიც ახალგაზრდების წარმომადგენლები იქნებიან ყველა მცირე ადმინისტრაციული ერთეულიდან, მათ შორის, სოფლებიდან და პატარა თემებიდან. ასევე მნიშვნელოვანია პატარა საბჭოები ამ ერთეულებშიც არსებობდეს, რათა ახალგაზრდების ადგილობრივი საჭიროებები შესაბამისად გაშუქდეს საქალაქო საბჭოებში. მუნიციპალიტეტებმა ბიუჯეტი უნდა მიუსადაგონ ახალგაზრდული საბჭოების გადამწყვეტილებებს და უზრუნველყონ ეფექტურობა. ახალგაზრდულმა საბჭომ უნდა გაავრცელოს ყველანაირი ინფორმაცია თითოეული აქტივობისა და შესაძლებლობის შესახებ ახალგაზრდებისათვის. - წაახალისეთ მედია, რომ ახალგაზრდების შესახებ მეტი ინფორმაცია გამოქვეყნდეს. დარწმუნდით, რომ ახალგაზრდული აქტივობები ყოველთვის იყოს რელევანტური და საინფორმაციო რადარზე, ცენტრში.

## დონორებს:

-საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებზე დაყრდნობით შეარჩიეთ ადგილები, სადაც თქვენი იდეებისა და პროექტების განხორციელებას დაგეგმავთ და ნათლად განმარტეთ რა ტიპის პროექტებს და პარტნიორობას ეძებთ.

-წამოიწყეთ სტრუქტურული დიალოგის პროცესი მთავრობასთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

-უზრუნველყავით ადმინისტრაციული მხარდაჭერა განვითარების პროცესისათვის: ფინანსური და ტექნიკური, ასევე სივრცით უზრუნველყოფა და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაეხმარეთ დამწყებ ახალგაზრდებს.

-გააუმჯობესეთ ხარისხის კონტროლის მექანიზმები.

-ევროკომისიამ უნდა გაავრცელოს ორგანიზაციების საჭიროებების შესწავლა და პირდაპირი მონიტორინგის ჩატარება პიროვნებებთან და ორგანიზაციებთან.

## რეკომენდაციები

### სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს:

- მიეცით მეტი დამოუკიდებლობა მოხალისეებს თავიანთი ხედვის, საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით პროექტების განხორციელებასა და მართვაში.

-წამოიწყეთ მეტი პროექტი და ინიციატივა მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებთან ერთად, რათა ახალგაზრდობის სფეროს შესახებ ცნობიერება ამაღლდეს.

-ჩართეთ მეტი ახალგაზრდა პროექტის დაგეგმარებაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

-ახალგაზრდებისთვის მეტი საგანმანათლებლო საქმიანობა შექმენით, რომელიც საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებაზე იქნება დაფუძნებული.

- უზრუნველყავით მოხალისეობრივი შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის, რათა

მათ დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარება და შრომით ბაზარზე ადგილის მარტივად დაკავება შეძლონ.

-დაეხმარეთ თქვენს ბენეფიციარებს პროექტების დასრულების შემდგომ, რათა იყვნენ ისევ აქტიურები და განავითარონ შემდგომი პროექტები.

---



# ღექსიკონი

## უფლებების ხელმისაწვდომობა

დაბრკოლებების მოხსნა ახალგაზრდებისთვის უფლებებით სრულფასოვანი სარგებლობისათვის.

## სამოქმედო გეგმა

დანვრილებითი გეგმა, რომელშიც განერილია მოქმედებები მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. როგორც წესი, მათ შორისაა დავალებები, ინდიკატორები, ბიუჯეტი, პასუხისმგებელი პირები ან ორგანოები და ვადები.

## აქტიური მოქალაქეობა

მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## ეიჯიზმი

აღნიშნავს იდეოლოგიას და პრაქტიკას, რომელიც გულისხმობს ადამიანებისა და ჯგუფების ასაკის მიხედვით დისკრიმინაციას, სტერეოტიპიზმებსა და მარგინალიზაციას. ეიჯიზმმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმები, მათ შორის, ცრურწმენების, დისკრიმინაციული პრაქტიკის, ინსტიტუციური პოლიტიკა და ნებისმიერი პრაქტიკის, რომელიც ხელს უწყობს უთანასწორობას.

## სამოქალაქო საზოგადოება

მოხალისეობრივი კოლექტიური მოქმედება, რომელიც გაერთიანებულია საზიარო ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების გარშემო. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია წარმოადგენს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომლის წევრებიც საზოგადო ინტერესებს დემოკრატიული პროცესების სამუალებით ემსახურებიან და საზოგადოებასა და საჯარო მოხელეებს შორის მედიატორის როლს ასრულებენ.

## ქართია

სახელმწიფო ან სახალხო მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც კონსტიტუციური შინაარსის კანონებს ან უფლებებს შეიცავს. ქართია შესაძლოა იყოს სავალდებულო (მხარეები იცავენ დოკუმენტში მოყვანილ პუნქტებს) ან არასავალდებულო (მხარეები თავად არჩევენ, თუ რომელ პუნქტს მიიღებენ).



# დექსიკონი

---

## თანამმართველობა

ახალგაზრდული მონაწილეობის მოდელი, რომელიც მაგალითად, ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ სექტორშია დანერგილი. მთავრობების და ახალგაზრდების წარმომადგენლები საბიუჯეტო, სამუშაო, რესურსების განაწილების და სხვა პრიორიტეტების შესახებ გადანაცვტილებებს ერთობლივად იღებენ.

## კონსულტაცია

ხალხისთვის ამრის კითხვა.

## ბენდერი (სომხეთი, საქართველო)

პროგრამული უზრუნველყოფა (Software), რომელიც ადამიანის ტექნიკურ ნაწილს (Hardware) ფუნქციონირების საშუალებას აძლევს პროგრამის პაკეტის სხვადასხვა გავლენის დონეებს შორის კონფლიქტის რეჟიმში.

პროგრამული უზრუნველყოფა იტვირთება სოციალიზაციის პროცესით; ჩვენ შევიწოვთ ღირებულებებს, ჩვეულებებს, ნორმატიულ სტანდარტებს, საღი ამრის ცნებებს და სიმბოლური გარემოს ნაკითხვის უნარს ამ გარემოში გავლენის მქონე ფაქტორებისგან.

## დემოკრატიული საგოგადოება

იდეა, რომლის მიხედვითაც მთავრობა ხალხის მიერ აირჩევა.

## დისკრიმინაცია

ხდება მაშინ, როცა ერთნაირ სიტუაციაში ადამიანები არათანაბარი მოპყრობით სარგებლობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეკუთვნიან, ან მიიჩნევა, რომ ეკუთვნიან კონკრეტული ჯგუფის ან კატეგორიის ხალხს. ადამიანები შესაძლოა გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი მათი ასაკის, შემლედული შესაძლებლობის, ეთნიკურობის, წარმომავლობის, პოლიტიკური რწმენის, რასის, რელიგიის, სქესის ან გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, კულტურის ან ბევრ სხვა ნიადაგზე.

## თანასწორი

იდეა იმის შესახებ, რომ მიუხედავად ჩვენი განსხვავებებისა, ყველას თანაბარი უფლებები გაგვაჩნია და რომ ყველა ინდივიდუალს საკუთარი ნიჭის და ცხოვრების რეალიზების თანასწორი შესაძლებლობები აქვთ.

# დექსიკონი

---

## გენდერი

ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ მოლოდინების, ჩვევებისა და მოქმედებების კომპლექტი, რომელიც მიენერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. სოციალური მოლოდინები გენდერული როლების შესახებ ემყარება კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტს და მათზე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც, მათ შორის რასა, ეთნიკურობა, კლასი, სექსუალური ორიენტაცია და ასაკი. გენდერული როლები ისწავლება, დიდად განსხვავდება საზოგადოებების მიხედვით და დროსთან ერთად იცვლება.

## ადამიანის უფლებები

თქვენი, როგორც პიროვნების ძირეული უფლებები თითოეული ადამიანის სიცოცხლისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის გათვალისწინებით.

## ადამიანის უფლებების განათლება

ეხება საგანმანათლებლო პროგრამებს და აქტივობებს, რომლებიც აქცენტს აკეთებენ ადამიანის ღირების თანასწორობაზე სხვა პროგრამებთან ერთად, როგორცაა კულტურათმორისი სწავლება, მონაწილეობა და უმცირესობების გაძლიერება.

ადამიანის უფლებების განათლება მოიცავს:

ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, რათა ადამიანის უფლებების დარღვევები სახელდებულ იქნეს (ადამიანის უფლებების შესახებ სწავლა);

ადამიანის უფლებების დასაცავად საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება (სწავლა ადამიანის უფლებებისთვის);

ადამიანის უფლებების მიმართ დამოკიდებულებების განვითარება, რათა ინდივიდებმა საკუთარი ნებით არ დაარღვიონ სხვათა უფლებები (ადამიანის უფლებების მეშვეობით სწავლა).

## ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოები

საჯარო ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომელთაც ხელმძღვანელობენ არჩეული თანამდებობის პირები, პასუხისმგებელი მოქალაქეთა ცხოვრების ასპექტებზე ადგილობრივ თემებში.

# დექსიკონი

---

## ადგილობრივი მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული საზღვრებისა და ადმინისტრაციული ცენტრის მქონე დასახლება, რომელსაც ჰყავს არჩევითი წარმომადგენელი, აღმასრულებელი ორგანოები, ბიუჯეტი, შემოსავლები და ქონება.

## მედია პროდუქტები

პრესა და მედია, - ტელევიზია, რადიო, გაზეთები.

## NEET ახალგაზრდობა

პრესა და მედია, - ტელევიზია, რადიო, გაზეთები.

## ახალი მედია

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, რომლებშიც გამოიყენება ციფრული ტექნოლოგიები, მაგალითად, ინტერნეტი

## არაფორმალური განათლება

ნებისმიერი საგანმანათლებლო ქმედება, რომელსაც ადგილი აქვს ფორმალური განათლების სისტემის გარეთ. არაფორმალური განათლება უწყვეტი სწავლის კონცეფციის განუყოფელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდებსა და მოზარდებში მუდმივად ცვალებად გარემოსთან ადაპტაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა-შენარჩუნებას. ამის შეძენა შესაძლებელია ინდივიდის პირადი ინიციატივის საფუძველზე, ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებს გარეთ არსებული სასწავლო აქტივობების მეშვეობით. არაფორმალური განათლების მნიშვნელოვან ნაწილს ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან სათემო და ახალგაზრდულ საქმიანობაში.

## საჯარო პოლიტიკა

მოქალაქეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე პასუხისმგებელი იურიდიული ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიებების წყება.

## სოციალური ინკლუზია

სოციალური გარიყვის გამომწვევი ფაქტორების მოხსნის პროცესი; იდენტობის გამო გარიყული ინდივიდების შესაძლებლობების, ღირსებისა და უნარების

# დექსიკონი

---

გაუმჯობესება საზოგადოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

## სოციალური ბარიერა

მოვლენა, როდესაც საზოგადოება გარკვეული პირებისა და ჯგუფებისთვის ვერ უზრუნველყოფს იმ უფლებებსა და შეღავათებს, რომლებიც ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია საზოგადოების წევრებისთვის.

## სტრატეგია

მოქმედების მიმართული კურსი დასახული მიზნების მისაღწევად. პოლიტიკისგან განსხვავებით, სტრატეგიები ბევრად უფრო მოქნილია და შეიძლება შეიცვალოს გარემოს ცვლილებებთან ერთად.

## სტრუქტურული დიალოგი

ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდები მათდამი კეთილგანწყობილ გარემოში სრულფასოვნად მონაწილეობენ ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრაში, განვითარებაში, შეფასებასა და მონიტორინგში.

## ახალგაზრდული ორგანიზაცია

ზოგადად გულისხმობს ახალგაზრდების მიერ მართულ, არაკომერციულ, მოხალისეობრივ და მონაწილეობით არასამთავრობო ორგანიზაციებს. ზოგიერთ გარემოებაში, ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა შესაძლოა შექმნან სახელმწიფო აპარატის ნაწილი.

## ახალგაზრდების მონაწილეობა

მონაწილეობისთვის საჭირო ფორმების, საშუალებების, სივრცის, შესაძლებლობის და როდესაც საჭიროა, მხარდაჭერის არსებობა ახალგაზრდებისთვის მოქმედებებში ჩართულობის, გადანაცვლებებზე ზეგავლენის, და უკეთესი საზოგადოების შენებაში წვლილის შეტანის მიზნით.

## ახალგაზრდული საბჭოები

მონაწილეობითი გადანაცვლებების მიღების პროცესში ახალგაზრდული ჩართულობის ერთგვარი ფორმა. ახალგაზრდულ საბჭოებს განასხვავებენ სტრუქტურის, არჩევის წესის, დონის (რა დონეზე არსებობენ) და წარმომადგენლობის მიხედვით (რომელ ახალგაზრდებს ან ახალგაზრდების ჯგუფს წარმოადგენენ).

# დექსიკონი

---

## ახალგაზრდული პოლიტიკა

საჯარო ხელისუფლების მიერ დანერგილი სტრატეგია, რომელიც ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების წარმატებულ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ახალგაზრდულმა პოლიტიკამ უნდა აქციოს ახალგაზრდები საზოგადოების აქტიურ, პასუხისმგებელ წევრებად და ცვლილებების აგენტებად.

## ახალგაზრდული მუშაობა

ინდივიდუალური და პროფესიული ზრდისკენ მიმართული აქტივობები ახალგაზრდებით, ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად, რომელიც დაფუძნებულია არაფორმალურ სწავლებაზე.

# დაჯიბეტიონი სანიონბიანი

---

## ნიბნები დი ნაბრობები:

Arnstein, S. (1971) 'A Ladder of Citizen's Participation', Journal of the American Institute of Planners, no 35, July.

EACEA, (2013a) Political Participation and EU Citizenship: Perceptions and Behaviours of Young People, Brussels: EACEA.

EACEA, (2013b) Youth Participation in Democratic Life, Brussels: EACEA.

European Confederation of Youth Clubs (2016) Youth Work in the Council of Europe, European Confederation of Youth Clubs, Brussels: ECYC.

Goździk-Ormel, Ż. (2008) Have Your Say!, Strasbourg: Council of Europe Publishing.

Grace, P. and Grace, J. (2017), 360 Degree Participation Handbook, Birmingham: Youth Work Europe

Matthews, H. (2001) 'Citizenship, youth councils, and young people's participation', Journal of Youth Studies, 4 (3), 299-318.

Recommendation No. R (97) 3 of the Committee of Ministers to member states on youth participation and the future of civil society, Strasbourg: Council of Europe,

Recommendation Rec(2004)13 of the Committee of Ministers to member states on the participation of young people in local and regional life, Strasbourg: Council of Europe,

Recommendation Rec(2006)14 of the Committee of Ministers to member states on citizenship and participation of young people in public life, Strasbourg: Council of Europe,

Recommendation Rec(2006)1 of the Committee of Ministers to member states on the role of national youth councils in youth policy development, Strasbourg: Council of Europe,

Recommendation CM/Rec(2017)4 of the Committee of Ministers to member States on youth work, Strasbourg: Council of Europe, 2017

Williamson, H. (2007) Social exclusion and young people: some introductory remarks, in H. Colley, P. Boetzelen, B. Hoskins and T. Pareva (eds) Social inclusion and young people: breaking down the barriers, Strasbourg: Council of Europe Publishing.

# დამატებითი საკითხავი

---

## ვებგვერდები/ონლაინ წყაროები:

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პარტნიორობა

<http://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/citizenship-participation-and-information>

ევროპის საბჭო – ახალგაზრდული პოლიტიკა

<https://www.coe.int/en/web/youth/council-of-europe-youth-policy>

ევროპის ახალგაზრდული პორტალი

[https://europa.eu/youth/EU\\_en](https://europa.eu/youth/EU_en)

ევროპის ახალგაზრდული ანგარიში

[https://ec.europa.eu/youth/policy/implementation/report\\_en](https://ec.europa.eu/youth/policy/implementation/report_en)

ანგარიში ახალგაზრდული სამუშაოს მნიშვნელობის შესახებ

[http://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/study/youth-work-report\\_en.pdf](http://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/study/youth-work-report_en.pdf)

SALTO-Youth Portal

<https://www.salto-youth.net/>

ევროპის ახალგაზრდული ფორუმი

<https://www.youthforum.org/>

Youth Work Essentials - Council of Europe,

<http://www.coe.int/en/web/youth-portfolio/youth-work-essential>

## ახალგაზრდების მონაწილეობის ინსტრუმენტები:

ახალგაზრდების ინფორმირება

სიფრული პლატფორმები და კომუნიკაცია

Ungdomar.se

ევროპის ახალგაზრდული ელჩები

<https://www.euneighbours.eu/en/east/eu-in-action/youth/stories-young-european-ambassadors>

Mobile Youth Workers

არგი პრაქტიკები ახალგაზრდულ ინფორმაციაში, 2017, 10 SHE-yrica)

[https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/5bd9654ccd83666261ba9e53/1540973907525/Shareyica\\_2018\\_online+%281%29.pdf](https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/5bd9654ccd83666261ba9e53/1540973907525/Shareyica_2018_online+%281%29.pdf)

## ორენინგი ახალგაზრდების ჩართულობაში:

Teach for Armenia

<http://www.teachforarmenia.org/>

---

# დამატებითი საკითხავი

---

eTwinning

[https://issuu.com/maiamai6/docs/e-me\\_\\_e-you\\_\\_e-us.pptx](https://issuu.com/maiamai6/docs/e-me__e-you__e-us.pptx)

UN Toolkit

[http://www.un.org/en/events/youthday/assets/pdf/IYD\\_Toolkit\\_2018.pdf](http://www.un.org/en/events/youthday/assets/pdf/IYD_Toolkit_2018.pdf)

**ახალგაზრდების პროექტებისა და ინიციატივების**

ახალგაზრდებთან შეხვედრა

<https://www.triangle4youth.com/blog>

**ფონდები ახალგაზრდული პროექტებისათვის:**

<https://www.boras.se/upplevaochgora/barnochunga/utbytenvolontararbetprojektstodochledarskap/projektkontor/projektpeng.4.22d8dbdb158917ddc57b28bb.html>

**ახალგაზრდების ორგანიზაციების, ახალგაზრდების მონაწილეობისა და თანამშრომლობითი მართვის ხელშეწყობა**

თანამშრომლობითი მართვა სერბეთში

<https://pjp-eu.coe.int/documents/1017981/9848726/YOUTH+WIKI+S-ERBIA.pdf/d687393b-8b29-472e-9848-a81b199a592a>

<http://www.mmh.hr/files/ckfinder/files/co-mng-report.pdf>

<https://pjp-eu.coe.int/documents/1017981/9848726/YOUTH+WIKI+S-ERBIA.pdf/d687393b-8b29-472e-9848-a81b199a592a>

**ახალგაზრდების არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებში ჩართულობის ხელშეწყობა**

შესაძლებლობების ბაზარი

<http://www.sondip.com/fi/en/events/>

საბავშვო ქალაქები

<https://breezeleeds.org/have-your-say/leeds-childrens-mayor>

**ახალგაზრდების მონაწილეობა მედიაში**

ვიზუალური მედია

<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000149279>

რადიო

[https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/5ba26b8b4d7a9c88ca64c733/1537371025374/Sheryica\\_2018\\_online.pdf](https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/5ba26b8b4d7a9c88ca64c733/1537371025374/Sheryica_2018_online.pdf)

უნარების განვითარების ვორქშოპები

<https://www.un.org/development/desa/youth/international-youth-day-2018/world-map-of-events-2018.html>

**ახალგაზრდების წახალისება მოხალისეობრივ საქმიანობაში**

<https://passalen.se/aktiviteter/goteborg/team-goteborg/>

მოხალისეობა საერთაშორისო ახალგაზრდობასთან

---



# დაკავშირებული საკითხავი

---

## ახალგაზრდების ინსტიტუციური მონაწილეობა

ახალგაზრდა პარლამენტარები

<https://www.ola.org/fr/visiter-apprendre/programmes/simulation-parlement-secondaire>

## მონაწილეობითი ბიუჯეტირება

file:///C:/Users/EU526/Downloads/RCM\_opjovem.pdf

<https://opjovem.gov.pt/projetos2018>

## საერთოვლი კოლიტიკა საცხოვრისი

თაობათაშორისი თანამშრომლობა

<https://internationalsocialhousing.org/2017/05/29/learning-best-practices-in-housing-for-the-elderly-from-the-dutch/>

“სახლი, რომელიც ერგება”

<https://www.muotoilutarinat.fi/en/project>

<https://www.theguardian.com/housing-network/2016/sep/14/lessons-from-finland-helping-homeless-housing-model-homes>

[http://www.mmh.hr/files/ckfinder/files/steps\\_towards\\_successful\\_youth\\_policy.pdf](http://www.mmh.hr/files/ckfinder/files/steps_towards_successful_youth_policy.pdf)

## მუშაობა და დასაქმება

მუნიციპალური მხარდაჭერის პროგრამები

<https://cijad-cjelaporte.org/services/>

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა კონსულტანტები

<https://www.boras.se/kommunochpolitik/kvalitetresultatochjamforelser/ungdomspolitik/ungakommunutvecklare.4.2cfd8fa7158d2732081dea05.html>

<http://www.youthfarmproject.org/>

<https://publications.iadb.org/publications/english/document/Technical-Notes-on-Gender-Equality-in-Municipal-Development-Experiences-from-Latin-America-and-the-Caribbean.pdf>

[http://ec.europa.eu/assets/eac/youth/policy/youth\\_strategy/documents/youth-participation-brochure\\_en.pdf](http://ec.europa.eu/assets/eac/youth/policy/youth_strategy/documents/youth-participation-brochure_en.pdf)

<https://www.childtrends.org/programs/youth-matters>

<https://www.pps.org/article/young-people-and-placemaking-engaging-youth-to-create-community-places>

<https://www.accessibletourism.org/resources/tool-ip/doc/2017/07/08/access-city-award-brochure-2017.pdf>

[https://www.eurochild.org/fileadmin/public/04\\_News/Members/POS\\_Jugendgerechte\\_Kommunen\\_EN\\_LL\\_KF.pdf](https://www.eurochild.org/fileadmin/public/04_News/Members/POS_Jugendgerechte_Kommunen_EN_LL_KF.pdf)

<http://pasadenasistercities.org/mission/>

<https://www.salto-youth.net/downloads/4-17-948/ReportSocialExclusionIGLYOilga.pdf?>

<https://www.lgbtyouth.org.uk/national-programmes/policy-and-influencing/>

# დამატებითი საკითხავი

---

## გენდერული თანასწორობა

YouthAction.org

ასანიძე, 2011: 55

პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012: 17

ბორენკო, 2011: 12

ფრასი, 2018: 4

ნერეთელი, 2016: 12

გალსტიანი, 2018: 6

მოთამედ-აფშარი, ფრასი, 2015: 10

საქართველოს მთავრობა, 2014: 7

ვოსკანიანი, 2017: 13

ტურკანი, 2018: 14

ბორენკო, ოსტრიკოვა, 2017: 12

თადევოსიანი, მინასიანი 2011: 36

თადევოსიანი, ლაფჩიანი, მინასიანი

პოლიზი, 2017: 23

